ეროვნული ბიბლიოთეკა


# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

25 თებერვალი პარასკევი 2011

№045 (13342) ფასი 60 თეთრი


# ზაზა ფაჩულია ატლანტას ტოვებს




სად გააგრძელებს კარიერას ქართველი ცენტრი?

12



## ჯანოს აიაქსი გამოცდის

ევროტურნირებს ერთადერთი ქართველი შემორჩა

9



## ასათიანი ანჟიში?

ჭორ-მართალი 10 მარტამდე გაირკვევა

4



## მე და ტერორისტი?

უკვირს დღეს თამაზ იმნაიშვილს, არადა, თავის დროზე თურმე ამ ეჭვის გამო დააკავეს...

11

ქართული ფეხბურთი

ლეგიონერი. ინტერვიუ ჯაბა ლიპარტიასთან


ჯაბა ლიპარტია

თურქეთში მოსამზადებელ შეკრებაზე მყოფმა ლუგანსკის „ზარიამ“ გასასინჯად ორი ქართველი ფეხბურთელი მიიწვია. სამწუხაროდ, ლევან ხმალაძეს კვლავ არ გაუმართლა: როგორც შარშან ისრაელში გასინჯვისას, ახლაც დაშავდა, ჯაბა ლიპარტიამ კი მწვრთნელებს თავი მოაწონა და 23 იანვარს უკრაინულმა კლუბმა „ვიტ ჯორჯიის“ შემტევ ნახევარმცველს 3-წლიანი კონტრაქტი გაუფორმა.

ვფიქრობთ, ამ საქმეში ბოლო როლი არ უთამაშია იმ ფაქტს, რომ ჯაბამ, ბევრი თანატოლისგან განსხვავებით, კარგად იცის რუსული და მოედანსა და ცხოვრებაში ურთიერთობის პრობლემა არ შექმნია.

ლუგანსკელები უკრაინის პრემიერლიგაში 19 ქულით მე-12 ადგილზე არიან, მეორე წრეს კი 5 მარტს განაახლებენ. მანამდე "ზარია" კვლავ თურქეთში ემზადება და საკონტროლო შეხვედრებს ატარებს. ანატოლი ჩანცევის გუნდი და ქართველი საკმაოდ კარგად გამოიყურებიან. დასტურად მოსკოვის "ლოკომოტივის" 3:0-ით დამარცხებაც გამოდგება, სადაც ჯაბა ლიპარტიამ 86 წუთი ითამაშა და მორიგი საგოლე გადაცემა გააკეთა.

გუშინ კი ლუგანსკელებმა ბოლო საკონტროლო შეხვედრა "როსტოვთან" ჩაატარეს. ჯაბა კვლავ ძირითად შემადგენლობაში იყო და სტანდარტულებს ასრულებდა. "როსტოვის" კართან ორჯერ სახიფათო მომენტი მის წამოწყებულ კომბინაციას მოჰყვა, მაგრამ "ზარიამ" შეტევა ვერ განავითარა. ჯაბა 75-ე წუთზე გიული მანჯგალაძემ შეცვალა, მატჩი კი 1:1 დასრულდა.

ჯაბა ლიპარტიას გუშინ დავუკავშირდით და ინტერვიუ ჩამოვართვით.

# საქართველოში ფეხბურთელად თავს ვერ გრძნობ

**- ბოლო წლებში უკრაინულ კლუბში ქართველების ჩარიცხვა საკმაოდ გაძნელდა. ამის გათვალისწინებით, ალალად რომ ვთქვათ, შენი დარჩენა გაგვიკვირდა.**

- ასეთი შეფასება არ მიკვირს და გეთანხმებით, უკრაინის ჩემპიონატისა და კლუბების დონე ძალიან გაიზარდა, ჩვენი მოთამაშეების მოხვედრა კი, არა მხოლოდ უკრაინაში, ბევრ არასაფეხბურთო ქვეყანაშიც გაძნელდა.

**- "ზარია" შენით როდის დაინტერესდა?**

- უკრაინაში "ვიტ ჯორჯია" ხშირად ემზადებოდა და ადგილობრივ გუნდებთანაც ბევრჯერ გვითამაშია. ერთხელ, "ზარიასთან" საკონტროლო შეხვედრაში პენალტი გამოვიმუშავე და ლუგანსკელებს ჩემი შეძენა ჯერ კიდევ ორწელიწადნახევრის წინაც სურდათ. იმ დროს გუნდს ანატოლი ვალაბუევი ავარჯიშებდა. სამწუხაროდ, მიზეზების გამო, მაშინ ტრანსფერი არ გამოვიდა.

**- შენი უკრაინულ კლუბში ჩარიცხვა იმიტომ გაგვიკვირდა, რომ აზერბაიჯანულ "ყარაბახში" ვერ დარჩი.**

- ვერ კი არა, "ყარაბახში" თავად არ დავრჩი. აზერების მწვრთნელს შეკრებაზე მივყავდი და ტრანსფერის საკითხი იქ გადაწყდებოდა. ჩემი აზრით, იქაც მქონდა კონტრაქტის გაფორმების რეალური შანსი, რადგან მწვრთნელს მოვწონდი და ეს პირად საუბარშიც მითხრა. თუმცა თბილისში ჩამოსულს მითხრეს, რომ "ზარიას" ვარიანტი ისევ გამოჩნდა და უკრაინული კლუბის წინადადებას დაუფიქრებლად დავთანხმდი.

**- არ შეგეშინდა, ორივე ვარიანტი რომ დაგეკარგა?**

- სიმართლე გითხრათ, რატომღაც დარწმუნებულიც კი ვიყავი, რომ უკრაინელები ახლა მაინც დამტოვებდნენ. მართლაც ასე მოხდა, 3-წლიანი კონტრაქტი გავაფორმე და დღეს უკვე "ზარიას" ფეხბურთელი ვარ. მეგობრული გუნდია, კარგად მიმიღეს და შეგუება არ გამჭირვებია.

**- უკრაინელების უმძიმესი ვარჯიშები ყველასთვის ცნობილია. მძიმე დატვირთვებს როგორ შეეგუე?**

- დატვირთვები მართლაც მძიმეა და ყოველ მესამე დღეს ვთამაშობთ. მიუხედავად ამისა, არ გამჭირვებია და ადვილად შევეგუე. ალბათ, იმიტომ, რომ გუნდში დარჩენის დიდი სურვილი მქონდა და ფსიქოლოგიურად გამიადვილდა.

**- შენი აზრით, "ზარიას" ძირითადში მოხვედრის შანსი გაგაჩნია?**

- ჩანცევმა ყველა საკონტროლო შეხვედრა შემადგენლობაში მათამაშა და თითქმის ყველა - 90 წუთი. რაც მთავარია, ვგრძნობ მწვრთნელისა და თანაგუნდელების ნდობას და ამის გამო ვფიქრობ, რომ უკრაინის ჩემპიონატს ძირითადში დავიწყებ. თუმცა, წინასწარ ლაპარაკი არ მიყვარს, 5 მარტს ჩემპიონატის პირველი თამაშია და გამოჩნდება, მწვრთნელი მენდობა თუ არა.

**- უკრაინელების ფეხბურთსა და ტემპსაც იოლად შეეჩვიე?**

- პრობლემა არ მქონია. სხვათა შორის, "ზარია" ტექნიკურ ფეხბურთს აჩვენებს და ეს ძალიან მომწონს.

**- ჩვენ და უკრაინულ ფეხბურთს შორის ყველაზე დიდი განსხვავება რა არის?**

- ქართველებისგან განსხვავებით, უკრაინელები ინდივიდუალურად ნაკლებს მოქმედებენ და ძალიან ბევრს მოძრაობენ. მოკლედ ასე შეიძლება ითქვას.

**- შენ რა პოზიციაზე გათამაშებენ?**

- ცენტრალური ნახევარმცველის ამპლუაში.

**- მართალია, სანაკრებო შეხვედრებამდე მთელი თვეა დარჩენილი, მაგრამ წინასწარი ინფორმაცია გექნება, შეკრებაზე გამოძახებას გიპირებენ?**

- არა მგონია, ხორვატია-ისრაელისთვის გამომიძახონ.

**- საქართველოს ჩემპიონატიდანაც გიწვევდნენ და უკრაინული კლუბის 23 წლის ფეხბურთელმა იმედი დაკარგე?**

- მე არც მითქვამს, რომ იმედი საერთოდ გადამეწურა. ნაკრებში თამაში ყველა ფეხბურთელის ოცნებაა, მე კი ყოველთვის შევეცდები ისეთ ფორმაში ვიყო, ნაკრების მწვრთნელთა ყურადღება დავიმსახურო. შემდეგ მწვრთნელების გადასაწყვეტია, გამომიძახებენ თუ არა. ვნახოთ, რა იქნება, იმედი ნადვილად არ დამიკარგავს.

**- "ზარიაში" მუდმივი ნომერი თუ გადმოგცეს?**

- ოფიციალური პრეზენტაცია მალე გაიმართება, თუმცა მითხრეს, რომ 10 ნომრით ვითამაშებ.

**- ეს პრესტიჟული ნომერია და იმაზე უნდა მეტყველებდეს, რომ მწვრთნელი ძირითადის მოთამაშედ გთვლის.**

- მაგალითისთვის გეტყვით, ყველა სტანდარტულს მე მასრულებინებს, ასეთ დავალებას კი მწვრთნელი მხოლოდ იმ მოთამაშეს აძლევს, რომელსაც ძალიან ენდობა. ისედაც ვგრძნობ, რომ ძალიან მენდობა და რა თქმა უნდა, ეს ამბავი მახარებს.

**- უკრაინაში შენი წასვლა იმიტომაც არის დადებითი მოვლენა, რომ ჩვენი ჩემპიონატი ძალიან დაბალი დონისაც არ ყოფილა, ეტყობა, ფეხბურთელები კიდევ იზრდებიან.**

- ჩვენი ჩემპიონატი სავსეა ნიჭიერი ბიჭებით, "მკვდარი" კი სხვა მიზეზების გამო არის.

**- რა მიზეზების გამო?**

- მიზეზებზე ლაპარაკი არ მინდა, მხოლოდ ერთ-ერთს ვიტყვი – სამწუხაროდ, ჩვენს ჩემპიონატში ფეხბურთელი თავს ფეხბურთელად ვერ გრძნობს.

**- რატომ?**

- თუ რატომ, ეს ყველამ კარგად იცის...

**- ჩვენთვის უცნობი ბიჭია შემტევი ნახევარმცველი გიული მანჯგალაძე. მასზე რას იტყვი?**

- კარგის მეტს არაფერს! ძალიან ტექნიკური და ნიჭიერი ბიჭია. ჯერ მხოლოდ 18 წლისაა და ყველაფერი წინ აქვს. ჩემი აზრით, 19-წლამდელთა ნაკრებს ძალიან გამოადგება, დასაკარგი ბავშვი ნამდვილად არ არის. ძლიერი რომ არ იყოს, უკრაინის უმაღლესი ლიგის გუნდი მისი ასაკის ფეხბურთელს შეკრებაზე არ წაიყვანდა. გიული "ზარიაში" გავიცანი, პიროვნულადაც კარგია ბიჭია და თუ მოინდომებს, სერიოზულ დონეზე ითამაშებს.

**მერაბ მამულაშვილი**

სფფ

# დღეს აღმასკომშია

დღეს 12 საათზე **მიხეილ მესხის** სახელობის სტადიონის საკონფერენციო დარბაზში საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის სხდომა გაიმართება, სადაც შემდეგი დღის წესრიგი იქნება წარმოდგენილი:

**1. სფფ-ის წესდების 68-ე მუხლის მოქმედებაში მოყვანის შესახებ;**

**2. სფფ-ის წევრებისთვის ყოველწლიური საწევროს შეტანის ოდენობის დადგენის შესახებ;**

**3. სფფ-ის სპეციალური კომიტეტის შექმნის შესახებ;**

**4. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის წერილის შესახებ;**

**5. საფეხბურთო კლუბ "ტყიბულის" შესახებ;**

**6. სხვადასხვა.**

ცნობისათვის, ფეხბურთის ფედერაციის 68-ე მუხლში ნათქვამია, რომ სფფ უფლებამოსილია ორგანიზება და კოორდინაცია გაუწიოს მის ტერიტორიაზე გამართულ ოფიციალურ ტურნირებს – საქართველოს ჩემპიონატს ყველა ლიგაში, საქართველოს თასსა და ახალგაზრდულ შეჯიბრებებს.

საინტერესოა აღმასკომის დღის წესრიგის მეორე პუნქტით გათვალისწინებული თემა. ვნახოთ, უცვლელი დარჩება თუ შეიცვლება პროფესიული ფეხბურთის ლიგის მიერ დადგენილი საწევრო გადასახადები. მოსალოდნელია, რომ დღევანდელ აღმასკომზე სფფ-სა და "ზესტაფონს" შორის წარმოშობილ დავაზეც იქნება საუბარი.

**ლევან ჯანეზაშვილი**

U17



# ესპანეთმა მეორედ ველარ გვაჯობა

## ყორყიკაშვილის გუნდი იერომ ნახა

**ესპანეთი–საქართველო 0:0**

ესპანეთი: **დავიდი – მენენდესი, ოლივანი, აროიო, პოლ გარსია (ლუკე) – მარკესი (მელერო), ვადილიო (ხერარდი) – კესადა, დელგადო (ერნანდესი), დენისი (პოლ კალვე) – იოელი.**

საქართველო: **თებიძე – მთივლიშვილი, ცნობილაძე, სანდოხაძე, ჭილვარია – ჰუფნაგელი (გოგიჩაიშვილი), ექვთიმიშვილი, სამუშია – ფანცულაია (დიასამიძე), ტარყაშვილი (ენდელაძე), არაბული.**

საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა მადრიდის "ლას როსასის" ბაზაზე ესპანელ თანატოლებთან მეორე მატჩი ჩაატარა და ნულოვან ფრეს მიაღწია. შეგახსენებთ, **კობა ყორყიკაშვილის** გუნდი ესპანელებთან 22 თებერვალს 1:2 დამარცხდა, მაგრამ მაღალი დონის ფეხბურთი უჩვენა და იმის რეალური იმედი გაგვიჩინა, რომ დასვენებული და უცხო გარემოსთან ადაპტირებული ქართველები მეორე შეხვედრას მისაღები შედეგით დაასრულებდნენ. საბედნიეროდ, ასეც მოხდა და ჩვენმა გუნდმა, უდავოდ, აქტივში ჩასაწერი შეხვედრა ჩაატარა.

ესპანეთში ჩატარებული საკონტროლო მატჩების შესახებ ყორყიკაშვილს თბილისში დაბრუნების შემდეგ დეტალურად გამოვკითხავთ, მანამდე კი ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციის ოფიციალური ვებგვერდის მიერ მოწოდებულ მცირე მიმოხილვას უნდა დავჯერდეთ.

აღსანიშნავია, რომ შეხვედრას ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციის სპორტული დირექტორი, მადრიდის "რეალის" ცოცხალი ლეგენდა **ფერნანდო იერო** დაესწრო. საიტის ცნობით, პირველ ტაიმში ესპანელები საგრძნობ უპირატესობას ფლობდნენ და **გაბრიელ თებიძეს** საქართველოს ნაკრების კარი არაერთხელ უხსნია. შესვენების შემდეგ ქართველებმაც შეუტიეს და **გურამ სამუშიამ** ანგარიშის გახსნის რეალური შანსი გაუშვა ხელიდან. სათამაშო და ტერიტორიული უპირატესობა კი გასაკვირი არაა, **ხიმენეს მელენდესის** გუნდის მხარეს რომ იყო.

საქართველოს ნაკრების შემადგენლობას თუ გადავხედავთ, იქ სამ ნომინალურ თავდამსხმელს აღმოვაჩენთ, რაც იმას უნდა ნიშნავდეს, ყორყიკაშვილი და მის ასისტენტები მხოლოდ ფრეზე არ ფიქრობდნენ...

ამით ქართველმა 17-წლამდელებმა ესპანური შეკრება დაასრულეს და იქ მიღწეული შედეგებით იმის რწმენა გაგვიძლიერეს, რომ მარტის ბოლოს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის ელიტრაუნდშიც მაქსიმალური შედეგისთვის იბრძოლებენ.

საქართველოს ნაკრები თბილისში დღეს დაბრუნდება და გუნდის მზადების უახლოეს გეგმებზეც სულ მალე გაცნობებთ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ლელო
დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერმო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge
მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63;** ელფოსტა: **leloltd@gmail.com;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **37 78 07**
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

# ქება ოლიმპს

**ჩვენი მოლოდინი გამართლდა — როგორც იქნა, ტური სრულად ჩატარდა და აქვე, იმასაც შეგახსენებთ, რომ ასეთი რამ მეორე ეტაპის დაწყებიდან პირველად მოხდა. განსაკუთრებულად გამორჩეული ტური იყოო, ამას ნამდვილად ვერ ვიტყვით, მაგრამ, ეგ არაფერი — მერამდენე წელია, საქართველოს ჩემპიონატის მეტ-ნაკლებ ინტრიგას... ჟურნალისტები ქმნიან და გამონაკლისი, რალა თქმა უნდა, არც განვლილი ტური იყო. მით უფრო, ტურის ცენტრალურ შეხვედრას, მეტისმეტად სუსხიანი ამინდის მიუხედავად, ცარიელი ტრიბუნების წინ არ ჩაუვლია...**

## ფოიერვერკის დაბრუნება

XXI ტურის მიმოხილვაც, რალა თქმა უნდა, „ოლიმპი"-„დინამოს" დაპირისპირებით უნდა დავიწყოთ. მატჩის დეტალურ აღწერას აღარ შევუდგებით — ამის თაობაზე გუშინაც ვრცლად ვისაუბრეთ და დღეს, მხოლოდ გამორჩეულ თუ დასამახსოვრებელ ფაქტებს გავიხსენებთ. უპირველესად, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქომაგთა სიმრავლემ გაგვაკვირვა: ტურის ცენტრალურ შეხვედრას 1000-მდე გულშემატკივარი დაესწრო! არადა, ერთი შეხედვით, ეს რიცხვი დიდად არ უნდა მოგვეჩვენოს: ამავე ტურში, „სამტრედიისა" და „სიონის" მატჩს ხომ თითქმის ორჯერ მეტი გულშემატკივარი ესწრებოდა; თანაც, ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, XXI ტურის ცენტრალურ მატჩში ჩემპიონობის ფავორიტები ხვდებოდნენ ერთმანეთს. მაგრამ, აქვე, იმასაც ნუ დავივიწყებთ, რომ რუსთავის „ფოლადის" სტადიონზე (დაახლოებით 4500 კაცს იტევს) უკანასკნელად სრული ანშლაგი... 2007 წლის 5 მაისს იყო; სხვათა შორის, მაშინაც „ოლიმპი"-„დინამოს" დაპირისპირება იყო და იმ შეხვედრაში ჩემპიონობის ბედი წყდებოდა. ორი დღის წინ ჩატარებულ მატჩს „საჩემპიონოს" ჯერჯერობით ნამდვილად ვერ ვუწოდებთ, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ „ოლიმპმა" ამ გამარჯვებით თავისი ერთ-ერთი კონკურენტი უკვე შვიდი ქულით ჩამოიტოვა!

...უკვე წლებია, „ლელო" ყოველი ტურის რჩეულებს ასახელებს; XXI ტურის სიმბოლურ ნაკრებში უმრავლესობა „ოლიმპის" ფეხბურთელია და ვფიქრობთ, გასაკვირი არავისთვის უნდა იყოს. ყოველ შემთხვევაში, ვინც ტურის ცენტრალურ დაპირისპირებას თვალი ადევნა, ალბათ, დაგვეთანხმება, რომ **ალექსანდრე კვახაძემ, ლუკა რაზმაძემ** და **გიორგი რეხვიაშვილმა** ეს პატივი თავიანთი ჩინებული თამაშით დაიმსახურეს. საერთოდაც, იმ სუსხიან დღეს მასპინძელთა ყველა ფეხბურთელი ქების ღირსი გახლდათ და იმავე კვახაძის, რაზმაძისა თუ რეხვიაშვილის ოსტატური თამაში არავის გაჰკვირვებია, აი, ორი ახალგაზრდის დამაჯერებელი ასპარეზობა კი „ოლიმპის" ქომაგთათვის მართლაც სასიამოვნო მოულოდნელობა აღმოჩნდა. 22 წლის **გიორგი მურველაშვილმა** თავის ახალ გუნდში პირველი ოფიციალური მატჩი ჩაატარა და სწორედ ამ ათლეტური მარჯვენა მცველის შთამბეჭდავ რეიდს მოჰყვა კიდეც შეხვედრის ერთადერთი გოლი, „ოლიმპის" მეორე დებიუტანტმა, ახალგაზრდა ნახევარმცველმა **ირაკლი მაისურაძემ** რომ გაიტანა. მასპინძელთა მხრიდან კიდევ ერთი ფეხბურთელის აღნიშვნა გვინდა: გამოცდილი **დავით ბოლქვაძე** მატჩის პირველ 25-წუთში ორივე გუნდის შემადგენლობაში, უდავოდ, ყველაზე გამორჩეული ფიგურა გახლდათ; საკუთარი გუნდის იერიშებსაც უნარიანად ხელმძღვანელობდა, ყველა „სტანდარტულს" სახიფათოდ ასრულებდა და ერთ ეპიზოდში გოლის გატანასთანაც ახლოს იყო, მაგრამ დროის მოკლე მონაკვეთში (25 წუთის განმავლობაში) ორი ყვითელი ბარათი მიიღო და მოედანი ნაადრევად დატოვა. თუმცა, რიცხობრივ უმცირესობაში დარჩენილმა მასპინძლებმა პატარა სასწაული მოახდინეს: დაცვაში „ჩაჯდომისა" და საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე ფიქრის ნაცვლად... კვლავაც აქტიური და აგრესიული თამაში დაუპირისპირეს სახელოვან მეტოქეს და საბოლოოოდ, ასეთი მონდომება დაუფასდათ კიდეც. ისე, როგორც „ოლიმპის" ახალგაზრდა თავკაცს **თორნიკე მაისურაძეს** დაუფასდა ბევრისთვის მოულოდნელი და თამამი საკადრო ცვლილებები — მისი გუნდი ჩემპიონატის ლიდერია! ერთი საინტერესო დეტალიც: მაისურაძის ხელმძღვანელობით „ოლიმპმა" ექვსი ოფიციალური და დაახლოებით ამდენივე საკონტროლო მატჩი ჩაატარა და არც ერთხელ დამარცხებულა!..

**P.S.** *მატჩის დაწყებამდე... ფეიერვერკიც ვიხილეთ; აი, დაახლოებით ისეთივე განწყობა სუფევდა „ფოლადზე", დაახლოებით 6-7 წლის წინათ ავლაბარში, სკა-ს ყოფილ სტადიონზე რომ იყო ხოლმე. ოღონდ, მაშინ მასპინძლის რანგში ერთი გამორჩეული გუნდი, „თბილისი" ასპარეზობდა, რომლის ერთ-ერთი დამფუძნებელიც მამუკა გუგეშაშვილი გახლდათ, ვინც გარკვეული პაუზის მერე, მეორე ეტაპის დაწყების წინ „ოლიმპში" დაბრუნდა. სხვათა შორის, ქომაგთა სიმრავლე ვახსენეთ და ისიც უნდა ვთქვათ, რომ მათგან უმრავლესობა საფეხბურთო სკოლა „ოლიმპის" აღსაზრდელები იყვნენ, — თბილისიდან, რამდენიმე ავტობუსით ორგანიზებულად რომ ესტუმრნენ რუსთავს. იმის შეხსენება კი, ალბათ ზედმეტია, რომ 2006 წლის ზაფხულში „ოლიმპი", ფაქტობრივად, „თბილისის" ბაზაზე დაფუძნდა და დაარსდა...*

## დრო და შენება

მეორე ეტაპის სტარტზე ჩატარებულ სამ შეხვედრაში „დინამომ"... 2 ქულა მოაგროვა! აი, ამას კი მართლაც არავინ ელოდა, მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ, როგორი აქტიური სატრანსფერო კამპანია აწარმოა ჩვენმა ყველაზე ტიტულოვანმა კლუბმა ზამთრის მოსამზადებელ ეტაპზე. „დინამოს" მწვრთნელ-ფეხბურთელებს არც იმაზე ექნებათ საწუწუნო, გადამწყვეტი ეტაპისათვის საფუძვლიანად ვერ მოვემზადეთო - ჯერ თბილისში და მერე, თურქეთში გუნდმა მართლაც ნაყოფიერი შეკრება გაიარა და არაერთი საკონტროლო მატჩიც ჩაატარა. აღარაფერს ვამბობთ უამრავი ახალწვეულით გაძლიერებული „დინამოსგან" საჩემპიონო რბოლაში ჩართვაზეც: ბოლო წლებისგან განსხვავებით, გუნდში ოცზე მეტმა თანაბარი ძალის ფეხბურთელმა მოიყარა თავი და ასეთი სერიოზული კონკურენციის პირობებში, რალა თქმა უნდა, მხოლოდ და მხოლოდ, წარმატებულ ასპარეზობას ველოდით. სინამდვილეში კი, რა ხდება: უშუალო კონკურენტთან მატჩში გუნდმა მეტოქის კართან ერთადერთი (!) სახიფათო მომენტი შექმნა და საერთოდაც, იმ სუსხიან დღეს „დინამოს" თამაში ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებდა. რა თქმა უნდა, ყველა ხვდება, რომ ახალი გუნდის „შენებას" გარკვეული დრო სჭირდება - ანუ, უამრავ ახალწვეულს ერთმანეთთანაც და, საერთოდ, სხვა დანარჩენ პარტნიორებთან შესათამაშებლად გარკვეული პერიოდი სჭირდება, მაგრამ როცა მონდომებით მოასპარეზე მეტოქეს ერთ ხეირიან კომბინაციასაც ვერ დაუპირისპირებ, უკვე „სხვა" პრობლემებზეც შეიძლება კაცმა იფიქროს. რა პრობლემებს ვგულისხმობთ? ამის ზუსტი პასუხი ნამდვილად არ ვიცით, თუმცა გუნდი მოკლე თუ საშუალო მანძილზე ერთი-ორ „გადაბმულ" პასს რომ ვერ გააკეთებს, ამ შემთხვევაში, ალბათ, მხოლოდ შეუთამაშებლობა არ უნდა იყოს მიზეზი. ისიც ცხადია, შემადგენლობის ხშირმა როტაციამაც გარკვეული უკუეფექტი რომ გამოიწვია: მეორე ეტაპის სტარტზე ჩატარებულ სამ შეხვედრაში მხოლოდ 4 ფეხბურთელი იყო, ძირითადში რომ დაიწყეს თამაში (კოშკაძე, კაკუბავა, მაროვიჩი, რობერტინიო). საერთოდ კი ამ სამ შეხვედრაში **კახა კაჭარავამ** უკვე 20 ფეხბურთელი ათამაშა და გუშინდელ ნათქვამს გავიმეორებთ და ვიტყვით, რომ ამათგან ყველაზე ნაკლები პრეტენზია **გიორგი ლორიასა** და **ალექსანდრე კოშკაძის** მიმართ უნდა ჰქონოდა მთავარ მწვრთნელსაც და გუნდის ერთგულ ქომაგებსაც. არც ის იქნება ვინმესთვის „უცხო თემა", როცა „დინამოს" ფართოდ რეკლამირებულ ახალწვეულთაგან აშკარად მეტს მოველოდით; სამწუხაროდ, ზოგმა ტრავმა მიიღო (**ჰაჯიბულიჩმა**), ზოგს პარტნიორები ვერ ამარაგებენ დროული და ზუსტი პასებით (**ელიჩს**), ზოგს „სხვა" პრობლემა აქვს და ასე შემდეგ. ბევრისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა ბოლო ორ მატჩში „დინამოს" ძირითადში **დონალდ ჯუისის** გამოჩენაც: ახალგაზრდა კამერუნელი ხომ ტრანსფერზე იყო დაყენებული და ზამთრის მოსამზადებელ პერიოდში არც ერთ საკონტროლო შეხვედრაში მონაწილეობა არ მიუღია! თუმცა, ყოველივე ზემოთქმულის მიუხედავად, „დინამოს" საჩემპიონო რბოლიდან საბოლოოდ „ჩამოწერა" მაინც ნაადრევად გვეჩვენება, — გუნდს ნამდვილად აქვს იმის პოტენციალი, უშუალო კონკურენტებთან ჩამორჩენა აღმოფხვრას; ოღონდ, ამისათვის, რალა თქმა უნდა, თამაშის ხარისხის რაც შეიძლება მალე გაუმჯობესებაა საჭირო, თორემ მერე ნამდვილად გვიან იქნება...



ოლიმპი-დინამო. გიორგი მურველაშვილი (მარცხნივ) და გიორგი კახელიშვილი


სამტრედია-სიონი

## ძველ-ახალი სახე(ლ)ები

„ოლიმპის" ახალგაზრდა ნახევარმცველის **ირაკლი მაისურაძის** სადებიუტო გოლი ვახსენეთ და გასულ ტურში მსგავსი კიდევ ორი შემთხვევა იყო: უმაღლეს ლიგაში ასევე პირველად გამოიჩინეს თავი „სამტრედიას" შუახაზელმა **გიორგი ცხადაიამ** და „სპარტაკის" თავდამსხმელმა **ილია ბუზალაძემ**. ოღონდ, მაისურაძისგან განსხვავებით, ამ ორივე ახალგაზრდის გოლები გამარჯვებისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა: ერთგული ქომაგებისაგან შეგულიანებული „სამტრედია" მხოლოდ ერთ ქულას დასჯერდა ბოლნისის „სიონთან" შეხვედრაში; აი, „სპარტაკი" კი, მედგარი წინააღმდეგობის მიუხედავად, მინიმალური სხვაობით დამარცხდა ჩემპიონატის ერთ-ერთ ფავორიტთან „ზესტაფონთან". სხვათა შორის, კლიმატურმა პირობებმა ყველაზე ძალიან სწორედ **გია გეგუჩაძის** გუნდი დააზარალა: ერთი მატჩი გადაიდო, ახლა კი იმის მაგივრად, შინ ეთამაშა, სტუმრად მოუწია პაექრობამ. უფრო ზუსტად, „ნეიტრალურ" მოედანზე - თემქაზე მდებარე სპორტკომპლექს „შატილის" სტადიონმა ზედიზედ მეორედ უმასპინძლა უმაღლესი ლიგის შეხვედრას. იმის მიუხედავად, რომ „ზესტაფონს" ორი წამყვანი ფეხბურთელი (**თორნიკე აფციაური, გიორგი ონიანი**) აკლდა, წყვილში ფავორიტად მაინც გია გეგუჩაძის გუნდი მიიჩნეოდა. საბოლოოდ, „ზესტაფონმა" კი მოახერხა გამარჯვება, მაგრამ დიდი ჯაფის ხარჯზე: „სპარტაკის" გამოცდილმა მეკარემ **სოსო გრიშიკაშვილმა** ამ სეზონში უკვე მერამდენე შთამბეჭდავი მატჩი ჩაატარა, მაგრამ ორ შემთხვევაში უძლური იყო; სტუმართა მხრიდან გოლები ამ ჩემპიონატის ერთ-ერთმა გამორჩეულმა ფეხბურთელმა **ბუბა დაუშვილმა** და **რატი წინამძღვრიშვილმა** გაიტანეს. აი, ეს უკანასკნელი კი, ალბათ, მალე „გინესის რეკორდების წიგნში" მოხვედრაზეც განაცხადებს პრეტენზიას: დღესდღეობით ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირმა რატი წინამძღვრიშვილმა სეზონის დაწყებიდან 11 გოლი გაიტანა და ყველა ჯერზე ამას... შეცვლაზე შემოსული ახერხებდა!..

ტურში გატანილ გოლებზე ვსაუბრობთ და სხვა ფორვარდებიც უნდა ვახსენოთ: **ბესიკ ჩიმაკაძე** და **რევაზ ჯიქია** ზედიზედ მეორე მატჩია მოედანს უგოლოდ არ ტოვებენ. ქების ღირსია „ბაიას" თავდამსხმელი **ირაკლი ეხვაიაც**, ვისმა ერთადერთმა გოლმაც ზუგდიდურ გუნდს უმნიშვნელოვანესი 3 ქულა მოუტანა. საერთოდაც, მეორე ეტაპის სტარტზე „ბაიას" ასპარეზობა მხოლოდ და მხოლოდ დადებით ემოციებს იწვევს და **ელგუჯა ქომეთიანის** გუნდი რომ დღესდღეობით მართლაც საპატიო მეოთხე ადგილზე იმყოფება, კანონზომიერებად უფრო უნდა მივიჩნიოთ, ვიდრე — მოულოდნელობად. თანაც, ისე როგორც წინა ორ მატჩში, კვლავაც ჩინებული შთაბეჭდილება დატოვა „ბაის" დებიუტანტმა, 18 წლის ფორვარდმა ირაკლი ქობალიამ...

**გია ტუხაშვილი**




ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ფეხბურთი

● ქართველები რუსეთში

# კლიმიაშვილი და რობერტო კარლოსი ლეკურ ფლანგებზე

## ასათიანი ანჟიში: ჭორ-მართალი 10 მარტამდე გაირკვევა



ირაკლი კლიმიაშვილი



მალხაზ ასათიანი

მახაჩყალის „ანჟი“ თურქეთში მოსამზადებელ ეტაპს ამთავრებს. დაღესტნელებმა ბოლო საკონტროლო შეხვედრა მინსკის "დინამოს" 2:0 მოუგეს. რუსებისთვის ეს შეხვედრა იმით იყო გამორჩეული, რომ დაღესტნურ კლუბში პირველად ითამაშა მსოფლიოს ჩემპიონმა, ბრაზილიის ნაკრებისა და მადრიდის „რეალის“ ყოფილმა მცველმა **რობერტო კარლოსმა**.

ჩვენთვის კი მატჩი მნიშვნელოვანი იმით აღმოჩნდა, რომ ასეთი ცნობილი მოთამაშის გვერდით ორმა ქართველმა ითამაშა: **ნუკრი რევიშვილმა** შეუცვლელად, **ირაკლი კლიმიაშვილმა** კი 30 წუთი. აღსანიშნავია, რომ მძიმე დატვირთვების გამო, მოწინააღმდეგეები 30-30-წუთიან ტაიმებზე შეთანხმდნენ – ასე რომ, კლიმიაშვილს მთელი ტაიმი გამოუვიდა.

ირაკლიმ მე-18 წუთზე ტრავმირებული თანაგუნდელი შეცვალა. ის მეორე ტაიმის დასაწყისში მინსკელთა მეკარესთან პირისპირ დარჩა, მაგრამ მახვილი კუთხიდან ბურთი თავზე ვერ გადაუგდო.

ირაკლი კლიმიაშვილის "ანჟიში" დარჩენა გადაწყვეტილია. მახაჩყალელთა მთავარ მწვრთნელ **გაჯი გაჯიევს** 22 წლის ქართველი შემტევი ნახევარმცველი მოეწონა და ცნობილი გახდა, რომ მახაჩყალურ კლუბთან სამწელიწადნახევრიანი კონტრაქტი გააფორმა. რომ არა ეს ტრანსფერი, კლიმიაშვილს რუსთავის "ოლიმპში" სთავაზობდნენ თამაშს, პოლონეთის ექსტრაკლასის "პოლონიაში" გასინჯვაზე კი უარი თავად თქვა. შევიტყვეთ ისიც, რომ ერთ-ერთი მენეჯერი იაპონიის ჯეილიგის კლუბში მოწყობას ჰპირდებოდა.

მინსკის "დინამოსთან", ისევე როგორც "ანჟის" წინა ორ შეხვედრაში, მოედანზე არ გამოსულა 18 წლის ქართველი თავდამსხმელი **გიორგი ილურიძე**. ცხადია, ჩავთვალეთ, რომ გიორგის კონტრაქტი არ გაუფორმეს, რისი დიდი იმედიც თავად ჰქონდა.

დავინტერესდით და დავადგინეთ, რომ "ანჟის" მთავარმა მწვრთნელმა გაჯი გაჯიევმა გუნდის მოთამაშეთა ნაწილი უზბეკეთის საერთაშორისო ტურნირზე სათამაშოდ გაუშვა და ამ მათ შორის მოხვდა ილურიძეც, ანუ ის კვლავ კლუბში რჩება.

და ბოლოს, 2011 წლის ზამთრის სატრანსფერო სეზონის ყველაზე აქტუალური ქართული თემა – სად გააგრძელებს კარიერას **მალხაზ ასათიანი** და საქართველოს ნაკრების ცენტრალური მცველის მახაჩყალის "ანჟიში" გადასვლა არის თუ არა რეალური?

ორი წყარო განსხვავებულ ამბავს გვიყვება: ერთის მტკიცებით, "ანჟის" ხელმძღვანელობას ასათიანის გადაბირების დიდი სურვილი აქვს, მალხაზი დიდხანს თავს იკავებდა, მაგრამ, მადააღძრული ლეკური კლუბის ახალმა მეპატრონემ **სულეიმან კერიმოვმა** თითქმის იგივე ხელფასი შესთავაზა, რამდენსაც მოსკოვის "ლოკომოტივში" იღებდა და ტრანსფერი 95 პროცენტით გადაწყვეტილიაო. იმავე წყაროს თქმით, ასათიანს გასულ წელს ცნობილი თურქული კლუბი "ფენერბაჰჩეც" იწვევდა, მაგრამ მოლაპარაკება უშედეგოდ დასრულდაო.

მეორე წყაროს თქმით, ჯერ გამოცდილ ქართველ მცველს არ გადაუწყვეტია, სად ითამაშებს, მოსკოვში კვლავ ინდივიდუალურად ვარჯიშობს, მაგრამ იმედოვნებს, რომ 10 მარტამდე (როდესაც რუსეთში სატრანსფერო ფანჯარა დაიხურება) რუსეთის პრემიერლიგის რომელიმე კლუბში ჩაირიცხებაო.

უახლოესი დღეები გამოაჩენს, სად ითამაშებს ასათიანი. სამწუხაროდ, თავად მალხაზთან დაკავშირება შეუძლებელია.

**მერაბ მამულაშვილი**

● გაუგებრობა გრძელდება

# წერილი, რომლის ბოლო ნაწილსაც ფედერაცია არ ეთანხმება

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისა და "ზესტაფონის" დავას დასასრული ჯერ არ უჩანს. შეგახსენებთ, ფედერაცია კლუბისგან ხორვატი ახალწვეულის, **გორან გრუიცას** დარეგისტრირებისთვის დებულებით გათვალისწინებული 15 ათას ლარს სთხოვს, "ზესტაფონი" კი ამ თანხის ძველ ვალებში გაქვითვას ითხოვს.

"ლელოს" გუშინდელ ნომერში ამ საკითხთან დაკავშირებით "ზესტაფონის" პრესსამსახურის მიერ გავრცელებული ოფიციალური განცხადება შემოგთავაზეთ, ადგილის სიმცირის გამო კი კლუბის წერილი ველარ გამოვაქვეყნეთ და მას ახლა გთავაზობთ.

ფედერაციამ "ზესტაფონისგან" წერილი 22 თებერვალს მიიღო. კლუბის ვიცე-პრეზიდენტი **ვასილ გველესიანი** სფფ-ს სწერს, რომ გრუიცას დარეგისტრირებისთვის საჭირო თანხის გადახდას "ზესტაფონი" მიმდინარე სეზონის დასრულებამდე, ძველი ვალების გაქვითვით აპირებს. თუმცა ფედერაციის პოზიცია უცვლელია – "ზესტაფონს" ფული პროფესიული ფეხბურთის ლიგიდან აქვს დასაბრუნებელი და არა ფედერაციისგან, რაც შეეხება ფედერაციის დავალიანებას კლუბის მიმართ (დაახლოებით 4 ათას ევროს), მის დაფარვას სფფ მხოლოდ იმ შემთხვევაში აპირებს, თუ დავა "ზესტაფონის" სასარგებლოდ დასრულდება. სფფ-ის პოზიცია გენერალურმა მდივანმა **რევაზ არველაძემ** და გენერალური სამდივნოს უფროსმა **რევაზ შენგელიამ** გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე კიდევ ერთხელ დააფიქსირეს.

მოკლედ, საქმე ჯერჯერობით, ჩიხში რჩება, დათმობაზე წასვლას არც ერთი მხარე აპირებს. იმედი დავიტოვოთ, რომ ამ არცთუ სასიამოვნო ამბავს მალე დაესმება წერტილი და ეროვნული ჩემპიონატი მშვიდ ვითარებაში გაგრძელდება.

ფედერაცია გრუიცას დარეგისტრირებისთვის წერილს ელის, სადაც "ზესტაფონი" დააფიქსირებს, რომ 15 ათასს სეზონის დასრულებამდე გადაიხდის. აი, ამჟამინდელი წერილის შინაარსი და განსაკუთრებით კი სიტყვა "გაქვითვა" სფფ-ისთვის მიუღებლად რჩება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

● ლეგიონერები

# დავით მუჯირი: ამჯერად საგოლე



**დავით მუჯირის** "სანფრეჩე ჰიროსიმამ" მორიგი საკონტროლო შეხვედრა ჩაატარა. იაპონური კლუბის მოწინააღმდეგე იაპონიის ჯეილიგის გასული სეზონის მეცამეტეადგილოსანი "მონტედიო იამაგატა" იყო – ჰიროსიმელებმა 1:0 მოიგეს.

ქართველ ლეგიონერმა ერთი ტაიმი ითამაშა. მართალია, მუჯირს ამჯერად არ გაუტანია, მაგრამ "სანფრეჩე ჰიროსიმამ" გოლი კვლავ მისი მონაწილეობით გაიტანა.

*"დღეს საგოლე გადაცემას დავჯერდი და 1:0 მოვიგეთ. მე მხოლოდ მეორე ტაიმი ვითამაშე. სამი ნახევარმცველის ადგილზე ექვსი კონკურენტი ვართ და მთავარ მწვრთნელს მიხაილო პეტროვიჩს ჯერ არ სურს გაგვიმხილოს, პირველ ტურში ვის დააყენებს, ამიტომ შერეულად გვათამაშებს ხოლმე. ახლაც ვიცოდით, რომ თითო ტაიმს ვითამაშებდით, ჩემი სამეული კი მოედანზე მეორე ტაიმში შეიყვანა"*, - გვითხრა მუჯირმა.

**მერაბ მამულაშვილი**

# ტიტოვს ჯანო სპარტაკის ლიდერად ესახება

ევროპის ლიგის მეთექვსმეტედფინალის პირველ მატჩში შვეიცარიული "ბაზელის" კარში გატანილი გადამწყვეტი ეფექტური გოლის შემდეგ რუსეთში **ჯანო ანანიძის** პოპულარობა ერთიორად გაიზარდა. ფეხბურთის სპეციალისტები ქართველ ტალანტს ბოლო დღეებში სისტემატურად აქებენ და გამონაკლისი არც **იგორ ტიტოვია**.

გასული საუკუნის ბოლოს მოსკოვის "სპარტაკის" ლიდერმა "სპორტ-ექსპრესთან" ინტერვიუში თქვა, რომ უახლოს მომავალში ანანიძე გუნდის უმთავრესი ვარსკვლავი გახდება. *"როცა 18 წლის ფეხბურთელს მსაჯის მიერ დამატებულ დროში, ასეთ მნიშვნელოვან მატჩში გამარჯვების გოლი გააქვს, ეს მის უდიდეს პოტენციალზე მეტყველებს. დარწმუნებული ვარ, რომ ძალიან მალე ჯანო "სპარტაკის" ლიდერი გახდება"*, - ამბობს ტიტოვი.

კორესპონდენტმა მას ჰკითხა, შეძლებს თუ არა ანანიძე ბრაზილიელ **ალექსთან** ძირითად შემადგენლობაში მოსახვედრად კონკურენციის დაძლევას, რაზეც ტიტოვმა ასე უპასუხა: *"ანანიძე ალექსს არაფრით ჩამოუვარდება. ჯანოს მხოლოდ გამოცდილება აკლია, მაგრამ მალე ამასაც შეიძენს და თავის სათქმელს კიდევ უფრო ხმამაღლა იტყვის"*.

ტიტოვმა ისიც თქვა, რომ ანანიძის მოედანზე შესვლამდე "სპარტაკი" ძალიან უხარისხოდ თამაშობდა, ქართველის თამაშში ჩართვის შემდეგ კი მოსკოველები საგრძნობ სათამაშო და ტერიტორიულ უპირატესობას დაეუფლნენ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

● ლეგიონერი. ინტერვიუ ლაშა ჯაკობიასთან

# მეტალისტიდან ისევ დამიკავშირდნენ

## ფეხი თუ წაგიცდება, აქ დიდ ხაზს გადაგისვამენ

**ლაშა ჯაკობია უზბეკეთის ყველაზე ცნობილ კლუბ ტაშკენტის "ფახტაკორში" ისინჯებოდა, არაბთა გაერთიანებულ საემიროებში შეკრებაზეც გაჰყვა და მარიუპოლის "ილიჩივეცთან" საკონტროლო შეხვედრაშიც მონაწილეობდა. მართალია, უზბეკურ გუნდში არ დარჩენილა და ამაზე დიდად გული არც წყდება, დასანანი სხვა რამ იყო — "ფახტაკორის" ამჟამინდელ ხელმძღვანელობას საქმიანი და მეგობრული ურთიერთობა აკავშირებს იაპონიის საფეხბურთო სამყაროსთან და ჯაკობია სწორედ ამის იმედად მიდიოდა.**

**- "ფახტაკორში" რატომ ვერ დარჩი?**

- უზბეკებს უარი არ უთქვამთ. ცხადია, დიდი ხნის პაუზის შემდეგ, არ ვარ ფორმაში, მაგრამ შემომთავაზეს კონტრაქტი და ზაფხულამდე ერთ-ერთ უზბეკურ კლუბში განათხოვრება, რადგან აზიის ჩემპიონთა ლიგის განაცხადში ჩემს შეყვანას ვერ ახერხებდნენ. მაგრამ ასე დარჩენა არ მილირდა.

**- როგორც ვიცი, წინასწარ მოილაპარაკეთ, დარჩენისა და ფორმის აღდგენის შემთხვევაში, კლუბი იღებდა ვალდებულებას, ნახევარ ან ერთ წელიწადში იაპონიის ჯეილიგაში გაეშვი.**

- დიახ, ასეთი ლაპარაკი მართლაც გვქონდა.

**- ახლა სად ვარჯიშობ?**

- არაბეთიდან ორი დღის წინ დავბრუნდი და დილაობით ჩემი ბავშვობის მწვრთნელი თემურ ლორთქიფანიძე მავარჯიშებს. მომწონს, ძალიან კარგი და სასარგებლო მეთოდი აქვს.

**- დისკვალიფიკაციის გამო დიდი დრო გაგიცდა. 30 წლის ასაკში ამ დანაკარგის ანაზღაურება შესაძლებელი გგონია?**

- სამწუხაროდ, მართლა დიდი დრო გამიცდა, წელიწადზე მეტიც და შეიძლება, სასწაულ დონეზე ველარ ვითამაშო, მაგრამ იმედი რომ არ მქონდეს, არც ვივარჯიშებდი. რეალურიც მგონია უკრაინის ჩემპიონატში დაბრუნება, მაგრამ ჯერ სათამაშო პრაქტიკა მჭირდება.

**- რომელიმე ქართულ კლუბში თამაში არ გიფიქრია?**

- რატომაც არა. ცხინვალის "სპარტაკში" ჩემი ჩარიცხვა გადაწყვეტილიც იყო, მაგრამ მერე მიზეზების გამო ველარ მოხერხდა. სხვათა შორის, არაბეთში ემზადებოდა კიევის "ობოლონიც", ერთ სასტუმროში ვცხოვრობდით, მისი მთავარი მწვრთნელი კი კარგად მიცნობდა და დამელაპარაკა, სამი თვე სადმე ითამაშე, ფორმა აღიდგინე და აგიყვანო.



**- მოკლედ, ფეხბურთს დაუბრუნდი...**

- იმედიც მაქვს და მონდომებაც. სერიოზულად ვვარჯიშობ და მჯერა, კიდევ შემიძლია მაღალ დონეზე თამაში. სხვათა შორის, გაჭირვების დროს უკრაინელებისგან დიდი მხარდაჭერა ვიგრძენი. ხარკოვის „მეტალისტის" მთავარი მწვრთნელი მირონ მარკევიჩი და სპორტული დირექტორი მიკავშირდებოდნენ და ჩემი ამბებით ინტერესდებოდნენ, მათაც იგივე მითხრეს, რაც "ობოლონის" მწვრთნელმა, ფორმა აღიდგინე და ზაფხულში აგიყვანთო. "ილიჩივეცში" ორი ძველი თანაგუნდელის წინააღმდეგ ვითამაშე და ჩემი დანახვა ძალიან გაუხარდათ. კვლავ მინდა თამაში, მაგრამ საქართველოში უფრო მიჭირს გუნდის მოძებნა, ვიდრე უცხოეთში. ერთი ფეხი თუ წაგიცდება, აქ დიდ წითელ ხაზს გადაგისვამენ. ეს ჩემი ბრალია, მაგრამ როდესაც სწორ გზას დაადგები და მაინც იგივე მეორდება, გულდასაწყვეტია... არადა, მადლობა ღმერთს, ჯანმრთელად ვარ და რაც მთავარია, ფეხბურთზე ვფიქრობ და არა გართობაზე.

**- "ფახტაკორშია" კახა მახარაძე, რომლის თამაშიც კარგა ხანია არ გვინახავს.**

- კახა "ფახტაკორის" ლიდერია. გული დამწყდა, ასეთი ნიჭიერი ბიჭი უზბეკეთში არ უნდა იყოს, უკეთეს ლიგაში მოხვედრას იმსახურებს, თანაც 24 წლის არის. დარწმუნებული ვარ, კარგად თუ მოემზადება, უკრაინაში თავისუფლად ითამაშებს.

**მერაბ მამულაშვილი**

# დაუგავამ ლოკომოტივთან წააგო

**თამაზ პერტიას** განვრთნილი ლატვიური "დაუგავა" თურქეთში მოსამზადებელ შეკრებას ამთავრებს. გუნდმა ორი საკონტროლო შეხვედრა ითამაშა და ორივე წააგო: ჯერ მოკოვის "ლოკომოტივთან" – 0:2, შემდეგ კი რუსეთის პირველლიგელ ნოვოსიბირსკის "სიბირთან" – 0:3.

"ლოკომოტივთან" ძირითადში ითამაშეს **გიორგი ჩიხრაძემ** და **მამუკა ლონლაძემ**, სათადარიგო შორის იყვნენ **თომა ტაბატაძე** და **შალვა ლობჟანიძე**. "სიბირთან" ძირითადში მხოლოდ **ბუკა ცინცაძემ** ითამაშა, ტაბატაძე კი მოედანზე მეორე ტაიმში გამოჩნდა. წაგების მიუხედავად, პერტიამ სწორედ ცინცაძის თამაში გამოარჩია.

**მერაბ მამულაშვილი**

ჩელსი

# ჯონ ტერი: მთავარია, მანჩესტერს მოვუგოთ



**ჯონ ტერი** „მანჩესტერ იუნაიტედის“ შესამოწმებლად მზად არის და ამბობს, რომ „ჩელსის“ ჩემპიონობისთვის ბრძოლის შანსი არ დაუკარგავს. მოკლედ, ინგლისის ჩემპიონთა კაპიტანი ბედს და კონკურენტს არ ნებდება. არადა, თუ გახსოვთ, დაახლოებით ორი კვირის წინ თვით „ლურჯების“ თავკაცმა, **კარლო ანჩელოტიმ** თქვა, რომ ამდენი წარუმატებლობის შემდეგ ტიტულისთვის ბრძოლა თითქმის შეუძლებელი გახდა. დღეს ლიდერ „იუნაიტედსა“ და „ლურჯებს“ შორის სხვაობა 12 ქულას აღწევს. ეს, რასაკვირველია, დიდი უპირატესობაა, მაგრამ „ჩელსის“ ვარსკვლავი შემდეგ სამშაბათს ელის, როდესაც მანჩესტერელები „სტემფორდ ბრიჯზე“ უნდა ჩავიდნენ სათამაშოდ. 30 წლის ცენტრალური მცველი ამბობს:

*„ჩემპიონობის შანსი არ დაგვიკარგავს. ის შესაძლოა დიდი არ არის, მაგრამ არც ნულის ტოლია. მთავარია „იუნაიტედს“ უშუალო დაპირისპირებაში ვაჯობოთ. თუ ვერ გავიმარჯვებთ, მაშინ ლაპარაკი შეწყდება. 12 ქულა დიდი სხვაობაა, მაგრამ განა ერთხელ და ორჯერ დასწევიან ასე დაწინაურებულ გუნდებს? არ გახსოვთ,*



ჯონ ტერის ტორესთან ერთად თამაში მოსწონს

*თვით „იუნაიტედმა“ „ნიუკასლს“ რომ „ამოუქაჩა“ ასეთი უპირატესობა? მოკლედ, გამორიცხული ნამდვილად არაფერია, ოღონდ ამისათვის საჭიროა მანჩესტერელები მუდმივი ზეწოლის ქვეშ გვყავდეს.*

*არ გეგონოთ, მომავალი სამშაბათის თამაშს რეკლამას ვუკეთებდე. „ჩელსისა“ და „მანჩესტერ იუნაიტედის“ დაპირისპირებას რეკლამა არ სჭირდება, ის ყოველთვის დიდი და დაძაბული გამოდის. მხოლოდ ერთს ვიტყვი, ჩვენთვის ის აუცილებლად მოსაგებთა კატეგორიას განეკუთვნება. დიახ, „მანჩესტერ იუნაიტედთან“ შეხვედრაში ჩვენთვის ფრეც კი არაფერს ნიშნავს. ერთი სიტყვით, მოედანზე ყოველგვარი შიშის გარეშე და უდიდესი ჟინით უნდა გავიდეთ. მანჩესტერელებს დიდებული გუნდი ჰყავთ, მაგრამ არა მგონია, რომ ჩვენ მათი უნდა გვეშინოდეს. დაუმარცხებლები ნამდვილად არ არიან.*

*დღეს ჩვენი მდგომარეობა ძალიან ჰგავს შარშანდელს, როდესაც ტიტულისკენ გზაზე უშუალო კონკურენტებთან ბევრი თამაში გვქონდა დარჩენილი. ჩვენ „ლივერპულსაც“ და „იუნაიტედსაც“ სტუმრად ვეთამაშეთ და ორივეს მოვუგეთ. სწორედ იმ გამარჯვებებმა ითამაშეს გადამწყვეტი როლი ჩვენს მიერ დუბლის მოპოვებაში. ვფიქრობ, შარშანდელი გამოცდილება წლეულსაც ძალიან გამოგვადგება. ძალიან მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, რომ ჩვენ ეს ერთხელ უკვე გაგვიკეთებია“.*

ტერი იმედოვნებს, რომ შემდეგი სამშაბათის თამაში, რომელიც მთელ ევროპაში გადაიცემა, „ჩელსის“ გაჭირვებას ბოლოს მოუღებს და გუნდს კვლავ გამარჯვებათა გზაზე დააყენებს. თან, ბოლო დღეებში, „ლურჯებისთვის“ კარგი ამბები მიეწყო ერთმანეთს: თავად კოპენჰაგენში ჩემპიონთა ლიგის თამაში მოიგეს (2:0), პრემიერლიგის ოთხეულში მოხვედრის კონკურენტმა „ტოტენჰემ ჰოთსპურმა“ კი მოულოდნელად „ბლექპულთან“ 3:1 წააგო. შეგახსენებთ, რომ ინგლისის ჩემპიონი დღეისათვის ცხრილში მეხუთე პოზიციაზეა, „ტოტენჰემს“ 2 ქულით ჩამორჩება, ხოლო „მანჩესტერ სიტის“ ოთხით, მაგრამ ორივეზე ერთი თამაშით ნაკლებიც აქვს

**ბედნიერი ვარ, რომ უკვე ტორესის მეტოქე კი არა, თანაგუნდელი ვარ.**

ნათამაშები. თან, დახედეთ დარჩენილი მატჩების განრიგს: „მანჩესტერ იუნაიტედთან“ დასავლეთლონდონელებს ორივე შეხვედრა აქვთ დარჩენილი, „სფურზს“ და „სიტის“ კი „სტემფორდ ბრიჯზე“ ელიან. ტერი განაგრძობს:

*„ყველა გუნდი, რომელიც კი პრემიერლიგის ზედა ადგილებისთვის იბრძვის, შესაძლოა დაცურდეს. ჩვენც სწორედ აქ უნდა ვიყოთ ჩასაფრებული. როგორც კი „სიტი“ ან „ტოტენჰემი“ ქულებს დაკარგავენ, ჩვენ მათთან სხვაობა უნდა შევამციროთ.*

*„ჩელსის“ ბოლოდროინდელ კრიზისს ხალხი ჩვენს ასაკს აბრალებდა, მაგრამ მერწმუნეთ, ჩვენ სულაც არ ვართ „მანჩესტერ იუნაიტედის“ ფეხბურთელებზე ასაკოვანი. ცხრილის ზედა ნახევრის სხვა გუნდებიც ვერ დაიკვეხნიან, მაინცდამაინც, ჩვენზე ახალგაზრდობით. თან, ჩვენი ასაკი დიდ უპირატესობასაც ნიშნავს: მსგავს სიტუაციებში მოხვედრის უდიდესი გამოცდილება გვაქვს. თან, ერთმანეთი ათას ბრძოლაში გვყავს გამოცდილი და ყველამ ვიცით, რომ გამარჯვება შეგვიძლია“.*

ისე როგორ იქნებოდა, ტერისთვის „ლივერპულისგან“ 50 მილიონ ფუნტად ნაყიდი **ფერნანდო ტორესის** შესახებ რომ არ ეკითხათ. კაპიტანმა თქვა:

*„ტორესი, ნიკოლა ანელკა და დიდიე დროგბა თანამედროვეობის საუკეთესო თავდამსხმელები არიან და თითოეულ მათგანს განსხვავებული სტილი და თვისება აქვს. მათ წინააღმდეგ თამაში მეტოქეებისთვის ძალიან უსიამოვნოა. მე ბედნიერი ვარ, რომ ამიერიდან ტორესის მეტოქე კი არა, თანაგუნდელი ვიქნები. კოპენჰაგენში მან შესანიშნავად ითამაშა. ერთადერთი, რაც მის თამაშს აკლდა, გოლი იყო, მაგრამ ახალ ფეხბურთელებს შესაჩვევად და გოლის გასატანად ერთი-ორი თამაში ყოველთვის სჭირდებათ. ვფიქრობ, ფერნანდოსთვის შემდეგ სამშაბათს „იუნაიტედის“ კარში გოლის გატანა „ჩელსიში“ კარიერის შესანიშნავი დასაწყისი იქნება“.*

**დოსიე**

**30 წლის**
**სიმაღლე: 189 სმ**
**ნომერი: 26**
***ჩელსიში 1998 წლიდან***
**ინგლისის ნაკრებში: 65 თამაში, 6 გოლი**

საინტერესო დეტალი:

**ტერი ბავშვობიდან მანჩესტერ იუნაიტედის ფანია**

ინგლისი. პრემიერლიგა. გამოტოვებული მატჩი

# არსენალი: +3 ქულა, –2 ვარსკვლავი

„არსენალისა“ და „სტოკ სიტის“ გამოტოვებულ შეხვედრაზე, უპირველეს ყოვლისა, აი, რა უნდა ვთქვათ: **თეო უოლკოტი** კვირას „ქარლინგის“ თასის ფინალს გამოტოვებს, **სესკ ფაბრეგასი** კი ჯერ კარგად არის გასასინჯი - მან ორთავა კუნთი თამაშის დასაწყისშივე იტკინა. უოლკოტი მოედნიდან 71-ე წუთზე საკაცით გაიყვანეს. მიზეზი: **დინ უაიტჰედთან** ორთაბრძოლის დროს მან მოუხერხებლად გადადგა ნაბიჯი და კოჭი დაიზიანა. ყოველივე ამის შემდეგ კი შეიძლება ითქვას, რომ თამაში „არსენალმა“ 1:0 მოიგო.

„მეთოფეთა“ მწვრთნელმა **არსენ ვენგერმა** თქვა: *„ვერ გეტყვით, რამდენი ხნით გამოგვაკლდა უოლკოტი, მაგრამ კვირას ფინალში, „ბირმინგემის“ წინააღმდეგ ნამდვილად ვერ ითამაშებს. ის ამის გამო ძალიან გულდაწყვეტილია“.*

კაპიტანი ფაბრეგასი კი ბოლო წელიწად-ნახევარია ორთავა კუნთის ტკივილმა დატანჯა. მას „სტოკთან“ თამაშის მე-14 წუთზე ნაცნობმა პრობლემამ შეახსენა თავი. ფაბრეგასმა თავის „ტვიტერზე“ დაწერა:

*„თუ საჭიროა კვირამდე თვალსაც არ მოვხუჭავ. სულ ექიმებთან ვიჯდები, რასაც დამავალებენ, იმას გავაკეთებ. იმდენ ხანს ველოდი დღეს, როდესაც „არსენალს“ რომელიმე ფინალში ვუკაპიტნებდი, რომ ამ შანსს ხელიდან ვერ გავუშვებ. ბოლო წამამდე არ გადავიწურავ იმედს, რომ „ქარლინგის“ თასის ფინალში თამაშს შევძლებ“.*

საკუთრივ თამაშზე კი ის შეიძლება ითქვას, რომ **სებასტიან სკილაჩის** მიერ მე-8 წუთზე გატანილით ჩრდილოლონდონელებმა „მანჩესტერ იუნაიტედთან“ სხვაობა შეამცირეს და ახლა მას ერთადერთი ქულით ჩამორჩებიან.

ამ შეხვედრაში ვენგერმა არ ათამაშა **რობინ ვან პერსი,** რომელსაც ფაბრეგასის მსგავსად ორთავა კუნთი ახსენებს ხოლმე თავს და მისი დასვენება სჯობდა. მის ნაცვლად მოედანზე **ნიკლას ბენდტნერი** იყო. **ტონი პულისის** გუნდში კი წინა, სათასო შეხვედრისგან განსხვავებით თამაშობდნენ მეკარე **ასმირ ბეგოვიჩი** და უკვე ნახსენები უაიტჰედი, ხოლო რაიან შოუკროსმა **აარონ ლენონისთვის** ფეხის მოტეხის ერთი წლისთავზე „სტოკს“ „არსენალის“ წინააღმდეგ უკაპიტნა.

მოგეხსენებათ, „მეთოფეებს“ წინა შეხვედრა ფეხბურთის ასოციაციის თასზე „ლეიტონ ორიენტთან“ ჰქონდათ, რომელიც ვერ მოიგეს, 1:1 ითამაშეს და ამ შოკიდან გამოსასვლელად „სტოკს“ მსაჯის სასტვენიდანვე მივარდნენ. მატჩის დაწყებიდან ერთი წუთიც არ იქნებოდა გასული, რომ „არსენალმა“ ძელს გაარტყა ბურთი — ეს ფაბრეგასმა გააკეთა. ამის შემდეგ უოლკოტი შევარდა მეტოქის საჯარიმოში „რეაქტიულ სისწრაფეზე“, ორ მცველს შორის მოქცეულმა დარტყმაც მოახერხა, მაგრამ ბეგოვიჩი ბურთს უპრობლემოდ დაეუფლა. თუმცა ზეწოლამ შედეგიც მალე მოიტანა. კუთხური უილშირმა ჩააწოდა, ბურთი საჯარიმოს გადალმა ბენდტნერმა მიიღო და ის მეკარის ეგრეთ წოდებულ ბაქნის ხაზთან დაახლოებით თერთმეტმეტრიანი ნიშნულის წინ ჩააწოდა, სადაც სკილაჩიმ ყველას დაასწრო და თავურით შეხვედრის ერთადერთი ბურთი შეაგდო. ამის შემდეგ გუნდებს, რასაკვირველია, ჰქონდათ სახიფათო მომენტები, მაგრამ ანგარიში აღარ შეცვლილა.



ფაბრეგასის თამაში თასის ფინალში საეჭვოა...

...უოლკოტის გამორიცხულია

**გმირი**



**სებასტიან სკილაჩი**
**1 დარტყმა - 1 გოლი**
**სეზონში: 17 თამაში, 1 გოლი, 9 დარტყმა**
**კლუბები: ტულონი, მონაკო, აიაჩო, ლიონი, სევილია**
**საფრანგეთის ნაკრებში: 21 თამაში**

**არსენალი–სტოკი 1:0**

**არსენალი** (4-4-2): შჩ ესნი - სანია, ჯჯურუ, სკილაჩი, კლიში - უოლკოტი (71. დენილსონი), უილშირი, სონგი, ნასრი - ფაბრეგასი (14. არშავინი), ბენდტნერი (80. შამახი)

**სტოკი** (4-4-2): ბეგოვიჩი - უილსონი (88. უილკინსონი), ჰუთი, შოუკროსი, პაფი - პენანტი, უილენი, უაიტჰედი, დილეპი - უოლტერსი (78. ფულერი), კარეუ

**გოლები:** 1:0 სკილაჩი (8)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 2. არსენალი | 27 | 17 | 5 | 5 | 57-27 | 56 |
| 10. სტოკი | 27 | 10 | 3 | 14 | 31-34 | 33 |

არაბები ნისლიან ალბიონზე

# არაბული დერბი მანჩესტერში?

ყატარის სამეფო ოჯახი „მანჩესტერ იუნაიტედის“ ყიდვას აპირებს და მზადაა ამ ინგლისურ კლუბში 1,5 მილიარდი ფუნტი გადაიხადოს. ეს თანხა ევროებში 1,77 მილიარდია, დოლარებში კი 2,43 მილიარდი. **ალ თანების** ოჯახთან დაახლოებულმა ადამიანმა ინგლისურ ტაბლოიდებს გაუმხილა, რომ ემირი მანჩესტერელთა ამჟამინდელი მეპატრონეების, ამერიკელი ძმების, **გლეიზერების** დაყოლიებას თებერვლის დასაწყისში 1 მილიარდად აპირებდა, მაგრამ მათ უარი თქვეს, რადგან 1,8 მილიარდის შოვნას ვარაუდობენ.

როგორც ხედავთ, მთლად გლეიზერების სასურველი თანხა არა, მაგრამ 500 მილიონი ფუნტით მეტი უკვე შესთავაზეს ყატარელებმა ამერიკელებს. შესაძლოა კიდევ მომატონ. მიზეზი: გარდა პრაქტიკული მოსაზრებებისა და ფეხბურთის განვითარებასთან დაკავშირებული პროექტებისა, ალ თანებს მეზობლებთან, გაერთიანებული საამიროების მმართველ ოჯახთან სურთ გაჯიბრება. მოგეხსენებათ, აბუ-დაბის შეიხი **მანსურ ბინ ზაიედ ბინ სულტან ალ ნაჰიანი** „მანჩესტერ სიტის“ მეპატრონეა. და თუ ყატარის სამეფო ოჯახის გეგმა განხორციელდება, არაბ ემირთა ქიშპიანი მეზობლობა ინგლისის ქალაქ მანჩესტერის საფეხბურთო დერბიში გადაინაცვლებს.

ზემოთ პრაქტიკული მოსაზრებებიც ვახსენეთ. მოგეხსენებათ ყატარმა 2022 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობის უფლება მოიპოვა, რასაც მთელი მსოფლიოს პრესა გაოცებით და ერთგვარი წინააღმდეგობით შეხვდა. ბევრ სხვა მოსაზრებასთან ერთად დაიწერა, რომ ამ არაბულ ქვეყანაში ფეხბურთი იმდენად არ უყვართ, რომ მსოფლიოს ჩემპიონატს უმასპინძლონ. სწორედ ამიტომაც სჭირდებათ ქვეყნის მმართველთ ყველას დაუმტკიცონ, რომ ყატარი საფეხბურთო ქვეყანაა.

„მანჩესტერ იუნაიტედი“ ჯერჯერობით არ ადასტურებს, რომ „ყატარ ჰოლდინგისგან“ რაიმე წინადადება მიიღო, მაგრამ ზემოთ ნახსენები წყარო აცხადებს, რომ მხარეებს შორის მოლაპარაკება შესაძლოა არაფორმალურ ვითარებაში მიმდინარეობდეს. ყველაფრის თავში, რასაკვირველია, შეიხ **ჰამად ბინ ხალიფა ალ თანი** დგას.



შეიხი ალ თანი ბრიტანეთის დედოფალთან შეხვედრაზე

**დოსიე**



**შეიხ ჰამად ბინ ხალიფა ალ თანი**
**59 წლის**
**ყატარის ამირა 1995 წლიდან;**
**ტახტიდან საკუთარი მამა ჩამოაგდო გადატრიალებით;**
**ჰყავს 3 ცოლი და 24 შვილი**

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სერია A გამოტოვებული მატჩი

# ვინჩენცო მონტელას წარმატებული დებიუტი



ვინჩენცო მონტელას დებიუტი „რომას“ მთავარი მწვრთნელის პოსტზე წარმატებული გამოდგა. „ჯალოროსი“ „ბოლონიას“' ესტუმრა და დანიელე დე როსის მიერ გატანილი გოლის წყალობით მეტოქე მინიმალური ანგარიშით დაამარცხა. თამაშამდე რომაული კლუბის პრეზიდენტმა სრულიად სამართლიანად აღნიშნა, რომ პირველივე შეხვედრაში მონტელას უპირობო გამარჯვებას ვერ მოთხოვდნენ, თუმცა იქვე დასძინა, არადა, ქულები ჰაერივით გვესაჭიროებაო. როზელა სენსის გაუმართლა, ახალმა მწვრთნელმა გამარჯვებით დაიწყო, „რომამ“ კი უმნიშვნელოვანესი სამი ქულა ჩაიწერა აქტივში. სატურნიროსთან ერთად ფეხბურთელებმა ფსიქოლოგიური მდგომარეობაც გაიუმჯობესეს, რაც ასევე უმნიშვნელოვანესი გახლავთ.

შეხვედრის პირველი ტაიმი სტუმართა ტერიტორიული და სათამაშო უპირატესობით წარიმართა. მოტელამ კლაუდიო რანიერის ტაქტიკა არ შეცვალა და გუნდი 4-3-1-2 სქემით ათამაშა. სათადარიგოთა სკამზე დატოვა ფრანჩესკო ტოტი, შეტევის წინა ხაზზე კი მირკო ვუჩინიჩი და მარკო ბორიელო გაამწესა. თავდამსხმელთა უკან ფაბიო სიმპლისიო მოქმედებდა, ჟერემი მენეზი კი მხოლოდ მეორე ნახევარში ჩაერთო თამაშში. საგულისხმოა, რომ მონტელამ კარში ალეშანდრე დონი დააყენა და არა ჟულიო სერჟიო, რაზეც მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე საგანგებოდ გაამახვილა ყურადღება. სასტარტოში მოხვდა დავიდ პიზაროც, რომელიც

**ბოლონია-რომა 0:1**

**ბოლონია (4-3-1-2):** ვივიანო – ესპოზიტო, მუტარელი (71. სილიგარდი), ჩერუბინი, რუბინი (88. მორლეო) – კაზარინი, მუდინგაი, დელა როკა – რამირესი – მეჯორინი (70. პაპონი), დი ვაიო.

**რომა (4-3-1-2):** დონი – ნ. ბურდისო, რიისე, მექსე, კასეტი – დე როსი, პიზარო, ტადეი – სიმპლისიო (79. ბრიგი) – ბორიელო (73. ტოტი), ვუჩინიჩი (82. მენეზი).

**გოლი:** 0:1 დე როსი (45).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 6. რომა | 26 | 12 | 6 | 8 | 39-36 | 42 |
| 12. ბოლონია | 26 | 9 | 8 | 9 | 27-34 | 32 |

*ბოლონიას დაკლებული აქვს 3 ქულა*

თითქოს არ იყო მზად „ბოლონიასთან“ შეუცვლელად სათამაშოდ. პირველად გატანის შანსი სიმპლისიოს მიეცა, მაგრამ მისი დარტყმული მცირე მანძილით ასცდა ბოლონიელთა კარის ჩარჩოს. აქტიური იყო ვუჩინიჩიც და რამდენიმე ეპიზოდში გაამწვავა ვითარება მეტოქის კართან. გოლი კი რომაელებმა ტაიმის მიწურულს გაიტანეს - ვუჩინიჩმა მარცხენა ფრთაზე მიიღო ბურთი და იქვე, ახლოს მყოფ დანიელე დე როსის დაუგორა, ამ უკანასკნელმა ცენტრისკენ შეინია და უძლიერესი დარტყმით გაახვია ბურთი მასპინძელთა კარის ბადეში - სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ დე როსის მცირე რეკოშეტიც დაეხმარა.

მეორე ნახევარი მასპინძელთა ტერიტორიული უპირატესობით წარიმართა, თუმცა რეალური მომენტი რომაელთა კართან პრაქტიკულად არ შექმნილა. ერთი-ორჯერ მეჯორინის შეეძლო თავის გამოჩენა, მაგრამ დამაგვირგვინებელ ფაზაში ვერ ივარგა. შეტევაში ვერც სტუმრები ბრწყინავდნენ, რამაც მონტელას ცვლილებებისკენ უბიძგა - თამაშში ფრანჩესკო ტოტი და ჟერემი მენეზი ჩაერთვნენ, თუმცა დიდად ვერც მათ დაგვამახსოვრეს თავი. შედეგად, ანგარიში პირველი ტაიმის დარჩა და როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „რომამ“ უმნიშვნელოვანესი სამი ქულა ჩაიწერა აქტივში. ბუნებრივია, რომ მატჩის შემდეგ ვინჩენცა მონტელა იყო ყურადღების ცენტრში - მოვუსმინოთ „რომას“ ახალ მთავარ მწვრთნელს:

*„თამაშამდე კარგად შევისწავლეთ „ბოლონია“, რომელიც მოედნის ცენტრში მჭიდროდ მოქმედებს და მარკო დი ვაიოსთვის ზონების გათავისუფლებაზე ფიქრობს. მეტოქეს სივრცეები გადავუკეტეთ და ჩვენი კოზირები გამოვიყენეთ, რამაც დადებით რეზულტატამდე მიგვიყვანა. შესანიშნავი შეგრძნება იყო „რომას“ მთავარი მწვრთნელი, თანაც ასეთ ახალგაზრდულ ასაკში, როდესაც ყველაფერი წინ გაქვს. ბევრი გამოცდილი სპეციალისტი ინატრებდა ჩემს ადგილზე ყოფნას და ვეცდები, რომ ეს შანსი ბოლომდე გამოვიყენო. ტოტი? - უფრო მონდომებული ჩანს ვარჯიშებზე, ვიდრე ჩვენი ერთად თამაშის პერიოდში. მაგალითია თანაგუნდელებისთვის და მასზე ძალიან დიდ იმედებს ვამყარებ. თუმცა, ამ ეტაპზე არ გვაქვს იმის ფუფუნება, რომ სამი თავდამსხმელით ვითამაშოთ და ამიტომ, ფრანჩესკოს თადარიგში დატოვებამ მომიწია. ეს იმას არ ნიშნავს, რომ მომდევნო პაექრობაშიც რეზერვში დარჩება - ვინც კონკრეტულ მომენტში უკეთეს ფორმაში იქნება, სასტარტო თერთმეტეულშიც იმას დავაყენებ. დავიდ პიზარო მართლაც არ იყო 100%-ით მზად ამ თამაშისთვის, მაგრამ ძალიან საჭირო ფეხბურთელია გუნდისთვის და აუცილებლად უნდა დამეყენებინა ძირითადში. საბედნიეროდ, უვნებლად ჩაამთავრა შეხვედრა და საუკეთესო შთაბეჭდილება დატოვა. ჟულიო სერჟიოს საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, კარგი მეკარეა, მაგრამ მე მაინც ალეშანდრე დონის ვანიჭებ უპირატესობას. ჩემი აზრით, დონი ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული კიპერია მსოფლიოში და თუ ჯანმრთელი იქნება, ძირითადში სწორედ მას დავაყენებ. მადლობა გულშემატკივრებს, რომლებიც ჩამოგვყვნენ ბოლონიაში და აქტიურად გვიქომაგეს“.*

**ლაშა წიკლაური**

ფეხბურთი და რწმენა



# შორს ცოდვის ქალაქიდან

**დოსიე**

**პოლ-ჟოზე მპოკუ**

18 წლის

კლუბი: ტოტენჰემი

ლეიტონში (იჯარა): 16 თ, 1გ.

ნაკრები: ბელგია უ-19, 6 თ, 4 გ.

დაიბადა: კინშასა (კონგო)

„ლეიტონ ორიენტი“ ის გუნდია, ფეხბურთის ასოციაციის თასზე „არსენალთან“ ფრე, 1:1 რომ გაახერხა და ახლა „ემირეითს სთედიუმზე“ გადათამაშება ელის. რას ნიშნავს „ლეიტონისთვის“ ეს მატჩი? მთელ ინგლისში თამაშის პირდაპირ ტრანსლაციას და პირველი ლიგის გუნდისთვის ბევრ ფულს. „ლელოს“ მკითხველმა იცის, რომ პირველი შეხვედრის დასრულების შემდეგ „ლეიტონის“ გახარებულმა თავმჯდომარემ, **ბერი ჰერნმა** ფეხბურთელებს ლას-ვეგასში წაყვანა აღუთქვა. მისი მხრიდან ეს ერთგვარი დამატებითი პრემია იყო, მაგრამ 18 წლის ბელგიელმა **პოლ-ჟოზე მპოკუმ** გუნდთან ერთად ამერიკაში გაფრენა არ ისურვა. თავისი გადაწყვეტილება მან ასე ახსნა:

*„ჩვენმა თავმჯდომარემ ისე გაიხარა, რომ უნდოდა დაუყოვნებლივ დავესვით კერძო თვითმფრინავში და ლას-ვეგასში წავეყვანეთ. ის მწვრთნელმა, რასელ სლეიდმა გააჩერა, რადგან რამდენიმე დღეში პირველ ლიგაში თამაში გვქონდა. მაშინ თავმჯდომარემ თქვა, რომ როგორც კი კალენდარი საშუალებას მისცემს, დანაპირებს აასრულებს. ბიჭებს ძალიან გაუხარდათ, მაგრამ მე ღრმად რელიგიური ადამიანი გახლავართ და ლას-ვეგასში არ წავყვები. ლას-ვეგასი აზარტული თამაშებისა და ცოდვის ქალაქია. თან, მე ჯერ 18 წლის ვარ და კაზინოებში არც შემიშვებენ“.*

ბელგიის 19-წლამდელთა ნაკრების ნახევარმცველმა, რომელიც კონგოშია დაბადებული, მიმდინარე სეზონში „ლეიტონ ორიენტის“ შემადგენლობაში 22 შეხვედრა ჩაატარა. „არსენალთან“ პირველ შეხვედრაში მან მხოლოდ 8 წუთი ითამაშა, თუმცა იმედოვნებს, რომ საპასუხო მატჩში სასტარტო შემადგენლობაში იქნება.

*„პირველ შეხვედრაში მხოლოდ 8 წუთი ვითამაშე, რაც ძალიან სამწუხაროა. მე ხომ ხშირად გამოვყავარ სასტარტო შემადგენლობაში, თუმცა იმ ისტორიულ მატჩში თუნდაც ცოტა ხნით მიღებაც მონაწილეობას ძალიან კარგი იყო“.*

**ილია ბაბუნაშვილი**

მოსაზრება



იბრაჰიმოვიჩი, გვარდიოლა და უკანა პლანზე მოურინიო

# იბრა: მოურინიოსთვის მოვკვდებოდი

## გვარდიოლას კი ვერაფერი გავუგე

**ზლატან იბრაჰიმოვიჩი** ყოველთვის საინტერესოდ საუბრობს პრესასთან და გამონაკლისი არც „გაძეტა დელო სპორტის“ ჟურნალისტთან მისი დიალოგი იყო. „მილანის“ შვედმა ლეგიონერმა „ბარსელონასა“ და „ინტერში“ გატარებული პერიოდები გაიხსენა, ამასთან ორი მწვრთნელი: ხოსეპ გვარდიოლა და ჟოზე მოურინიო შეადარა ერთმანეთს. გარდა ამისა, „მილანისა“ და „ინტერის' შედარებაც მოახდინა - ამ ყველაფერზე ქვემოთ თავად იბრაჰიმოვიჩი მოგითხრობთ...

### მოურინიო VS გვარდიოლა

ორი რადიკალურად განსხვავებული ადამიანი, რომლებსაც საერთო პრაქტიკულად არაფერი აქვთ. არ მინდა დავაკნინო გვარდიოლას მიღწევები, ის მართლაც უმაღლეს მწვერვალებს იპყრობს, მაგრამ ფაქტია, რომ პირადად მე პეპს ვერაფერი გავუგე. „ბარსაში“ გადასვლიდან პირველი ორი თვის განმავლობაში ყველაფერი კარგად იყო და თავს შესანიშნავად ვგრძნობდი, აი შემდეგ კი რაღაც მოხდა და სიმართლე გითხრათ, დღემდე არ ვიცი რა. გვარდიოლამ შეწყვიტა ჩემთან ურთიერთობა და ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ ზედმეტი ვიყავი გუნდში. როდესაც მწვრთნელი სტიმულს არ გაძლევს, ძნელია მოტივაცია შეინარჩუნო და ენთუზიაზმით იყო აღსავსე. დღემდე ვერ გავიგე, რა იყო ამის მიზეზი, მაგრამ ასე გაგრძელება არ შეიძლებოდა და კატალონიის დატოვება მომიხდა.

ჟოზე მოურინიო სულ სხვა ადამიანია, თითოეულ ფეხბურთელთან მუდმივი კონტაქტი აქვს და იცის, რა დროს რა სიტყვა უნდა თქვას. ის მეგობარია, მამა, მრჩეველი და ამ ყველაფერს მწვრთნელობას უთავსებს. იმხელა მუხტი მოჰქონდა ჩემამდე, რომ მზად ვიყავი მისთვის მოვმკვდარიყავი. დიახ, ერთ სიტყვასაც არ ვამატებთ, ჩვენ თანამებრძოლები ვიყავით და ასეთ დროს, ყველაფრისთვის მზად ხარ. მოურინიოსთან გატარებული პერიოდი არასდროს დამავიწყდება.

### მილანი VS ინტერი

„ინტერზე“ ცუდს ვერაფერს ვიტყვი, რადგან ამ გუნდში არაერთი დაუვიწყარი წელი გავატარე. „ნერაძურის“ შესანიშნავი გულშემატკივრები ჰყავს, რომელთა მხარდაჭერასაც მუდმივად ვგრძნობდი. ყველაზე არისტოკრატულები და თავშეკავებულები არიან მთელ იტალიაში, მაშინაც გიჭერენ მხარს, როდესაც მოედანზე არაფერი გამოგდის. თუმცა, უნდა ვაღიაროთ, რომ ისტორიული გადასახედიდან „მილანი“ უფრო დიდი გუნდია და იმედია, ამ სიტყვებისთვის „ინტერის“ ტიფოზები არ გამინაწყენდებიან. სხვათა შორის, ამას მაშინვე იგრძნობ, როდესაც „მილანელოს“ კარს შეაღებ და შემდეგ „როსონერის“ მუზეუმში აღმოჩნდები. საოცარი განცდაა, როდესაც უამრავ თასს ათვალიერებ და ხვდები, რომ ძალიან დიდი კულტურის ნაწილი ხარ. დიახ, „მილანი,“ არც მეტი არც ნაკლები, ცალკე კულტურაა, ფილოსოფია. კარიერის დასრულების შემდეგ, აუცილებლად „როსონერის“ ქომაგი ვიქნები, რადგან ყველა სიკეთესთან ერთად, ამ გუნდში საოცარი ატმოსფეროა. სრული განცდა გაქვს, რომ ერთი დიდი ოჯახის წევრი ხარ, სადაც ყოველთვის მხარში დაგიდგებიან და გაგამხნევებენ.

### მიზნები

შორს ნამდვილად არ ვიყურები და ჩემი მიზნები ამ სეზონს დასტრიალებს. მსურს, რომ „მილანთან“ ერთად ყველა ტროფეისთვის ბოლომდე ვიბრძოლო. სერია A-ში ლიდერები ვართ, იტალიის თასსა და ჩემპიონთა ლიგაზე კი ვაგრძელებთ ასპარეზობას. „ტოტენჰემთან' წაგებული თამაშისგან ტრაგედიას არ ვქმნით, რადგან წინ მეორე მატჩია. ჩვენ „როსონერის“ წარმოვადგენთ და არ გვაქვს იმის უფლება, რომ ყურები ჩამოვყაროთ. განწყობა საბრძოლოა და გვჯერა, რომ მომდევნო ეტაპზე სწორედ ჩვენ გავალთ. ამის ძალა ნამდვილად შეგვწევს და აგერ ნახავთ, „მილანი“ თავის სიტყვას კიდევ იტყვის.

**ლაშა წიკლაური**

ბაიერნი

## კრაფტი მაგარია, იყიდეთ ნოიერი!

„ბაიერნმა“ „ინტერს“ რომ მოუგო, ეს დიდწილად ბავარიელთა ახალგაზრდა მეკარის, **თომას კრაფტის** დამსახურებაა, რომელმაც ოთხმაბათს მილანელების არერთი „მკვდარი დარტყმა“ მოიგერია და მიუნხენური გიგანტის კარი ბოლომდე მშრალად შეინახა. შესვენებისას რეკორდმაისტერის სპორტულმა დირექტორმა **კრისტიან ნერლინგერმა** თქვა, თომასი ბრწყინვალეაო და ფაქტია, რომ მას მიუნხენური გრანდის ნებისმიერი ქომაგი დაეთანხმება.

ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ რა ელის ნიჭიერ გოლკიპერს მომავალში? „ინტერთან“ მატჩის შემდეგ, გერმანული ფეხბურთის ცოცხალმა ლეგენდამ და „ბაიერნის“ საპატიო პრეზიდენტმა **ფრანც ბეკენბაუერმა** კიდევ ერთხელ დააფიქსირა თავისი მოსაზრება იმის შესახებ, რომ რეკორდმაისტერმა ზაფხულში „შალკესა“ და გერმანიის ნაკრების მეკარე **მანუელ ნოიერი** უნდა იყიდოს - მანუელი მსოფლიოში საუკეთესო მეკარეა, ზუსტად ისეთი, როგორიც „ბაიერნში“ უნდა თამაშობდესო.

არადა, საიდუმლოს არავისთვის წარმოადგენს ის ფაქტი, რომ მიუნხენში სერიოზულად ფიქრობენ კრაფტზე, როგორც „ბაიერნის“ პირველ ნომერზე მომავლისთვისაც, მაგრამ ბეკენბაუერი ამბობს: *„თუ გახსოვთ, მიხაელ რენზინგის შესახებაც ასეთი მოსაზრება იყო და ყველამ ვიცით, როგორც დამთავრდა ეს ისტორია.“*

ფაქტი ისაა, რომ თომას კრაფტს „ბაიერნთან“ კონტრაქტი სეზონის ბოლოს უმთავრდება და ახალი ხელშეკრულების გაფორმება მისთვის ჯერ არავის შეუთავაზებია. ცხადია, რომ თუ „ბაიერნი“ ნოიერს იყიდის, კრაფტი რეკორდმაისტერთან ახალ კონტრაქტს არ გააფორმებს და მიუნხენიდან წავა, რაც მან ჯერ კიდევ იანვარში თქვა - თუ „ბაიერნი“ ნოიერს იყიდის, მიუნხენში დარჩენას ჩემთვის აზრი არ ექნებაო. „ბაიერნის“ ხელმძღვანელები კი გადაწყვეტილების მიღებას არ ჩქარობენ.

**გოტფრიდ ლენცი**

ამბები

## ტუხელი სტილს არ შეცვლის

მიუხედავად იმისა, რომ ბუნდესლიგის მიმდინარე სეზონის ერთ-ერთმა აღმოჩენამ, „მაინცმა“ ბოლო სამი თამაშიდან ვერცერთის მოგება ვერ შეძლო, გუნდის მთავარი მწვრთნელი **თომას ტუხელი** ტაქტიკის შეცვლას და დაცვაზე ორიენტირებული სტრატეგიით თამაშს არ აპირებს.

*„ტაქტიკის შეცვლა და დაცვითი ფეხბურთის თამაში აზრადაც არ მომსვლია. „მაინცმა“ ამ სეზონში თავი ყველას შესანიშნავი შემტევი ფეხბურთით დაამახსოვრა და ჯერჯერობით ვერ ვხედავ მიზეზს, რის გამოც თვალსასეირო ფეხბურთის თამაშის მცდელობაზე უარი უნდა ვთქვათ. დარწმუნებული ვარ, რომ მალე ისევ ძველებურ შედეგებს მივაღწევთ,“* - განუცხადა ტუხელმა ჩვენს გერმანელ კოლეგებს.

## ჰამითის წასვლის დღე ახლოვდება

რაც უფრო ახლოვდება სეზონის დასასრული, მით უფრო ცხადი ხდება, რომ თურქ ნახევარმცველ **ჰამით ალთინთოფს** ზაფხულში მიუნხენის „ბაიერნის“ დატოვება მოუწევს. 28 წლის ფეხბურთელმა „კიკერისთვის“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, დღევანდელი გადასახედიდან ჩემი მიუნხენში დარჩენა გამორიცხულიაო.

მას მერე, რაც „ბაიერნს“ **არიენ რობენი** გამოუჯანმრთელდა, რეკორდმაისტერის მთავარმა მწვრთნელმა **ლუის ვან გაალმა** ჰამითი სათადარიგოთა სკამზე გადასვა და აღარ ათამაშებს. ალთინთოფმა კი ჯერ კიდევ სეზონის დასაწყისში თქვა და ახლა რეგულარულად იმეორებს, რომ ძირითად შემადგენლობაში თამაშის პრეტენზია აქვს და თუ არ ათამაშებენ, „ბაიერნში“ დარჩენა არ უნდა. შეგახსენებთ, რომ ჰამითი რეკორდმაისტერში 2007 წლიდან თამაშობს და მას მერე მიუნხენური გრანდის მაისურით ბუნდესლიგაში 61, ევროტურნირებზე კი 25 მატჩი ჩაატარა. ჰამითს სეზონის ბოლოს „ბაიერნთან“ კონტრაქტი უმთავრდება და მსურველებს მისი გადაბირება უფასოდ შეეძლებათ.

**გოტფრიდ ლენცი**

## ინგლისი უეფას უარს ეუბნება

უეფას მაღალჩინოსნებს, ერთი შეხედვით, კეთილშობილური იდეა მოუვიდათ თავში. რაშია საქმე? მათ თავის წევრ 53-ივე წევრს შესთავაზეს სანაკრებო თამაშების ტრანსლაციებით მიღებული შემოსავლის გარკვეული ნაწილი ერთ კონკრეტულ ანგარიშზე გადარიცხონ, რათა შემდგომ უეფამ ის ყველა ფედერაციაზე თანაბრად გადაანაწილოს. მიზანი, ბუნებრივია, ადვილად გასაგებია. ვთქვათ, ინგლისისა და გერმანიის ნაკრებების რეპორტაჟში ამ ქვეყნების ფედერაციები ალბათ რამდენიმე ათეულჯერ მეტ თანხას შოულობენ ვიდრე პატარა ქვეყნების ნაკრებებს მოაქვთ თავიანთი ასოციაციებისთვის. ვილაცისთვის ეს შემოსავლის დამატებით წყაროდ იქცევა, ვილაცამ კი დონორის როლი უნდა იტვირთოს.

უნდა აღინიშნოს, რომ უეფას მსგავსი გამოცდილება უკვე აქვს. ის ჩემპიონთა ლიგისა თუ ევროპის ლიგის თამაშების რეპორტაჟებით მიღებულ მოგებას თავის წევრებზე ანაწილებს. თუმცა ერთია თავად უეფას მიერ მიღებული შემოსავალი და მეორეა ნაციონალური ფედერაციების მიერ მიღებული ფული. მაგალითისთვის გეტყვით, რომ 2007 წელს ინგლისის საფეხბურთო კავშირის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებით აიტივი-სა და "სეტანტასთან" (აღნიშნული კონტრაქტი მოგვიანებით იესპიენ-მა გამოისყიდა), ინგლისელები 575 მილიონ ფუნტს მიიღებენ. ახლა წარმოიდგინეთ, რომ უეფას აღნიშნული თანხის თითქმის 1/5-ის წაღება სურს "ქველმოქმედებისთვის". კავშირის წარმომადგენლის კომენტარი როგორ იქნებოდა ალბათ ძნელი გამოსაცნობი არ არის. აი რა განაცხადა პრესსამსახურის თანამშრომელმა: *"ჩვენი ორგანიზაცია არ გეგმავს ისეთ პირობებზე დათანხმებას, რომელიც ჩვენს შემოსავალს შეამცირებს. ნაკრების თამაშების ტრანსლაციებით მიღებული თანხის სხვებისთვის განაწილებას არ ვაპირებთ".*

## სქოულზი კიდევ ერთი წლით

"მანჩესტერ იუნაიტედის" ლეგენდარულმა ცენტრალურმა ნახევარმცველმა **პოლ სქოულზმა** "ოლდ ტრეფორდზე" დარჩენა კიდევ ერთი წლით გადაწყვიტა. მხარეები ერთწლიან ხელშეკრულებაზე ხელმოწერას უახლოეს მომავალში გეგმავენ. აღნიშნულ ინფორმაციას "სანი" ავრცელებს, გაზეთი, რომელიც ასეთ ამბებს ჰაერზე არასოდეს წერს.

პოლს მთელი კარიერა "მანიუში" აქვს გატარებული. მის ანგარიშზე 665 შეხვედრაში გატანილი 150 გოლია.

## შეი გივენის დასვენება

"მანჩესტერ სიტის" ვეტერანი კარის დარაჯი **შეი გივენი** ფეხბურთს მიღმა დაახლოებით სამ თვეს გაატარებს, - გვამცნობს უეფას ოფიციალური საიტი. შესაძლებელია მას ოპერაციაც დასჭირდეს. *"იმისთვის, რათა ფეხბურთს დაუბრუნდეს შეის სამი თვე დასჭირდება. მას ძველმა ტრავმამ შეახსენა თავი და ეს ყველაზე უფრო სამწუხაროა. ეს გუნდისთვისაც სერიოზული დანაკლისია, რადგან ამ სეზონში კვალიფიციური სათადარიგო მეკარის გარეშე დავრჩით,"* – განაცხადა **რობერტო მანჩინიმ**.

**ლევან ბიბილაშვილი**

## რანოკია დაშავდა, მაგრამ გადარჩა

ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალური ეტაპის პირველი შეხვედრა "ინტერისთვის" ყოველმხრივ წარუმატებელი გამოდგა. მარცხი მარცხად და მილანელებს ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელი დაუშავდათ. საუბარია **ანდრეა რანოკიაზე**, რომელიც მეორე ტაიმში **ლეონარდომ ხარჯათი** შეცვალა. როგორც ჩანს, ეს ცვლილება მხოლოდ შეტევის გაძლიერების სურვილით არ გახლდათ განპირობებული და ამის მთავრი მოტივი სწორედ მცველის ტრავმა იყო. რანოკიას უკვე ჩაუტარდა გამოკვლევა და დიაგნოზიც დაისვა – დანარჩენზე თავად დაზარალებული მოგითხრობთ:

*"ექიმებს ვესაუბრე და შვებით ამოვისუნთქე, რადგან ჯერაც მწარედ მახსოვს გასულ სეზონში მიღებული ექვსთვიანი ტრავმა. ამჯერად ასეთ მძიმე დაშავებას გადავურჩი და მოედანზე მალე დავბრუნდები. როგორც ექიმებმა მითხრეს, თვენახევარში სრულ მზადყოფნაში ვიქნები. შესაძლოა, არც ისე მცირე დროა, მაგრამ ექვსთვიანი ტრავმა რომ მახსენდება, ამაზე აღარ ვნერვიულობ".*

**ლაშა ნიკლაური**

სავარაუდო ტრანსფერი



სერხიო არაუხო არგენტინის 17-წლამდელთა ნაკრებში

## არაუხო სევილიაში, რეალის გავლით

goal.com-ის სამხრეთამერიკული ბიუროს ექსკლუზიური ინფორმაციის თანახმად, ზაფხულში „ბოკა ხუნიორსის“ ნიჭიერი ფორვარდის, **სერხიო არაუხოს** ხელში ჩაგდების შემდეგ მადრიდის „რეალი“ მას „სევილიაში“ გაანათხოვრებს. 19 წლის არაუხოს მსოფლიო დონის ვარსკვლავად სახავენ. დიდი შანსია, არაუხომ პრიმერაში გააგრძელოს კარიერა, ანუ **გონსალო იგუაინისა** და **სერხიო აგუეროს** კვალს გაჰყვეს. ჯერ კიდევ დეკემბერში, თავად ახალგაზრდა ფეხბურთელმა აღნიშნა, რომ მისი შეძენის ექსკლუზიურ უფლებას „სამეფო კლუბი“ ფლობს: *„თუკი ვინმეს ჩემი შეძენა სურს, ჯერ მადრიდელებს უნდა დაელაპარაკოს. თუკი „რეალი“ არ გამოიჩენს დაინტერესებას, მე სხვა კლუბში წავალ“*, - განაცხადა არაუხომ.

ახლა კი ცნობილი გახდა, რომ „რეალი“ და თვით **ჟოზე მოურინიო** დაინტერესებულა ფეხბურთელით, მაგრამ „სამეფო კლუბის“ გეგმა ასეთია: 19 წლის არგენტინელი ჯერ უნდა შეეგუოს პრიმერას, თამაშის განსხვავებულ სტილსა და დონეს. ამიტომაც, არაუხოს შეიძენენ და ეგრევე რომელიმე კლუბში გაანათხოვრებენ. ცნობილია, რომ ყველაზე მეტად ეს კლუბი შეიძლება იყოს „სევილია“.

არაუხო „ბოკას“ აღზრდილია, პირველ გუნდში მას დებიუტი 2009 წელს ჰქონდა, 17 წლის ასაკში. არაუხო იყო არგენტინის 17-წლამდელთა ნაკრების წევრი ნიგერიის მუნდიალზე, სადაც ორი გოლი გაიტანა.

## მალუდა ერკულესში?

ბრიტანული „თოლქსპორტი“ ამტკიცებს, რომ ზაფხულში ალიკანტეს „ერკულესი“ 8 მილიონ ევროდ „ჩელსის“ ფრანგ გარემარბ **ფლორან მალუდას** შეიძენს. „ლურჯები“ ამ ზაფხულზე ბევრი ასაკოვანი ფეხბურთელის „დაფერთხვას“ აპირებენ და „შავ სიაში“, სავარაუდოდ, 30 წლის მალუდაცაა. არადა, მალუდას ბრწყინვალე სეზონი აქვს, პრემიერლიგის 26 მატჩში მან 9 გოლი გაიტანა. სხვათა შორის, ფრანგს ნათქვამი აქვს, რომ კარიერას აუცილებლად დაასრულებს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ფლორან მალუდა

გარემარბი თუ ფორვარდი

## ვინ არის კრიშტიანო რონალდო?

„რეალის“ თავკაცმა **ჟოზე მოურინიომ** „სქაი სპორტის“ პორტუგალიურენოვან შოუ „რევისტა დე ლა ლიგას“ ინტერვიუ მისცა, სადაც მან ბევრი ისაუბრა მისი კლუბის ლიდერ **კრიშტიანო რონალდოზე**.

*„რაც „რეალში“ ვმუშაობ, მით უფრო ფორვარდთა კრიზის ფონზე, ყველაზე მეტად კრიშტიანო რონალდოს პოზიციაზე მიფიქრია. ყველაზე მეტი დებატიც გუნდის სამწვრთნელო ჯგუფში ამ საკითხზე გამართულა: ვინ არის ის ამპლუით, ფორვარდი? ჩვენ ვცდილობდით, მისთვის საუკეთესო პოზიცია შეგვერჩია. მე არ ვფიქრობ, რომ ის ფორვარდია. გარემარბია კრიშტიანო? არა და არა, რამდენი გოლი გააქვს სეზონში გარემარბს, ნახევარი ათეული, ჰა-ჰა, 10 გოლი და რამდენი აქვს უკვე რონალდოს გატანილი! ვინ არის რონალდო, ბოლოსდაბოლოს? ვფიქრობ, ორივე - მასში ფორვარდისა და გარემარბის ყველა საუკეთესო თვისებაა შერწყმული ერთად, მას არსენალში ყველაფერი აქვს, სხვა ასეთი ფეხბურთელი არ მეგულება“*, - განაცხადა პორტუგალიელმა სპეციალისტმა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

### საინტერესო დეტალები

როცა კრიშტიანო პორტუგალიიდან „მანჩესტერში“ გადავიდა, მისი ხელფასი ზუსტად 100-ჯერ გაიზარდა (1,5 ათასი ევროდან 150 ათას ევრომდე თვეში)

მას რონალდო რონალდ რეიგანის პატივსაცემად დაარქვეს




### ამ სეზონის სტატისტიკა

24 თამაში (ითამაშა ყოველი წუთი) ლა ლიგაში, 7 ჩემპიონთა ლიგაში, 7 კოპაზე

24 გოლი ლა ლიგაში, 4 ჩემპიონთა ლიგაში, 6 კოპაზე

**ლა ლიგის გოლები:**

15 გოლი მარჯვენა ფეხით, 6 - მარცხენით, 3 - თავით

5 პენალტით, 2 საჯარიმო დარტყმით

გავერთოთ

## ერთი ჩელსის ორი ჯორდანი

როგორც ჩანს, „ჩელსის“ ბანაკში უკეთესი განწყობაა - ჩემპიონთა თასზე „კოპენჰაგენის“ 2:0 დამარცხების შემდეგ **დიდიე დროგბამ** და **პეტრ ჩეხმა** გასართობად მოიცალეს. გუნდის საწვრთნელ ბაზაზე მათ კალათბურთის ბურთს დაავლეს ხელი და ერთმანეთი სპორტის ამ სახეობაში გამოცადეს. როგორც სურათზე ხედავთ, ინგლისის ჩემპიონებს „ნიუ ჯერსი ნეტსის“ ფორმა აცვიათ. რამ გაახსენა ჩეხსა და დროგბას კალათბურთი და ნიუ-ჯერსის გუნდი? საქმე ის გახლავთ, რომ მარტში, ისტორიაში პირველად, NBA-ს რეგულარული ჩემპიონატის თამაშები ევროპაში გაიმართება. ლონდონის O2 არენაზე „ნეტსი“ „ტორონტო რეპტორს“ შეხვდება. დაგეგმილია ორი შეხვედრა. პირველი 4 მარტს ჩატარდება, ხოლო მეორე ხუთში.

დროგბა და ჩეხი დარწმუნებულები არიან, რომ ნიუ-ჯერსელები გაიმარჯვებენ. 28 წლის მეკარე ჩეხი აბობს:

*„მე კალათბურთის დიდი მოყვარული ვარ. ბავშვობაში, სკოლაში ვთამაშობდი და ძალიან მიყვარდა. კალათბურთის ერთგული მაყურებელი კი მაიკლ ჯორდანის გამო გავხდი. ის ჩემი საყვარელი კალათბურთელი იყო. „ტორონტოსთან“, რასაკვირველია, „ნიუ ჯერსი ნეტსს“ ვუგულშემატკივრებ“.*

მეგობრის მსგავსად, ჯორდანის თამაშის ცქერა დროგბასაც უყვარდა. თავდამსხმელმა თქვა: *„კალათბურთის დიდი ფანი გახლავართ. სანამ ჯორდანი თამაშობდა, NBA-ს ერთ თამაშსაც არ ვტოვებდი. დღესდღეობით „ნიუ ჯერსის“ თამაშის სტილი მომწონს და O2-ზე მის საქომაგოდ წავალ“.*




დროგბა და ჩეხი კალათბურთის ფანები ყოფილან

**ილია ბაბუნაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. ოთხშაბათის მატჩების მიმოხილვა

# მთავარია, რობენი იყოს კარგად...

## ...და მიუნხენში დიდი ვენდეტა აღსრულდება

**„ბაიერნმა“** საოცნებო რევანშისკენ უდიდესი ნაბიჯი გადადგა - „ჯუზეპე მეაცაზე“ „ინტერის“ დამარცხება რეკორდმაისტერისთვის საპასუხო მატჩის (15 მარტს) წინ, თითქმის ცალი ფეხით მეოთხედფინალში ყოფნას ნიშნავს, რადგან ყველამ ვიცით, რომ მიუნხენური გრანდი საკუთარ „ალიანს არენაზე“ სულ სხვანაირად ითამაშებს და ისეთი დომინანტი იქნება, რომ „ნერაძურის“ სასურველი შედეგის მიღწევა, წესით, ძალიან უნდა გაუჭირდეს. ბავარიელებმა გამარჯვების გოლი მილანელთა მეკარის, ჟულიო სეზარის შეცდომის წყალობით, მატჩის მიწურულს გაიტანეს.

### მატჩამდე

**ლეონარდოს** ტაქტიკური სქემა არ შეუცვლია, მაგრამ რაკი **პანდევის** ნაცვლად, ძირითად შემადგენლობაში **სტანკოვიჩი** გაამწესა, შედარებით ფრთხილი ტაქტიკა გამოუვიდა. **ლუის ვან გაალმა** კი მოედანზე ზუსტად ის თერთმეტი ფეხბურთელი გაიყვანა, რომლებმაც ბუნდესლიგის წინა ტურში „მაინცი“ 3:1 დაამარცხეს. გერმანელი ექსპერტები ვარაუდობდნენ, რომ რეკორდმაისტერის ჰოლანდიელი დამრიგებელი გამოჯანმრთელებულ **კროოსს** ძირითადში ათამაშებდა, მაგრამ შეცდნენ - ლუისმა ახალგაზრდა ნახევარმცველი სკამზე დატოვა.

### მატჩი

გარდამავალი უპირატესობა და საკმაოდ ბევრი სახიფათო მომენტი - მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ ერთი გოლი გავიდა, თამაში მოლოდინისამებრ ძალიან საინტერესო და დაძაბული გამოვიდა. „ინტერს“ უკვე მეორე წუთზე შეეძლო ანგარიშის გახსნა, როცა **სნეიდერის** ჯარიმას **რანოკია** გამოეხმაურა, მაგრამ ძალიან კარგ პოზიციაში მყოფმა, ბურთი კარს ააცილა. შედარებით მოგვიანებით, დაახლოებით 19-20 წუთის შემდეგ იყო **ლუის გუსტავოს** ორი შორეული დარტყმა სულ რაღაც 60 წამის განმავლობაში - ერთხელ მცირე მანძილით ააცილა **ჟულიო სეზარის** კარის მარცხენა კუთხეს, ერთხელ კი მის დარტყმას რიკოშეტული გაგრძელება მოჰყვა და მარჯვნიდან ასცდა „ინტერის“ კარს. მილანელებმა მალევე ძალიან სახიფათო კონტრშეტევა განახორციელეს, **ეტო'ო ბადშტუბერს** გასცდა და **კამბიასოს** უპასა, რომლის კარგი დარტყმა **კრაფტმა** მოიგერია.

24-ე წუთი და ამჯერად ისევ „ბაიერნი“: **რობენის** ჩაწოდება, **რიბერის** თავური და „ინტერი“ ძელმა იხსნა. ოთხ წუთში რობენი უკვე **გომესს** მოემსახურა ძალიან კარგად, მაგრამ ამ უკანასკნელმა კარს ზემოდან გადააცილა. 33-ე წუთზე კრაფტმა ისევ იხსნა მიუნხენელები, რომლებიც კუთხურის დროს სიტუაციაში კარგად ვერ გაერკვნენ, **ლუსიოსგან** ბურთი ეტო'ოს მიუვიდა, რომელმაც „ბაიერნის“ ახალგაზრდა კიპერის ბარიერი ვერ გადალახა.

პირველი ტაიმის მიწურულს, **პრანიჩმა** ტრავმა მიიღო და ვან გაალი იძულებული გახდა, შეეცვალა. ლუისმა თამაშში **ბრენო** ჩართო, რომელიც დაცვის ცენტრში დააყენა, ბადშტუბერს კი მარცხენა მცველობა უბრძანა.

მეორე ნახევარი ბავარიელთა კარგი მომენტით დაიწყო და ასისტენტად, რა თქმა უნდა, ისევ რობენი მოგვევლინა, რომლის ჩაწოდების შემდეგ, **მიულერის** თავური დარტყმა მცირე მანძილით ასცდა „ინტერის“ კარს. ხუთ წუთში „ბაიერნის“ ფეხბურთელებმა კვლავ ბრწყინვალე, ოთხსვლიანი კომბინაცია გაითამაშეს: შვაინშტაიგერი, რიბერი, რობენი, მიულერი, ისევ რობენი, ჰოლანდიელის დარტყმა მახვილი კუთხიდან და ბურთი უკვე მეორედ მოხვდა ჟულიო სეზარის კარის ძელს.

57-ე წუთზე მილანელებს ისეთი მომენტი შეექმნათ, რომ ვალდებულები იყვნენ, ანგარიში გაეხსნათ: შვაინშტაიგრის არაზუსტ პასს ეტო'ო დაეუფლა, **ტიმოშჩუკი** იოლად ჩამოიტოვა და დაჰკრა - კრაფტი ფხიზლად იყო, თუმცა მისი მოგერიებული თავისუფალ კამბიასოს მიუვიდა, რომელმაც მცირე მანძილიდან ააცილა. 85-ე წუთზე კი უკვე **ტიაგო მოტას** შეეძლო გატანა, მაგრამ სნეიდერის კუთხურის შემდეგ მისი თავური კრაფტმა მოიგერია.

მთავარსაც მივადექით: გომესის გოლი, რომელიც რობენის დამსახურება გახლდათ: ჰოლანდიელმა ჩვეული ტრიუკი ჩაატარა, მარცხენა ფლანგიდან ცენტრისკენ შეიწია და ძლიერად დაარტყა, „ინტერის“ მეკარემ ბურთი ხელებში ვერ შეიმაგრა, გომესი კი ადგილზე გაჩნდა და მარტივად, ყოველგვარი დაძაბვის გარეშე დაამწუხრა „ნერაძურის“ ბრაზილიელი მეკარე.

ვერ ვიტყვით, რომ „ბაიერნმა“ მოგება დაიმსახურა, ფრე ალბათ მაინც უფრო ლოგიკური შედეგი იქნებოდა, მაგრამ ვერც იმას ვიტყვით, რომ მიუნხენელებს გამარჯვება არ დაუმსახურებიათ - მათ ორჯერ შეაზანზარეს ჟულიო სეზარის კარის ძელი.

| 1/8 ფინალი. პირველი მატჩი | | |
|---|---|---|
| ინტერი (იტალია) | 0:1 | ბაიერნი (გერმანია) |

23 თებერვალი. მილანი. სან სირო 70 000 მაყურებელი

**ინტერი (4-3-2-1):** ჟულიო სეზარი – მაიკონი, ლუსიო, რანოკია (73. ხარჯა), კივუ – კამბიასო, ძანეტი, მოტა – სტანკოვიჩი, სნეიდერი - ეტოო.

**ბაიერნი (4-5-1):** კრაფტი – ლამი, ბადშტუბერი, პრანიჩი (37. ბრენო), ტიმოშჩუკი – ლუიზ გუსტავო, რიბერი, რობენი, შვაინშტაიგერი, მიულერი – გომესი.

**გოლი:** 0:1 გომესი (90).

**არბიტრი:** ვიქტორ კასაი (უნგრეთი)



კრისტიან კივუს არიენ რობენის შეჩერება ძალიან უჭირდა

### რეაქციები

**ვესლი სნეიდერი** (ინტერი): *„გამარჯვებას ჩვენ ვიმსახურებდით, რადგან კარგად ვითამაშეთ, წარმატებამდე კი მხოლოდ გოლი დაგვაკლდა. ჩემპიონთა ლიგიდან ჯერ არ გავვარდნილვართ, წინ საპასუხო მატჩია, რომლის მოგება იოლი არ იქნება, მაგრამ ჩვენ ეს შეგვიძლია.“*

**ლუის ვან გაალი** („ბაიერნის“ მწვრთნელი): *„სანახაობრივი თამაში გამოვიდა, რომელიც აბსოლუტურად დამსახურებულად მოვიგეთ. განსაკუთრებით კარგად მეორე ტაიმში ვითამაშეთ. ყველაფრით კმაყოფილი ვარ, ჩემი გუნდიდან კი თომას კრაფტი უნდა გამოვყო - მან დაამტკიცა, რომ უკვე ძალიან მაღალი კლასის მეკარეა.“*

### TOP ფეხბურთელი

თომას კრაფტი (ბაიერნი)

**სამუელ ეტო'ომ** მიუნხენელ მცველებს ბევრი პრობლემა შეუქმნა და მათ უმეტესად ჩაგრავდა კიდეც. გოლი რომ ვერ გაიტანა, ეს მხოლოდ და მხოლოდ რეკორდმაისტერის ახალგაზრდა მეკარე კრაფტის დამსახურებაა. ზოგადადაც: ის, რომ „ინტერმა“ გოლის გატანა ვერ შეძლო, არა „ბაიერნის“ მცველების, არამედ კრაფტის „ბრალია“.

### FLOP ფეხბურთელი

დეიან სტანკოვიჩი (ინტერი)

სერბმა აბსოლუტურად ვერაფერი გააწყო. „ინტერის“ შეტევებში ხეირიანი მონაწილეობა არ მიუღია და არც შორეული დარტყმები უცდია - სხვას თუ არაფერს, სტანკოვიჩი ამას მაინც ახერხებს ხოლმე.

### მსაჯი

უნგრელ **ვიქტორ კასაის** სერიოზული შეცდომა არ დაუშვია, ისე კი, რამდენიმე სადავო გადაწყვეტილება მიიღო. მას ყვითელი ბარათი რატომღაც „ენანებოდა“ (ლუის გუსტავო VS სნეიდერი, სნეიდერი VS ლამი, შვაინშტაიგერი VS ლუსიო). რამდენჯერმე კი, 50/50-ზე სიტუაციებში გადაწყვეტილება „ბაიერნის“ სასარგებლოდ მიიღო. მაგალითად, მე-20 წუთზე ტიმოშჩუკისა და ეტო'ოს ორთაბრძოლის შემდეგ შეეძლო, მიუნხენელთა კარში პენალტი დაენიშნა...

### ანალიზი

პირველ ტაიმში „ბაიერნს“ ბურთის ფლობის 61-პროცენტიანი მაჩვენებელი ჰქონდა, რასაც უყურადღებოდ ვერ დავტოვებდით. სხვა მხრივ, „ჯუზეპე მეაცას“ მოედანზე თავიდან მხოლოდ ტაქტიკური ბრძოლა იყო. ლუის გუსტავომ თამაში მარცხენა მცველის რანგში დაიწყო, მაგრამ ვან გაალი მალე მიხვდა, რომ დანიელ პრანიჩი საყრდენის რანგში სნეიდერს ვერ უძლებდა, რის გამოც მას და ბრაზილიელს ადგილები გაუცვალა. ამის შემდეგ, სნეიდერი უმეტესად მხოლოდ მარცხნიდან უტევდა, იქ კი ლამის წინააღმდეგობას აწყდებოდა, ლუის გუსტავოს კი კამბიასოზე მოუხდა ზრუნვა. რაკი მაიკონმა პრანიჩს ბევრი პრობლემა შეუქმნა, ვან გაალმა ამ უკანასკნელისთვის დახმარება შვაინშტაიგერს დაავალა.

ამავდროულად, „ინტერის“ ფეხბურთელები ძალიან საინტერესოდ აკონტროლებდნენ რობენს: ყველამ იცის, რომ ჰოლანდიელ დრიბლიორს ფლანგური გარღვევის შემდეგ ცენტრისკენ შეწევა და იქიდან დარტყმა უყვარს. ამიტომაც, როცა ბურთი რობენს ჰქონდა და მას „ინტერის“ მარცხენა მცველი **კივუ** ეთამაშებოდა, ამ დროს კამბიასო იქვე, ოდნავ ცენტრისკენ იდგა და რობენის საფირმო ტრიუკისგან თავისი გუნდის დაზღვევას ცდილობდა, რაც ბევრჯერ გამოუვიდა, რამდენჯერმე კი - ვერა.

ჩახლართული ტაქტიკური ბრძოლების მოყვარულთათვის უგემრიელესმა მატჩმა არც ტემპი დაგვაკლო და ზოგადად, ყველა დანაპირები შეგვისრულა. მეოცე წუთიდან „ბაიერნმა“ დომინანტის როლი შეითავსა, 35-ე წუთიდან შესვენებამდე კი „ინტერს“ ეპყრა სადავეები ხელთ. სნეიდერი და მაიკონი ყველაზე მეტს ცდილობდნენ, „ბაიერნის“ „მცველებს“ ეტო'ოსთვის ბურთის ართმევა უჭირდათ. მიუნხენელები კი უმეტესად ფლანგებიდან უტევდნენ - რიბერი და რობენი მაქსიმალურად იყვნენ დატვირთულები, მაგრამ ფლანგებიდან „ინტერის“ კართან თითქმის მხოლოდ მაშინ იქმნებოდა მომენტები, როცა რობენს ან რიბერის ლამი ან პრანიჩი ეხმარებოდნენ.

მეორე ტაიმში კი მიუნხენელები უფრო კონცენტრირებულები ჩანდნენ, ვიდრე „ინტერის“ ფეხბურთელები და პირველი ათი წუთის განმავლობაში „ნერაძური“ საკუთარ საჯარიმოს მიაჯაჭვეს. მერე კი ლეონარდოს გუნდიც გამოცოცხლდა და კამბიასოს იდეალური მომენტიც შეექმნა. თუმცა მეორე ნახევარში მილანელები უკვე საკმაოდ ბევრ შეცდომასაც უშვებდნენ. ბოლოს მასპინძლებმა მეტ-ნაკლებად მოინდომეს, მაგრამ გოლი არათუ ვერ გაიტანეს, არამედ გაუშვეს.

ამრიგად, რეკორდმაისტერი ცალი ფეხით მეოთხედფინალშია, იტალიური საკლუბო ფეხბურთის იმიჯი კი კიდევ ერთხელ გაითელა. ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში სამი აპენინური კლუბი თამაშობს, სამივემ საკუთარ მოედანზე წააგო და მეოთხედფინალში გასვლის შანსი სამივეს მინიმალური აქვს...

# როცა ყველა კმაყოფილია...

„ველოდრომზე“ 60 000 გულშემატკივარი მივიდა, თამაში კი ვერ გამოვიდა ისეთი სანახაობრივი, როგორსაც ველოდით. 0:0 ისეთი ანგარიშია, რომლითაც **სერ ალექს ფერგიუსონი** კმაყოფილი დარჩა და არც **დიდიე დეშამს** აქვს საწუწუნო.

*„ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ კარი მშრალად შევინახეთ. მეორე ტაიმში მართლა კარგად ვითამაშეთ და შეიძლებოდა, გაგვეტანა კიდეც. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სუპერგრანდის წინააღმდეგ ვთამაშობდით. 0:0 მისაღები შედეგია,“* - თქვა მატჩის შემდეგ „მარსელის“ თავკაცმა დიდიე დეშამმა...

### მატჩის წინ

...რომელმაც 4-2-3-1 ტაქტიკური სქემა აირჩია და ტრავმირებული **ჟინიაკის** ნაცვლად, ერთადერთ ცენტრფორვარდად **ბრანდაო** გაამწესა, ბოლომდე ვერგამოჯანმრთელებული **ვალბუენა** კი სათადარიგოთა სკამზე დატოვა.

„მანჩესტერს“ რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელის გარეშე მოუხდა ფონს გასვლა: **ფერდინანდი, გიგზი, ანდერსონი, ევანსი** და **პარკი** ტრავმირებულები იყვნენ. დაცვაში მარჯვნივ **ო'ში** ვიხილეთ, საყრდენად კი, **ქერიკისა** და **ფლეტჩერის** ნაცვლად, **გიბსონი**. ფერგიუსონმა **რაფაელი** და **სქოულზი** სათადარიგოთა სკამზე დატოვა.

| 1/8 ფინალი. პირველი მატჩი | | |
|---|---|---|
| მარსელი (საფრანგეთი) | 0:0 | მანჩესტერი (ინგლისი) |

23 თებერვალი. მარსელი. ველოდრომი. 55 000 მაყურებელი

**მარსელი (4-2-3-1):** მანდანდა – ფანი, დიავარა, მბია, ჰაინცე – სისე (70. შეირუ), კაბორე – რემი (79. ვალბუენა), ლუჩო გონსალესი, აეუ – ბრანდაო.

**მანჩესტერი (4-3-3):** ვან დერ სარი – ოში, სმოლინგი, ვიდიჩი, ევრა – გიბსონი (72. სქოულზი), ქერიქი, ფლეტჩერი – ნანი, ბერბატოვი, რუნი.

**არბიტრი:** ფელიქს ბრიხი (გერმანია)

### TOP ფეხბურთელი

კრის სმოლინგი (მანჩესტერი)

**სმოლინგმა** „მანჩესტერის“ დაცვის ტრავმირებული ბურჯი ფერდინანდი იდეალურად შეცვალა. ახალგაზრდა უკანახაზელი ბრანდაოს მშვენივრად მეურვეობდა და პოზიციურადაც ძალიან კარგად ითამაშა.

### FLOP ფეხბურთელი

უეინ რუნი (მანჩესტერი)

მანკუნიანელთა ლიდერს ხეირიანი არაფერი გაუკეთებია – რუნიმ **მბიასა** და **ფანის** წინააღმდეგ ვერაფერი გააწყო. 90 წუთის მანძილზე ის მხოლოდ 27-ჯერ შეეხო ბურთს, რაც უეინის დარი ფეხბურთელისთვის ძალიან ცოტაა.

### მსაჯი

გერმანელი დოქტორი **ფელიქს ბრიხი** მატჩს ძალიან კარგად, აბსოლუტურად უშეცდომოდ გაუძღვა.

### ანალიზი

მანჩესტერელებმა თავიდანვე სცადეს „ველოდრომზე“ მოვლენების გაკონტროლება და ეს გარკვეულწილად მოახერხეს კიდეც. ფერგიუსონის გუნდი უმეტესად მარჯვენა ფლანგიდან უტევდა, სადაც **ნანი კაბორესა** და **ჰაინცეს** წინააღმდეგ თავის სისწრაფეს მშვენივრად იყენებდა. დეშამის შეგირდებს კი მეტოქის ნახევარზე პრესინგის განხორციელებაზე არც უფიქრიათ და მანჩესტერელებს უმეტეს შემთხვევაში თავის ნახევარზე კომპაქტურად „ჩაწყობილები“ ელოდებოდნენ.

ფრანგების სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ „მარსელი“ დაცვაში ბრწყინვალედ თამაშობდა - ინგლისელებს **მანდანდას** კარისკენ მისასვლელი გზების პოვნა ძალიან უჭირდათ. პირველ ტაიმში „ოლიმპიკის“ ფეხბურთელებს შეტევაზე არც უფიქრიათ. აი, მეორე ნახევრიდან კი შედარებით აქტიურები გახდნენ, მაგრამ რეალურ საგოლე მომენტამდე საქმე ვერც ერთხელ ვერ მიიყვანეს. „მანჩესტერი“ კი საფინალო სასტვენამდე დიდი ხნით ადრე დათანხმდა ნულოვან ფრეს, რომელიც ფერგიუსონის გუნდის ფავორიტობას „ოლდ ტრაფორდზე“ გასამართავი მატჩის წინ კიდევ უფრო ნათლად უსვამს ხაზს.




გაბრიელ ჰაინცე და უეინ რუნი საფინალო სასტვენის შემდეგ

გვერდი მოამზადა
გოტფრიდ ლენცმა

ევროპის ლიგა. პლეი ოფი. I წრ. საპასუხო მატჩები

# ჯანო ამსტერდამში

## ორი არშემდგარი საგოლე პასი

**ჯანო ანანიძე** მოსკოვის „სპარტაკთან" ერთად ევროპის ლიგის მერვედფინალშია და მარტში ამსტერდამის „აიაქსს" დაუპირისპირდება. გახსოვთ, ალბათ, ერთი კვირის წინ სწორედ ევროპის ლიგის ქართველი დებიუტანტის გოლის წყალობით რუსულმა კლუბმა შვეიცარიაში დაამარცხა „ბაზელი" 3:2. ანანიძემ ამჯერად 90 წუთი ითამაშა, მართალია, საერთო ჯამში კარგად არ უთამაშია, მაგრამ ორი ძალიან კარგი პასი მაინც გააკეთა - მე-11 წუთზე **მაკგიდი** გაიყვანა მეკარესთან პირისპირ, მაგრამ ირლანდიელს **კონსტანცომ** ბოლო წამს დაასწრო. 71-ე წუთზე კი ჩვენებურმა **ალექსი** მოძებნა, რომელმაც მეკარე მოატყუა, მაგრამ კარში დარტყმის ნაცვლად ზედმეტი პასი გააკეთა და სუპერმომენტიც დაიკარგა. სულ დაგვავიწყდა გვეთქვა, რომ „სპარტაკმა" კინაღამ გაანიავა შვეიცარიაში მოპოვებული უპირატესობა, **სკოტ ჩიპერფილდის** გოლის (მე-14 წუთი) შემდეგ მთელი მატჩის განმავლობაში აგებდა (თუმცა „ბაზელს" არც ეს ანგარიში აწყობდა), მაკგიდიმ გოლი მხოლოდ მსაჯის მიერ წამატებულ წუთზე გაიტანა - 1:1. ახლა რუსთა სახალხო გუნდი 10 და 17 მარტს ჰოლანდიურ გრანდ „აიაქსს" ხვდება, რომელსაც საერთოდ არ გასჭირვებია „ანდერლეხტის" ძლევა (ამ დაპირისპირების გამარჯვებული, ფაქტობრივად, ერთი კვირის წინ გაირკვა), პირველი თამაში ამსტერდამშია.

თამაშის შემდეგ **ვალერი კარპინი** ძალზე უკმაყოფილო იყო: *„სანამ გასახდელში, როგორც საჭიროა, არ დაელაპარაკები ფეხბურთელებს, არაფერი გამოდის. „ბაზელი" მაინც გავიარეთ, მაგრამ ნერვული თამაში კი გამოგვივიდა. აღარ ვიცი რა ვუყო ამ ფეხბურთელებს, იქნებ რომელიმე მათგანი უნდა ვცემო კიდეც"*, - დაიჩივლა „სპარტაკის" დამრიგებელმა. სხვათა შორის, ამ თამაშში „სპარტაკის" ბრაზილიელმა ლეგიონერმა **რაფაელ კარიოკამ** არ ითამაშა, იმიტომ, რომ... სიცივეში თამაშის ხასიათზე ვერ არის.

ლისაბონში „რეინჯერსმა" სასწაულებრივ მოიპოვა მერვედფინალის საგზური, შოტლანდიელები 1:2-ს აგებდნენ, როცა, თამაშის 92-ე წუთზე **მორის ედუმ დევიდ ჰილის** პასით ახლო მანძილიდან გაიტანა „სპორტინგის" კარში. „რეინჯერსი" მეტოქის მოედანზე გატანილი მეტი გოლის წყალობით აგრძელებს ბრძოლას. ეინდჰოვენში პსვ-მა 10-კაციან „ლილს" აჯობა და ორი მატჩის ჯამში 5:3 გაიმარჯვა. „ლილს" ამ თამაშის პირველი გოლის ავტორი **პიერ-ალენ ფრო** გაუძევეს. პრაღის „სპარტამ" თითქმის 180 წუთი გაუძლო „ლივერპულს", მაგრამ საპასუხო თამაშის მიწურულს **რაულ მეირელეშმა** კუთხური ჩააწოდა, ბურთს თავი კი **დირკ კიუიტმა** დაჰკრა და **კენი დალგლიშის** გუნდი მერვედფინალშია. სანკტ პეტერბურგში **რომან შიროკოვმა** „ზენიტი" შემდეგ ეტაპზე გაიყვანა, მისი გოლი „იანგ ბოისის" კარში მესამე და გადამწყვეტი აღმოჩნდა - 3:1 და ორი მატჩის ჯამში, 4:3 რუსული კლუბის სასარგებლოდ. გერმანულმა „ლევერკუზენმა" უკრაინულ „მეტალისტს" ორი მატჩის ჯამში 6:0 მოუგო, ბოლო, მე-6 გოლი **მიხაელ ბალაკის** ანგარიშზეა.

**ზენიტი-იანგ ბოისი 3:1 (1:2)**

**ზენიტი:** მალაფეევი - ანიუკოვი, ბრუნო ალვეში, ფერნანდო მეირა, ლუკოვიჩი - სემაკი, დენისოვი, შიროკოვი (83. ჰუსტი), ზირიანოვი (72. იონოვი) - ლაზოვიჩი (92. ფაიზულინი), დანი.

**იანგ ბოისი:** ვიოლფლი - დუდარი, აფოლტერი, ჟემალი - ზუტერი, დუბაი, შპიხერი, რაიმონდი (79. კ. შნოული) - დეგენი (79. მაიუკა), ბიენვენიუ, ლულიჩი (85. მ. შნოული)

**გოლები:** 0:1 ჟემალი (21), 1:1 ლაზოვიჩი (41), 2:1 სემაკი (52), 3:1 შიროკოვი (76)

**ლევერკუზენი-მეტალისტი 2:0 (4:0)**

**ლევერკუზენი:** ადლერი - ვიდა, შვააბი, ფრიდრიხი, კასტრო - ბალაკი, ბენდერი (46. ვიდალი) - რენატო აუგუსტო (64. და კოშტა), როლფესი (64. კამპლი), იორგენსენი - კისლინგი.

**მეტალისტი:** დიშლიენკოვიჩი - რომანჩუკი, ობრადოვიჩი, გიე, ფინინიო - ოლინიკი, კლეიტონი (76. ვორობეი), შელაევი, ბლანკო - ტაისონი (57. ვალიაევი) - დევიჩი (57. კრისტალდო).

**გოლები:** 1:0 როლფესი (47), 2:0 ბალაკი (70)

**ლივერპული-სპარტა 1:0 (0:0)**

**ლივერპული:** რეინა - კელი (46. კარაგერი), კირიაკოსი, აგერი (85. შკრტელი), უილსონი - პოულსენი (65. სპირინგი), ლუკასი - კიუიტი, რაულ მეირელეში, ჯ. კოული - ნგოგი.

**სპარტა:** ბლაჟეკი - კუშნირი, რჟეპკა, ბრაბეცი, პამიჩი (90. კერიჩი) - ვაჩეკი - სიონკო (74. პოდანი), მატიოვსკი, აბენა (78. პეხარტი), კადლეცი - კვეუკე.

**გოლი:** 1:0 კიუიტი (86)

**პსვ-ლილი 3:1 (2:2)**

**პსვ:** ისაკსონი - მანოლევი, მარსელო,




ბოუმა, პიეტერსი - ენგელაარი (81. ვუიტენსი), ჰატჩინსონი - ლენსი, ტოივონენი, ჯუჯაკი (87. ბაკალი) - ბერგი.

**ლილი:** მოუკო - ვანდამი, როზენალი, რამი (77. ჩედჯუ), ემერსონი - დიუმონი, მავუბა (65. ჰაზარდი), გიე - ფრო, დე მელო (69. სოუ), ობრანიაკი.

**გოლები:** 0:1 ფრო (22), 1:1 ჯუჯაკი (55), 2:1 ლენსი (67), 3:1 მარსელო (73)

**გაძევება:** ფრო (62)

**სპარტაკი-ბაზელი 1:1 (3:2)**

**სპარტაკი:** დიკანი - კ. კომბაროვი, როხო, სუხი, მაკეევი (80. იაკოვლევი) - შეშუკოვი - მაკგიდი, ანანიძე, ალექსი, დ. კომბაროვი - ძიუბა.

**ბაზელი:** კოსტანცო - შტაინჰოფერი, კუსუნგა, აბრაამი, საფარი - ტემბო (67. ფრაი), ჩაკა (76. იაპი), კაბრალი, შტოკერი - ზუა, ჩიპერფილდი.

**გოლები:** 0:1 ჩიპერფილდი (15), 1:1 მაკგიდი (91)

**სპორტინგი-რეინჯერსი 2:2 (1:1)**

**სპორტინგი:** პატრისიო - ჟოაო პერეირა, პოლგა, ტორსილიერი, ევალდო - პედრო მენდეში (81. სალეირო) - აბელი, ფერნანდესი (91. ნუნუ კოელიო), ზაპატერი, დიალო - ელდერ პოშტიგა (87. ანდრე სანტოსი).

**რეინჯერსი:** მაკგრეგორი - ფოსტერი, ბუღერა, უეირი (70. ლაფერტი), პაპაცი - ბარტლეი - უიტაკერი, დევისი, ფლეკი (71. ვეისი), ედუ - დიუფი (82. ჰილი).

**გოლები:** 0:1 დიუფი (19), 1:1 პედრო მენდეში (42), 2:1 დიალო (83), 2:2 ედუ (92)

**აიაქსი-ანდერლეხტი 2:0 (3:0)**

**აიაქსი:** სტეკელენბურგი (46. ვერჰოევენი) - ვან დერ ვილი, ალდერვეირელდი, ვერტონგენი, ბლინდი - ენო (16. ლინდგრენი), დე იონგი - ერიქსენი - სულეიმანი, ელ ჰამდაუი, ებესილიო (71. დე ზეუვი).

**ანდერლეხტი:** პროტო - ვასილევსკი (72. დე სუტერი), მაზუხი, იუჰაცი, ლესიაკსი - ჟილე, კუიატე, ბილია, კანუ (77. მარეჩეკი) - სუარესი, ლუკაკუ.

**გოლები:** 1:0 სულეიმანი (11), 2:0 სულეიმანი (17)

**ბრაგა-ლეხი 2:0 (0:1)**

**ბრაგა:** არტური - მიგელ გარსია, ა. როდრიგესი, კაკა, სილვიო - ალანი (82. ელდერსონი), ვიანა, კუსტოდიო, მოსორო (69. ლეანდრო სალინო), ბარბოზა (68. პაულუ სეზარი) - ლიმა.

**ლეხი:** კოტოროვსკი - ვოლაკიევიჩი (61. კიელბი), ბოსაცკი, არბოლედა, გონჩარჟიკი - ინიაცი (46. ვილკი), ჯურჯევიჩი - კიკუტი, შტილიჩი (71. უბიპარიპი), კრივეტცი - რუდნიევსი.

**გოლები:** 1:0 ალანი (8), 2:0 ლიმა (36)

**გაძევება:** კიკუტი (87)

**დინამო-ბეშიქთაში 4:0 (4:1)**

**დინამო:** შოვკოვსკი - დანილო სილვა, იუსუფი, ლეანდრო ალმეიდა, პოპოვი - გუსევი, ერიომენკო, ვუკოიევიჩი, იარმოლენკო (63. ნინკოვიჩი) - შევჩენკო (77. ზოზულია), მილევსკი (69. კრავეცი).

**ბეშიქთაში:** რუშთუ - ჰიბერტი, ფერარი (59. იბრაჰიმ თორამანი), შივოკი, ისმაილ კოობაში - ერნსტი, აურელიო, ნესიპი - გუტი (72. ონიურ ბაირამოგლუ) - ბობო, უგო ალმეიდა (58. ნობრე).

**გოლები:** 1:0 ვუკოიევიჩი (3), 2:0 იარმოლენკო (55), 3:0 გუსევი (64), 4:0 შევჩენკო (74)

**სიტი-არისი 3:0 (0:0)**

**სიტი:** ჰარტი - ბოატენგი, კომპანი (35. საბალეტა), ლესკოტი, კოლაროვი - სილვა (80. რაიტ-ფილიპსი), ი. ტურე, ბერი - ტევესი (79. ვიეირა), ჯეკო, ბალოტელი.

**არისი:** სიფაკისი - ვანგიელი, რონალდო, ლაზარიდისი, მიჩელი - ნეტო (80. კაზნაფერისი), პრიტასი, ფატი, საკატა (46. მენდრინოსი) - ტოია, ბობადილია (61. კოკე).

**გოლები:** 1:0 ჯეკო (7), 2:0 ჯეკო (12), 3:0 ი. ტურე (75)

**პსჟ-ბატე 0:0 (2:2)**

**პსჟ:** ედელი - სეარა, კამარა, არმანი, ტიენე - შანტომი, კლემანი - მორისი (83. მაკონდა), ბოდმერი (63. კებანო), ლუინდულა - მევლუთ ერდინჩი (67. ოარო).

**ბატე:** გუტორი - იურევიჩი, შიტოვი, შიმიჩი, ბორდაჩევი - ვოლოდკო, ლიხტაროვიჩი (61. გორდეიჩუკი) - რენანი (77. სკავიში), რუდიკი (66. ოლეხნოვიჩი), ნეხაიჩიკი - როდიონოვი.

**შტუტგარტი-ბენფიკა 0:2 (1:2)**

**შტუტგარტი:** ციგლერი (52. ულრაიხი) - ბულაჰრუზი (61. გებჰარტი), ნიდერმაიერი, დელპიერი, მოლინარო - ტრაში, კუზმანოვიჩი - ჰარნიკი, ჰაინალი (78. ელსონი), ოკაზაკი - შიპლოკი.

**ბენფიკა:** რობერტო - მაქსი პერეირა, ლუიზაო, სიდნეი, კოენტრაო - სალვიო, აიმარი (73. მარტინში), აირტონი, გაიტანი - ხარა (92. ალან კარდეცი), კარდოსო (88. მენეზესი).

**გოლები:** 0:1 სალვიო (31), 0:2 კარდოსო (78)

**გაძევება:** კუზმანოვიჩი (90)

**ტვენტე-რუბინი 2:2 (2:0)**

**ტვენტე:** მიჰაილოვი - როსალესი, დუგლასი, ვიზგერჰოფი, ონიევუ - ლანდზაატი, ბრამა, იანსენი - რუიზი (73. ბაირამი), დე იონგი (93. ბუისე), ჩადლი (87. იანკო).

**რუბინი:** რიჟიკოვი - კალეშინი, ბოკეტი, სესარ ნავასი, ანსალდი (80. კუზმინი) - ბისტროვი (69. ნაჩო), ნობოა, რიაზანცევი - გიოკდენიზი (75. კასაევი), დიადიუნი, ლებედენკო.

**გოლები:** 0:1 ანსალდი (22), 0:2 ნობოა (24), 1:2 იანსენი (45), 2:2 დუგლასი (47)

**ვილიარეალი-ნაპოლი 2:1 (0:0)**

**ვილიარეალი:** დიეგო ლოპესი - გასპარი, გონსალო, მუსაჩიო, კაპდევილა - კასორლა (78. კატალა), ბრუნო, ბორხა ვალერო, კანი (81. გულონი) - ნილმარი, როსი (89. მ. რუბენი).

**ნაპოლი:** დე სანქტისი - კამპანარო, კრიბარი (82. მასკარა), რუისი - ცუნიგა, გარგანო, იებდა (64. პაციენცა), დოსენა - სოსა (53. კავანი), ჰამშიკი - ლავეცი.

**გოლები:** 0:1 ჰამშიკი (18), 1:1 ნილმარი (42), 2:1 როსი (45)

**1/8 ფინალი**

10 და 17 მარტი

ბენფიკა-პსჟ
დინამო-სიტი
ტვენტე-ზენიტი
ცსკა-პორტუ
პსვ-რეინჯერსი
ლევერკუზენი-ვილიარეალი
აიაქსი-სპარტაკი
ლივერპული-ბრაგა

---

● ამბები

### ტამუდო გოლს არ იზეიმებს

ლა ლიგის მომავალ ტურში „ესპანიოლი" „რეალ სოსიედადს" მასპინძლობს. ეს დაპირისპირება ბასკთა ფორვარდ **რაულ ტამუდოსთვის** განსაკუთრებულია. 33 წლის ტამუდო „ესპანიოლის" აღზრდილია, ის თითქმის 10 წელიწადი კაპიტნობდა „ესპანიოლს" და ამ გუნდის სიმბოლოდაც ითვლებოდა. მან 400-ზე მეტ მატჩში გაიყვანა კატალონიური კლუბი კაპიტნის სამკლავურით და მარტო პრიმერას მატჩებში 129 გოლი გაიტანა. გუნდში **მაურისიო პოჩეტინოს** დანიშვნის შემდეგ (არადა ადრე ისინი თანაგუნდელები იყვნენ) ტამუდოს კარიერა „ესპანიოლში" აირია, პოჩეტინომ მას კაპიტნობაც კი ჩამოართვა. აგვისტოდან მოყოლებული რაული „რეალ სოსიედადის" ღირსებას იცავს.

ტამუდო აღნიშნავს, რომ მისთვის ეს მატჩი ძალიან მნიშვნელოვანია, „კორნელია ელ პრატზე" დაბრუნება მისთვის საოცარი მოვლენა იქნება: *„მაგრამ როგორც კი მსაჯი სასტვენს ჩასტვენს, ჩემთვის ყველა ემოცია დასრულდება და მთელი ძალით შევეცდები, რომ ჩემს გუნდს წარმატება მოვუტანო"*, - განაცხადა ფეხბურთელმა, რომელიც „ესპანიოლის" გულშემატკივრებს ჰპირდება, გოლის გატანის შემთხვევაში, არ იზეიმებს.

### ფორლანი კოჭმა დაადალატა...

ოთხშაბათს მადრიდის „ატლეტიკოს" ვარჯიშზე კოჭი დაიზიანა **დიეგო ფორლანმა**, რის გამოც ურუგვაელმა უმალვე შეწყვიტა ვარჯიში და ექიმებს მიაკითხა. ექიმებმა მას კოჭის პირველი ხარისხის დაზიანება დაუდგინეს. მიუხედავად იმისა, რომ ტრავმა არ არის სერიოზული, მუნდიალის საუკეთესო ფეხბურთელი შაბათს „სევილიასთან" მატჩს 90%-ით გამოტოვებს. 31 წლის ფორლანმა ამ სეზონში 22 თამაშში 7 გოლი გაიტანა.

### ...ფორლინი ხელმა

ფორლანის შესახებ დავწერეთ, ახლა გადავიდეთ ფორლინზე - **ხუან ფორლინი** 23 წლის არგენტინელი მცველია, რომელმაც ოთხშაბათს მარცხენა ხელის ოპერაცია გაიკეთა. ძვლების შეხორცების დასაჩქარებლად ექიმებმა ფორლინის მეტალის ელემენტები „ჩაუშენეს" ძვალში. მედიკოსთა დასკვნით, ოპერაცია წარმატებული გამოდგა. არგენტინელი კვირის ბოლომდე სახლში დაისვენებს, შემდეგ კი სარეაბილიტაციო კურსს დაიწყებს. ფორლინი 3-4 კვირას ვერ ითამაშებს, შემდეგ კი მოედანზე დამცავი შალითით გავა. სამხრეთამერიკელმა ხელი „ალმერიასთან" მატჩში, 5 თებერვალს მოიტეხა, ამ სეზონში სულ ფორლინმა 20 მატჩში მიიღო მონაწილეობა.

### ვალენსიას ჯოვინკო მოუნდა

„ვალენსიას" **სებასტიან ჯოვინკოს** შეძენა სურს, ამტკიცებს იტალიური „ტუტოსპორტი". 24 წლის შემტევი ნახევარმცველი „იუვენტუსის" საკუთრებაა, თუმცა იჯარით „პარმაში" თამაშობს. სხვათა შორის, ამ სეზონში ჯოვინკომ „იუვეს" კარში დუბლი შეასრულა. „ლოს ჩეს" ხელმძღვანელობა უკვე მართავს მოლაპარაკებას ჯოვინკოს აგენტთან, თუმცა სეზონის ბოლოს, საიჯარო შეთანხმების თანახმად, „პარმას" შეუძლია ფეხბურთელზე უფლებების ნახევარი გამოისყიდოს „ბებერი ქალბატონისგან". „პარმა" კი მოწადინებულია ჯოვინკოს დატოვებით, მან 20 მატჩში 5 გოლი გაიტანა და იმდენად კარგად წარმოაჩინა თავი, რომ იტალიის ნაკრებში დაიბრუნა ადგილი. „ტუტოსპორტი" ამტკიცებს, რომ „ვალენსია" ჯოვინკოზე ტურინელთა მფლობელობის ნაწილს გამოისყიდის, ხოლო „პარმას" მის სანაცვლოდ **ალეხანდრო (ჩორი) დომინგესს** შესთავაზებს.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

## ქართული სპორტი

● მშვილდოსნობა. ნაკრების მწვრთნელი

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები



# კორეელი: მსოფლიომდე თუ ოლიმპიადამდეც?

საქართველოს მშვილდოსნობის ფედერაციასა და კორეელ **ან იონ სეუნს** შორის ურთიერთობა გადამწყვეტ ფაზაში შედის. შეგახსენებთ საქმის წინა ისტორიას - კორეელი მწვრთნელი ჩვენს ქვეყანაში ოლიმპიური სოლიდარობის პროგრამის ფარგლებში ჩამოვიდა, თუმცა მაშინვე გაჩნდა ნაკრების მთავარ მწვრთნელად მისი დატოვების სურვილი. იგი საქართველოში გეგმით გათვალისწინებული დახმარების მესამე ეტაპს ამთავრებს, მაგრამ აქაურობა ისე მოეწონა, საახალწლოდ დაუგეგმავი ვიზიტითაც გვესტუმრა და ის დღეები აქ გაატარა. სამუშაოდ დარჩენის სურვილი თვითონაც მაშინვე გამოთქვა, ოლონდ საქმეს მშვილდოსნობის საერთაშორისო ფედერაციასთან მისი ურთიერთობა აფერხებდა - ის მწვრთნელ-ინსტრუქტორია, რომელსაც მშვილდოსნობის გასავითარებლად ხშირად აგზავნიან ამა თუ იმ ქვეყანაში. მოსალოდნელი იყო, რომ მას საერთაშორისო ფედერაცია იოლად არ შეელეოდა, მაგრამ ამ პრობლემის მოგვარება ისევ თავად ითავა. მოაგვარა კიდეც და ახლა ყველაფერი ქართულ მხარეზეა, რომელსაც ყველაზე დიდი დაბრკოლება რჩება გადასალახავი - კორეელის ხელფასი. ცხადია, ზუსტად არ ვიცით, რა თანხაზეა ლაპარაკი - ეს მხარეთა პირადული საკითხია და როგორც წესი, ამაზე ხმამაღლა არ ლაპარაკობენ, თუმცა საქმეს ისეთი პირი უჩანს, ჩვენს ფედერაციას საჭირო თანხა არ გააჩნია და მთლიანად სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს კეთილ ნებაზეა დამოკიდებული. ყოველ შემთხვევაში, გუშინ სამინისტროში გამართულ პრესკონფერენციაზე ფედერაციის პრეზიდენტმა **მამუკა ქაცარავამ** მინისტრ **ვლადიმერ ვარძელაშვილს** პირდაპირ სთხოვა კორეელის ხელფასის დაფინანსება. სეუნის მწვრთნელად მოწვევის ინიციატორი სწორედ სამინისტროა. ჯერჯერობით ლაპარაკია ოთხთვიან ვადაზე, თუმცა ეს უარეს შემთხვევაში - მსოფლიოს ჩემპიონატის ჩათვლით, სადაც ლიცენზიებიც თამაშდება. ჩვენებს კონტრაქტის დადება ლონდონის ოლიმპიადის ჩათვლით სურთ, მაგრამ რადგან საამისო თანხა ჯერ არ ჩანს, ოთხთვიანი მონაკვეთი ამიტომ აიღეს ორიენტირად, როგორც უფრო იოლად მოსაგვარებელი პრობლემა. მშვილდოსნები ამოცანის გადაჭრას საკუთარი გზებით - სპონსორთა მოძიებითაც ცდილობენ. ქაცარავამ განაცხადა, რომ ისინი მოლაპარაკებებს ბიზნესმენებთან აწარმოებენ, უპირველესად კი „კია მოტორსთან", რომელიც საერთაშორისო ფედერაციის სპონსორია. მაგრამ თუ ეს ვარიანტი არ გამოუვიდათ, მაშინ მთლიანად სამინისტროს იმედზე რჩებიან. ვარძელაშვილი პირდაპირ არ დაპირებია თანხის გამოყოფას, მაგრამ მიესალმა სეუნის მწვრთნელად მოწვევას, რომელიც უდავოდ მაღალი კვალიფიკაციისაა და მხარს დაუჭერენ მის კანდიდატურას. მთლიანობაში, მინისტრის პათოსი დადებითი პასუხის მომენტებს შეიცავდა.

**მხოლოდ კორეელის უზრუნველყოფა პრობლემას ვერ მოაგვარებს და მასთან ერთად ქართველმა მწვრთნელებმაც უნდა იმუშაონ**

კორეელის მაღალ პროფესიონალიზმს ხაზი ქაცარავამაც გაუსვა და აღნიშნა, რომ სტუმარი ჩვენს მშვილდოსნებში დიდ პოტენციალს ხედავს და სამუშაოდ დარჩენის ერთ-ერთი სტიმული ესეცაა. თურმე სწავლებების მიმდინარეობისას რამდენიმე ისეთ მოზარდზე შეაჩერა ყურადღება, რომელთა პროფესიონალებად ჩამოყალიბებას არავინ ელოდა. აზიელი რომ ქალთა ნაკრებში სამივე ლიცენზიას, ანუ ლონდონის ოლიმპიადაზე გუნდურ ტურნირში მოხვედრას უმიზნებს, ეს არცაა გასაკვირი, მაგრამ ის ლიცენზიების მოპოვებას თურმე არც ვაჟებში გამორიცხავს. ყოველ შემთხვევაში, ამ ციკლში თუ ეს არ მოესწრება, რიო დე ჟანეიროს თამაშებისთვის სავსებით რეალურად მიაჩნია. თუ სწორად, მუყაითად და გულმოდგინედ ვიმუშავებთ, შედეგი აუცილებლად იქნება, კორეული სკოლა კი სწორი მუშაობის გარანტი გვგონია.

კორეელის ჩამოყვანის კიდევ ერთი დადებითი მხარე ისიცაა, რომ ნაკრებთან მუშაობის გარდა, ადგილობრივი მწვრთნელების კვალიფიკაციის ამაღლებაზე ზრუნვაც დაევალება. ამ მისიის შესრულებაზე თვითონაც თანახმაა. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები. ჩვენებს დრო 9 მარტამდე კიდევ აქვთ - სწორედ მაშინ უმთავრდება საქართველოში საქმიანობის ვადა სეუნს, თუმცა კონტრაქტის გაფორმება არც მერეა დაგვიანებული. უბრალოდ, რაც ადრე გაირკვევა, მით უკეთესი.

როგორც ყველა ახალ საქმეს და ახალ ხელმძღვანელს, სეუნის საქართველოში საქმიანობასაც მოჰყვა უკმაყოფილება ნაკრებში, მშვილდოსნობის ოჯახში. ნაკრებში ვითარება დალაგდა, მაგრამ განსხვავებულ აზრზე ისევ რჩებიან ქართველი მწვრთნელები, რომლებიც დიდად არ მიესალმებიან კორეელის დანიშვნას.

*„ბოლო შეკრებაზე დუშეთში კორეელისადმი დამოკიდებულება უკვე რადიკალურად განსხვავებული იყო. მათ შორის - ნაკრების წევრთა მხრიდანაც. საბედნიეროდ, ახლა ნაკრებში აბსოლუტურად ჯანსაღი დამოკიდებულებაა. ჩვენი უმთავრესი ამოცანაა, ივლისში ტურნირში დაგეგმილ მსოფლიოს ჩემპიონატამდე მაინც დავიტოვოთ ეს კაცი, რაც წარმატების გარანტია იქნება. მჯერა, რომ ტურინში საგზურებს მოვიპოვებთ, რაც ახალი სტრატეგიის შემუშავების საშუალებას მოგვცემს - ამის შემდეგ კერძო სექტორს უფრო თამამად დაველაპარაკებით და უფრო მეტად დავაინტერესებთ"*, - თქვა ქაცარავამ. ვარძელაშვილმა აღნიშნა, რომ უცხოელ სპეციალისტთა მოწვევა არ ნიშნავს, რომ თითქოს ადგილზე არ გვყავს სპეციალისტები, მაგრამ მსოფლიო სპორტი წინ მიდის, ვითარდება და ამ პროცესს არ უნდა ჩამოვრჩეთ. მისი თქმით, მშვილდოსნობაც ასეთთა შორისაა - სადღეისოდ ვერ აჩვენებს ისეთ შედეგებს, რისი პოტენციალიც გააჩნია. მინისტრმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი, რომ მხოლოდ კორეელის უზრუნველყოფა პრობლემას ვერ მოაგვარებს და მასთან ერთად ქართველმა მწვრთნელებმაც უნდა იმუშაონ. მან იმედი გამოთქვა, რომ ლონდონში ქალები გუნდურ პირველობაში გამოვლენ ანუ სამ ლიცენზიას მოვიპოვებთ, თუმცა საგზურის მოპოვება არც ვაჟებისგან გამორიცხა.

ამდენად, საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ მსოფლიოს ჩემპიონატამდე საქართველოს მშვილდოსანთა ნაკრებ გუნდებს კორეელი უთავკაცებს, მაგრამ საკითხავია, დარჩება თუ არა ის ლონდონის ოლიმპიადამდე. პრესკონფერენციის დამთავრების შემდეგ სეუნსაც გავესაუბრეთ. *„ვიცი, რომ საქართველოში ჩემი პროგრამა ბევრს არ მოსწონს, რადგან ეს წვრთნის ახალი ტექნიკაა, რისი გამოცდილება მათ არ აქვთ. ოლიმპიური სოლიდარობის პროგრამის ფარგლებში მე მათ მოსწავლეებს ვავარჯიშებდი, მაგრამ ზოგიერთს ეს არ უნდოდა. თუმცა მე ჩემი ხედვა მაქვს, თუ როგორ უნდა მივაღწიო წარმატებებს. ამ პროგრამაში ჩართულ ახალგაზრდებსაც აშკარად ეტყობათ პროგრესი. ადგილობრივი მწვრთნელებისგან წინააღმდეგობები სხვა ქვეყნებშიც შემხვედრია და ამ მხრივ თქვენი ქვეყანა გამონაკლისი არ არის. აქაურ სპორტსმენთაგან ზოგიერთს შეიძლება დავეყრდნოთ, მაგრამ ზოგიერთს უჭირს სტილის შეცვლა და ახალ მეთოდიკაზე გადმორთვა. მთლიანობაში, მომწონს ქართველი მშვილდოსნები - კარგად აზროვნებენ, მაგრამ თუ ოქროს მედლის მოპოვება უნდათ, მხოლოდ ამაზე უნდა ვიყოთ ორიენტირებული, ყურადღება არ უნდა გაგვეფანტოს სხვა რამეებზე. თქვენი ქვეყანაც მომწონს, თუმცა აეროპორტში პირველად გამაკვირვეს, როცა მე რიგში ვიდექი საბაჟო კონტროლის მოლოდინში, სხვები კი ურიგოდ მიდიოდნენ. მეორედ ჩამოსვლისას ამაზე უკვე ქართულად ვთქვი: „ვაიმე!". ამაზე რეაქცია ჰქონდათ და რიგში ჩადგნენ. საქართველო და მისი კულტურა იმდენად მომეწონა, მართლადიდებლობის მიღება გადავწყვიტე. აქ თუ დავრჩი სამუშაოდ, ვეცდები, მთელი საქართველო შემოვიარო"*,- გვითხრა კორეელმა.

**განსხვავებულ აზრზე ისევ რჩებიან ქართველი მწვრთნელები, რომლებიც დიდად არ მიესალმებიან კორეელის დანიშვნას**

**ირაკლი თავაძე**

● ძიუდო

# ენგურის ტურნირი

გორის **გურამ პაპიტაშვილის** სახელობის ძიუდოს დარბაზში ჩატარდა **ენგურ გოგიჩაიშვილის** ხსოვნის ტრადიციული ტურნირი ახალგაზრდა ძიუდოისტებს შორის. შეჯიბრება საკმაოდ წარმომადგენლობითი (300-ზე მეტი მონაწილე) გამოდგა. საქართველოს რაიონებიდან და ქალაქებიდან ყველაზე მეტი ჩემპიონი თბილისის გუნდს ჰყავდა – 4, მედლების რაოდენობითაც არაოფიციალური გუნდური პირველობა დედაქალაქელებს დარჩათ. მათ სულ 12 მედალს მოუყარეს თავი. ბევრისთვის გასაკვირად მხოლოდ 4 მედლით დაკმაყოფილდა ადგილობრივი გუნდი, არადა გორი ახალგაზრდებს შორის ბოლო ორი წელიწადი საქართველოს ჩემპიონატებზე გუნდურ გამარჯვებას არავის უთმობს. ტურნირს საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელი **გია გუგავაც** ესწრებოდა, რომელმაც გვითხრა: *„აქ ყველა ის ფალავანი ვნახეთ, ვისაც საქართველოს ნაკრებში მოხვედრის პრეტენზია აქვს. ჩვენი თხოვნით, ფედერაციამ ყველა რეგიონის ძიუდოს სკოლას აცნობა, რომ ენგურ გოგიჩაიშვილის ტურნირზე საუკეთესო შემადგენლობები გამოეყვანათ. ჩვენ წინასწარვე განვაცხადეთ, რომ საქართველოს ნაკრები მხოლოდ ქვეყნის ჩემპიონატზე ნაჩვენები შედეგებით არ დაკომპლექტდება. მართალია, საქართველოს ჩემპიონატი პრიორიტეტული იქნება, მაგრამ აუცილებლად გავითვალისწინებთ გორის უკვე დასრულებული და ყვარელში 5-6 მარტს გასამართი ტურნირების შედეგებს. ამიტომ იყო, რომ გორის შეჯიბრება მონაწილეთა რაოდენობით და დაძაბული ბრძოლებითაც საქართველოს ჩემპიონატს არაფრით ჩამოუვარდებოდა".*

ტურნირი მაღალ დონეზე ჩატარდა (ორგანიზატორები **გია** და **ანზორ თენაძეები**).

**კვარცხლბეკი**

**55 კგ**

1. ლერი ჭელიძე (ქუთაისი), 2. გიორგი მესაბლიშვილი (ახმეტა), 3. გივი ნადირაშვილი (ფოთი) და იოსებ ცერცვაძე (თბილისი).

**60 კგ**

1. გიორგი კაცია (ზუგდიდი), 2. ვაჟა მარგველაშვილი, 3. ლაშა გიუნაშვილი (ორივე - გორი) და გოჩა გულბათაშვილი (მცხეთა).

**66 კგ**

1. შმაგი ლაგაზაური (ახმეტა), 2. ვანო თოთლაძე, 3. ირაკლი ლომიძე (ორივე - გორი) და გიორგი გიგანი (თბილისი).

**73 კგ**

1. თორნიკე ჯულელი, 2. მიხეილ ჩოხელი (ორივე - თბილისი), 3. ნიკო ოშიყმაშვილი (ბოლნისი) და ჯაბა ბიწაძე (ლაგოდეხი).

**81 კგ**

1. ბექა რატიანი (თბილისი), 2. თამაზ ონიანი (ქუთაისი), 3. ამირან იანვარაშვილი (კასპი) და შაკო ნინიძე (თბილისი).

**90 კგ**

1. გიორგი მურმანიშვილი (თბილისი), 2. ილია ოტიაშვილი (ახმეტა), 3. გიორგი სეტიელი (თბილისი) და თორნიკე ოთინაშვილი (სამაჩაბლო).

**100 კგ**

1. დათო მერაბიშვილი, 2. გიგა მამაგულაშვილი (ორივე - თბილისი), 3. გიგა თაყაძე (გორი) და ელგუჯა ბიბილაშვილი (ქუთაისი).

**+ 100 კგ**

1. გიგა ჯიხვაძე (ქუთაისი), 2. სლავა რეზესიძე (დმანისი), 3. ამბროსი კონკრიაშვილი და ლევან მატიაშვილი (ორივე - თბილისი).

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან

● ჭადრაკი

# ფიეროშ, არაო

ყველაფერს წარმოვიდგენდი, ასეთ შედეგს - ვერა. ალალად გეტყვით: ვერც გავიფიქრებდი, ყატარში მოჭადრაკე ქალთა ფიდეს გრანპრის გათამაშების ბოლო ეტაპზე ტურნირის ფავორიტი **ნანა ძაგნიძე** (25509) ასპარეზობის ერთ-ერთ აუტსაიდერთან, ეკვადორელ **მარტა ფიეროსთან** (2363) თუ დამარცხდებოდა. თავი რომ დავანებოთ იმას, ჩვენებური რეიტინგში 187 პუნქტით უსწრებს მეტოქეს, ეკვადორელზე ბევრად ძლიერი და გამოცდილია. იქნებ, სათანადოდ არ შეაფასა ნანამ მოწინააღმდეგე და იოლად მოისურვა ქულის შერგება?! ქართველ დიდოსტატს აუცილებლად უნდა გაეთვალისწინებინა პირველი ტურის სენსაცია: ფიერომ ასპარეზობის სტარტზევე სძლია 2001-2004 წლების ჩინელ მსოფლიოს ჩემპიონ **ჟუ ჩენს,** რომელიც ამჟამად ყატარის სპორტულ ღირსებას იცავს, მეორე ტურში კი უშეღავათო პაექრობის შემდეგ დათმო პარტია რეიტინგით მსოფლიოს მეორე მოჭადრაკე **ჰამფი კონერუსთან.**

პირველი გამარჯვება იზეიმა ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონმა **მაია ჩიბურდანიძემ,** რომელმაც 45-ე სვლაზე სძლია 2006-2008 წლების ჩინელ მსოფლიოს ჩემპიონსა და თასის მფლობელ **სიუ იუჰუას**. გუშინ უმაღლესი ტიტულის მფლობელთა კიდევ ერთი დუელი გაიმართა: 2004-2006 წლების მსოფლიოს ჩემპიონი **ანტოანეტა სტეფანოვა** (ბულგარეთი) თეთრი ფიგურებით ჟუ ჩენთან დამარცხდა. გათამაშების ცხრილს სათავეში ჩაუდგა სომეხი **ელინა დანიელიანი**, რომელმაც მონგოლი **ბაჰთუიაგ მონგონთუულის** ძლევით ზედიზედ მესამე გამარჯვება იზეიმა. ორგზის ევროპის ჩემპიონი **პია კრამლინგი** 62-ე სვლაზე კონერუს დაუზავდა. ყველაზე გვიან ფრანგი **მარი სებაგისა** და სომეხ **ლილით მკრტიჩიანის** ორთაბრძოლა დამთავრდა. 84-ე სვლაზე ისინიც ყაიმზე შეთანხმდნენ.

სამი ტურის შემდეგ: დანიელიანი-3, ძაგნიძე-ფიერო-2-2, კრამლინგი, კონერუ, ჟუ ჩენი, სებაგი-1.5-1,5, ჩიბურდანიძე, იუჰუა, სტეფანოვა, მონგონთუული, მკრტიჩიანი-1-1 ქულა.

დღეს მე-4 ტურში ითამაშებენ: ძაგნიძე-დანიელიანი, სიუ იუჰუა-მონგონთუული, მკრტიჩიანი-ჩიბურდანიძე, ჟუ ჩენი-სებაგი, კონერუ-სტეფანოვა, ფიერო-კრამლინგი.

**ვაჟა დანელია**

# სამოსანთა ქვარტეტი

თბილისის ჭადრაკის სასახლეში 16 წლის მოჭადრაკეთა საქართველოს პირველობაზე გუშინ მე-3 ტურის შეხვედრები გაიმართა. გოგონების ლიდერთა ჯგუფიდან ყაიმზე შეთანხმდნენ **ანა კუჭავა** და **ნანი უნაფქოშვილი,** ასევე, დაზავდნენ **ლიკა კობეშავიძე** და **ანა მარდალეიშვილი.** 3 ქულით ერთპიროვნულად დაწინაურდა **ანა შამათავა,** რომელმაც **ნატო იმნაძე** დაამარცხა. ლიდერს ნახევარ-ნახევარი ქულით ჩამორჩებიან მარდალეიშვილი, კობეშავიძე, კუჭავა და უნაფქოშვილი. ხუთ მოჭადრაკეს 2-2 ქულა აქვს.

ვაჟებში სამი ტურის შემდეგ რვიდან სამი მონაწილე დარჩა უდანაკარგოდ. ესენი არიან **ირაკლი ბერაძე, შალვა ნადირაშვილი** და **გუგა ბურდული,** რომლებმაც, შესაბამისად, **გიორგი სიბაშვილს, თემურ ჩაიძეს** და **საბა ჟორდანიას** სძლიეს, ხოლო **გიგლა ბენიძე-ნოე თუთისანი** და **რამაზ ენდელაძე-ნიკოლოზ ქუმსიაშვილი** დაზავდნენ. თუთისანსა და ბენიძეს 2,5-2,5, ქუმსიაშვილს, სიბაშვილს, წილოსანს, ენდელაძეს და ხუბუნაიას კი 2-2 ქულა აქვთ,

დღეს მე-4 ტურში ლიდერთაგან ითამაშებენ: **გოგონები**. მარდალეიშვილი-შამათავა, კობეშავიძე-კუჭავა, უნაფქოშვილი-ხომერიკი, იმნაძე-ჭოლაძე, მაჭარაშვილი-ტრაპაიძე. **ვაჟები**. ბურდული-ბერაძე, თუთისანი-ნადირაშვილი, ქუმსიაშვილი-ბენიძე, სიბაშვილი-წილოსანი, ხუბუნაია-ენდელაძე.

**ვაჟა დანელია**

ელექტრონული ბიბლიოთეკა

# თავგადასავლები

# მსოფლიოს ჩემპიონი სასტენდო სროლაში თამაზ იმნაიშვილი



## დისციპლინა

არსებობს მოსაზრება, რომ სასტენდო სროლა ნადირობასთან ასოცირდება.

1969 წელს უკვე გამოცდილი მსროლელი მოსკოვში წაველი საასპარეზოდ „ლოკომოტივთან" ერთად.

პირველად მოვხვდი მწვრთნელებთან ერთად საბანკეტო მაგიდაზე.

ძნელია, ვინმემ ბანკეტი სასმელის გარეშე წარმოიდგინოს, მაგრამ მე ხომ სპორტსმენი ვიყავი და მოგეხსენებათ სპორტი და სასმელი ვერ ეგუებიან ერთმანეთს. ამიტომ (ისიც მწვრთნელების თვალწინ) ამას ნამდვილად ვერ გავბედავდი და როგორც იმერლები იტყვიან - „ვიპუწკებოდი", ანუ სასმელს ამრეზით ვუყურებდი.

ჰოდა რალაც 1 საათში შევატყვე, რომ ტყუილად „ვისჯიდი" თავს. ჩვენმა მწვრთნელებმა ისეთი სადღეგრძელოები გაახურეს, რომ თავად ანდუყაფარის ქორწილში წარმოვიდგინე თავი. არადა, მწვრთნელი კაცი რომ ჭიქას გამოგიწოდებს მომიჭახუნეო, - გააწბილებ? არ გააწბილებ! მერე? არ დალევ? დალევ, აბა რას იზამ. (ერთი სიმღერის არ იყოს)! ახლა, მწვრთნელი რომ გეტყვის, შენთან ვახტანგური უნდა დავლიოო, გააწბილებ? ვერა, ძმაო! მოკლედ, სულ მოკლე ხანში სიტყვა - „დისციპლინა" საერთოდ წაიშალა მეხსიერებიდან - აღარ მახსოვს, ვინ სკამზე დამდგარი ამბობდა გულისამაჩუყებელ სადღეგრძელოებს, ვინ მაგიდაზე ცეკვავდა. ერთი ჩვენი დამწყები სპორტსმენი მაგიდის ქვეშ უვლიდა „ბუქნურს." არა, ძმაო, ჩემს სპორტს სპორტის არც ერთი სახეობა არ ჯობია. ამიტომ ყველას ვაფრთხილებ, ნასვამი უფრო კარგად ვისვრი და ქორწილში ნუ ამიჭინჭყილდებით. მართალია, იარაღს არ ვატარებ, მაგრამ არც საგნების სროლა გამომივა ურიგოდ, თუ საჭირო გახდა...

## ვიმარიაჟე

ახლა, როცა უკვე ყველა გაგაფრთხილეთ, ძალიან მკაცრი რომ არ გეგონოთ, ერთ ამბავს მოგახსენებთ ჩემი ცხოვრებიდან.

ცოლი ახალი შერთული მყავს და თავი მომაქვს (ახლა ვაჩვენებ კლასს-მეთქი). დავაყენე სკამზე ხუთკაპიკიანი მონეტა. გულმოდგინეთ დავუმიზნე თოფი, გამოვკარი და... ავაცილე. ცოლმა ისე შემომხედა, ჩემი თავი თვითონ შემეცოდა.

- მომეცი აქ თოფი! - მითხრა უცბად.

- რად გინდა?! - გამიკვირდა სამართლიანად. სად ჟურნალისტი და სად თოფი...

- მომეცი რომ გეუბნები! - გამიმეორა მკაცრად.

მივაწოდე. წამით დაუმიზნა, გამოკრა და... გაქრა ის ხუთკაპიკიანი მონეტა სკამიდან.

ხუთკაპიკიანის გაქრობამ ისე გამაკვირვა, რომ რკინის მანეთიანისხელა ნერწყვი გადავყლაპე და მეტად ამნაირი „ტრიუკი" აღარ გამიმეორებია.

## მე და ტერორისტი - კაცო?!

გასული საუკუნის ის დროა, მაგარი არეულობა რომ იყო საქართველოში, ბნელი და უკუნი, მოკლედ, ღელავს მთელი საქართველო. არც ერთ პარტიას არ ვუდგები გვერდით. ვარ ჩემთვის და ვეწევი ჩემს ჩვეულ საქმიანობას.

ერთი დღეს „დააზარეს" კარებზე - სახლში.

გავაღე, ფორმიანი და უფორმო პოლიციელები...

- რაშია, ბატონო საქმე? - ვიკითხე გაკვირვებულმა.

- აბა, ახლავე გამოიტანე შენი ყველა კალიბრის იარაღი! - მეუბნებიან.

პოლიცია რომ შეჯიბრებაზე და მით უმეტეს - სანადიროდ არ წამიყვანდა, კი მივხვდი და გამოვიტანე ჩემი იარაღები.

- წამოხვალ ჩვენთან განყოფილებაში! - „ამიხსნა" ერთმა.

- რატომ ბატონო?

- სუს! ხმა!

- არ ვარ, ბატონო ის კაცი მე! - ვთქვი ყვარყვარესავით.

- მალჩი! - რატომღაც რუსულად დამიყვირა მეორემ.

სხვა რა გზა იყო? გავყევი.

ბევრი რომ არ გავაგრძელო, ორი „სუტკა" არ გამომიშვეს, გულახდილად და ხაზგასმით მინდა ვთქვა, რომ ცუდად არავინ მომქცევია. არც საკანში ჩამსვეს. უბრალოდ, მათთან ერთად „ვმორიგეობდი". მათთან ერთად ვჭამდი, ვმასხრობდი, მაგრამ ვერ ვხვდებოდი რა დავაშავე.

- მეტყვით ვინმე რატომ დამიჭირეთ? - ვკითხე მეორე დილით ერთ-ერთს.

- ვიცი? არ ვიცი, ძმაო.

- არც თქვენ იცით? - ახლა მეორეს ვკითხე.

- არა, ცოლ-შვილს გეფიცები - გააქნია თავი იმანაც.

- ვაა, ასეთი რამე გაგიგონიათ? - ვკითხე ორივეს.

- არა! - იმათ ჩემზე მეტად გაუკვირდათ.

მესამე დილით მომითვალეს ჩემი ჩამორთმეული იარაღები და გამიშვეს სახლში.

ან დაჭერა რა იყო, ან გაშვება? - ჩავვარდი საგონებელში.

მოგვიანებით ერთ ნაცნობ პოლიციელს შევხვდი იმ განყოფილებიდან და ვთხოვე გაეგო, რაში იყო საქმე. ორ დღეში მომიტანა ამბავი. თურმე ვილაც ენაამოსაგლეჯს ჩაუშვივარ - „ტერორისტულ აქტს აპირებს, ეგ მართლა მსროლელი ეგაო!"

სიმწრით გამეცინა.

- იცი, რას გეტყვი? - ვეუბნები ამბის მომტანს.

- რას?

- რას და თუ ეგრეა საქმე, მე კი არა, ნინო სალუქვაძე უნდა დაგეჭირათ.

- როგორ? - დაცქვიტა ყურები (პოლიცია მაინც პოლიციაა), ის აპირებს ტერორს თუ?

- ტერორს არა, ახლა, მსოფლიო ომს.

- აბა? აბა რატომ უნდა დაგვეჭირა?

- რატომ ბატონ და ნინო გაჩერებულებს ესვრის, მე - ჰაერში თუ არ ამიგდეს, ისე არ ვესვრი, გასაგებია?

კიო - დამიქნია თავი, მაგრამ გაიგო თუ არა რაიმე ახლაც არ ვიცი.

## ფეხბურთის ფანი მწყერები

ჩემი მწვრთნელი ზურაბ მაჩხანელი ნადირობის ტრფიალი გახლდათ. ზემოთაც მოგახსენეთ, რომ სასტენდო სპორტი ნადირობასთან ასოცირდება.

მონადირეები ხომ „გენეტიკურად" - „მიუნჰაუზენები" არიან და მოზღაპრო ამბების უბადლო შემთხზველები.

ჩვენ კი, მაჩხანელის შეგირდებს მეტი რა გვინდოდა. შესვენების დროს, ერთთავად სულ სროლა-ნადირობაზე ვლაპარაკობდით.

ერთხელაც ბატონმა ზურაბმა ხმა ჩაიწმინდა, ყელი მოიღერა და გვიყვება:

- თქვენ თუ იცით, რომ მე „დინამოს" სტადიონზე მინადირია? - დასვა კითხვა შესავალისთვის.

- ბალელშიკებს კლავდით? - წამოცდა ერთ დოყლაპიას.

ზურაბმა ირონიულად გადახედა:

- ჭკუა გაქვს ახლა შენ? ვინ მომაკვლევინებდა ბიჭო ბალელშიკებს მაშინ?! (ვითომ ახლა ნაღდად შეიძლება). ბალელშიკის მოკვლა სად გაგიგონია შენ!

- აბა? - უფრო გაუკვირდა შემკითხველს.

- რა აბა?

- სტადიონზე ვნადირობდიო, თქვით.

- გაჩუმდი და მისმინე. ათას ცხრაასრომელიღაცა წელია. ჩვენი თბილისის „დინამო" ეთამაშება ერევნის „არარატს".

- ხო, ხო, ხო!!! დავინტერესდით სასწაულად.

- ხოოო დააა - გააგრძელა მწვრთნელმა, ოცდამეთხუთმეტე წუთია და რას ვხედავ პროჟექტორების შუქზე, აბა ვინ გამოიცნობს?

- რას და გოლს „არარატის" კარში.

- არა, ეგ უკვე იყო... ვერ გამოიცანი.

- აბა რას, პატივცემულო?

- რას, კაცო და ფრრრრ... არ ჩამოფრინდა მწყერი მოედანზე და არ ჩაიმალა კარების სიახლოვეს ბალახებში!

- კი მაგრამ სხვებმა ვერ დაინახეს? - დაინტერესდა მეორე მსმენელი.

- სხვები რას დაინახავდნენ შე შტერო, ფეხბურთს უყურებდნენ.

- აბა თქვენ როგორ დაინ...

- მე პროფესიონალი ვარ, უტვინო! - გაჩუმდი და მისმინე თუ გაინტერესებს, თუ არა, მე ისედაც ვიცი.

- გისმენთ, გისმენთ...

- ხოოო დააა, ორ წუთში ახლა მეორე მწყერიც ჩამოფრინდა, ალბათ მეუღლე იყო და ჩაიმალა ისიც იქვე კარებთან ბალახებში.

- უყურე შენ! - გაგვიკვირდა.

- ვუყურებ , აბა არ ვუყურებ? ახლა მესამე და მეოთხეც ჩამოფრინდა იქვე ჩვენს საჯარიმოში.

- შვილები იქნებოდნენ - გამოიცნო ერთმა მსმენელმა.

- ახლა მაგას მე ვინ მეტყოდა, თუმცა შესაძლებელია ასეც ყოფილიყო, რადგან მერე და მერე კიდევ ჩამოფრინდნენ მწყერები, სავარაუდოდ, როგორც შენ თქვი - შვილიშვილები და ახლო ნათესავები იქნებოდნენ..

- მატჩი რა ანგარიშით დამთავრდა პატივცემულო?

- ბიჭო, ახლა მაგისთვის მეცალა მე?! გულმოდგინედ ვიმახსოვრებდი მწყერების დისლოკაციის კოორდინატებს გრძედზე და განედზე. ახლა რა ხდება თუ იცით?

- არა!

- რა დააა, ერთი სული მაქვს როდის დასრულდება მატჩი. არადა, ეს დალოცვილი მწყერები მოფრინავენ და მოფრინავენ. მთელი სტადიონი გუგუნებს „დინამო! დინამო!" მე გულში ვიძახი მწყერიი! მწყერიი!!!

- ვინ მოიგო? - ახლა სხვა კუთხით დაუსვეს კითხვა გახურებულ ზურაბ მიუნჰაუზენს.

- რა ვიცი კაცო მე, ვინ მოიგო. მგონი ჩვენებმა. ის კი მახსოვს დანამდვილებით, რომ „ნიჩია" არ დამთავრებულა.

- მერე, მერე? - ვერ ვისვენებთ.

- მერე მოხდა რაც მოხდა. დამთავრდა თუ არა თამაში, მივედი სახლში, ჩავდე სარჩულში ჩემი სანადირო თოფი და შუაღამეზე ჩუმად, ისე, რომ კაციშვილს არ გაუგია - გადავიპარე სტადიონზე და შევიპარე მოედანზე.

- და შეგამჩნიათ ყარაულმა? - „გაუტეხა" აშკარად სულ პირველმა.

- შენ ლენჩო, მე მასეთი ვარ, ყარაული შემამჩნევდა? „აგენტი-007" ხომ იცი, ხან ბროსნანი რო თამაშობს და ხან სხვა - ხომ იცი?

- კი...

- ჩემზეა... ის ამბავი, რომ გაიგეს, მერე ააგეს და მიაკერეს რაღაც-რაღაცეები.

- მაინც რა გააკეთეთ ასეთი? - ეჭვიანად ვიკითხეთ ჩვენ.

- რა და 78 მწყერი ისე მოვკალი, საჯარიმო მოედნიდან არ გამოვსულვარ, გელაპარაკებით მე თქვენ!

კომენტარი მკითხველისთვის მიმინდვია.

## მაყარი-№1

ქუთაისში ვართ სტუმრად ერთ ახლობელთან, მე, ცხონებული ჩვენი კოლეგა თემურ მატოიანი და კიდევ ერთი ახლობელი, ისიც მსროლელი სპორტსმენი.

სავარდო და სამაისო, საქეიფო და სალადაო ტკბილ ქალაქში ერთ ოჯახში მიგვიპატიჟეს, მოდით, დაგვაფასეთო.

ახალი დაწყებული გვაქვს „ჭამა-სმა დიდად შესარგი" და „შემოგვესწრო" ერთი უზარმაზარი დევივით კაცი.

- სიდედრს ყვარებიხარ! - გაიხარა ჩვენმა მასპინძელმა. თბილისელი სტუმრები მყავს და უთამადე, არ მომჭრა თავი, იცოდე!

დევმა ალმაცერად გადმოგვხედა. საერთოდ იმერლებს თბილისელები „სლაბმსმელებად" მიაჩნიათ. მერე ზრდილობა გაახსენდა და სათითაოდ ჩამოგვართვა ხელი - პარმენიჩი ვარ მეო.

- თუ ძმა ხარ, ბევრი დრო კი არ მაქვს მე. ქორწილში ვარ დაპატიჟებული, ერთ საათში იქ უნდა ვიყო.

- ტყუილს მოუკვდა პატრონი! - იყვირა ჩვენმა მასპინძელმა.

- არ გრცხვენია სევერიანოვიჩ? - მასთე მოდის ჩვენში? მეტყვილიე კაცს ვგავარ მეეე? მეტყვილიე კაცს არ გააცივა წელში? - ა, ბატონო, დააძრო „საბუთად" მოსაწვევი ბარათი. ელვისებურად ავკრიფეთ მსხვილი შრიფტით ნაბეჭდი:

„გეპატიჟებით ჩვენი შვილების გურიკოს და გულიკოს ქორწილში №1 მაყრად".

- არც ახლა გჯერათ?

- ახლა კი - დავიხიეთ ყველამ უკან.

- მაინც რა პომპეზი მევიწყეთ ჩვენ ქუთეისში - აროხროხდა მასპინძელი - რაია ახლა ე ნომერ პირველი მაყარი 500 კაციან ქორწილში! ერთი ასორმოცდამეექვსე მაყრის გვარი მაცოდინა, არ მინდა მეტი არაფერი.

- მოკლედ ასე! - გააქტიურდა თამადა - დავცხოთ ახლა. გამახსენდა დოდო აბაშიძე რომ ამბობს კ/ფ „ქალაქი ანარაში" - ჩამომიწკრივეთ რვა ჭიქა ერთბაშად, ქორწილში ვარ წასასვლელიო.

- რაო? დავცხოთო?! - ავიტაცეთ ჩვენ. აბა დავცხოთ!

წავიდა და რა წავიდააა!!! ჭიქა-ჭურჭელი არ დარჩენილა ოჯახში, რომ არ გამოგვეყენებინა დასალევად. მეტი რომ ველარაფერი ვნახეთ სულ ბოლოს ბოთლის პლასტმასის თავსახურით შევსვით „პეპსი კოლას" უკვდავი სადღეგრძელო და ჩაემხო კიდევაც ჩვენი №1 მაყარი სიფათით პირწმინდადმოსუფთავებული მწვადის თეფშში.

მეორე დილით, გაბრუებულმა ვერ გაიგო, როგორ აცდა ქორწილს, ვილაცებმა მოაკითხეს რატომ დაგვალალატე, არ მოხვედიო.

- აი, ამ „პატიოსან" ხალხს შევაკვდი ბატონო, ხომ არ მივატოვებდი, თბილისელი სტუმრები არიანო - მოათითა ჩვენზე.

- მერე და შენ კაი კაცო, წამოგეყვანა ეგენიც, სამი კაცის რა გვითქვიაო.

- არაა მასე საქმე - შიშით გამოიხედა ჩვენსკენ, ბედი თქვენი რო არ წამევიყვანე, თვარა მიასიკვდილებდნენ ყველა ნომერ მაყარს სუფრასთანო.

„დაგვპატიჟე ქუთაისო, მუდამ მზადა ვართ

თუნდაც თბილისში გვეწვიეთ, სხვასთან არ წავალთ!"

## სიზუსტე ყველგან საჭიროა

ყველაფერი იწყება დამთავრდება. მეც დროებით უნდა დაგემშვიდობოთ, ოლონდ ერთსაც გავიხსენებ.

პირველი შვილი „საკეისრო კვეთით" შემეძინა. ექიმმა გინეკოლოგმა სასტიკად გამაფრთხილა: მეორე - სამ წელზე ადრე არ შეიძლებაო!

რას იზამ! - ექიმმა იცის თავისი საქმე. მაგრამ მეც რომ ჩემი საქმე ვიცი?

ზუსტად სამი წლის შემდეგ მივუყვანე ჩემი ფეხმძიმე მეუღლე იმ გინეკოლოგს.

- აუ, გევიდა უკვე სამი? - შემხედა სათვალის ზემოდან.

- კი, ბატონო.

- ამოიღო თავისი „დავთარი" და ჩაიხედა. წელი, თვე, კვირა, დღე და საათი ზუსტად ემთხვეოდა დათქმულ დროს.

- ახლა კი მჯერა - ზეცას ახედა ექიმმა.

- რა გჯერათ, ბატონო, ღმერთი რომ არსებობს? - ვეკითხები ზეცაში თვალაპყრობილს.

- არა, კაცო, ეგ ისედაც მჯერა.

- აბა რა?

- აბა ის, რომ ნამდვილად ზუსტი მსროლელი ყოფილხარ, ჩემო ძმაო, შენ!

**მურმან მერკვილიშვილი**

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები

**თარაზულად:** 1. ნიჟარაძე; 4. აგასი; 8. უგრინი; 9. სომოვი; 12. სხიერელი; 14. სკიფი; 15. ფეხლევანიდი; 18. კოლელიშვილი; 21. კედი; 22. ტურავა; 23. პასი; 24. ფარი; 26. ინალიშვილი; 28. ძაგნიძე; 29. ბეტონი.

**შვეულად:** 1. "ნიუკასლი"; 2. ჟირესი; 3. რენა; 5. გომელსკი; 6. სევერინი; 7. ოსლო; 10. "შალკე"; 11. მინაშვილი; 13. ევერესტი; 16. "ამირანი"; 17. ლობჟანიძე; 19. შხარა; 20. ჯემალ; 24. ფინტი; 25. რიონი; 26. იენა; 27. შუბი.

**FM 107,9**

ყოველ შაბათ-კვირას 15.00-22.00 რადიო „საქართველოს ხმის" (FM 107,9) პირდაპირ ეთერში - ქართული და მსოფლიო სპორტის სიახლეები, მიმდინარე და დასრულებული სპორტული ასპარეზობების შედეგები, სტუმარი, ვიქტორინა და საინტერესო პრიზები გადაცემაში „სპორტ ონლაინ" დონ ედოსთან ერთად.

გადაცემის საინფორმაციო მხარდამჭერი - გაზეთი „ლელო".

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო და სპორტის დეპარტამენტი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 74 წლისა უეცრად გარდაიცვალა ვეტერანი მძლეოსანი, საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკი და დამსახურებული მწვრთნელი, საქართველოს მძლეოსნობის ეროვნული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი

**ყარამან საბანაშვილი**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

პანაშვიდი: 27, 28.02; დაკრძალვა 1.03.

მისამართი: ქერჩის ქუჩა №20 (პოლიციის აკადემიასთან).

კალათბურთი


1988 წელი. აზოტი-შახტარი. უტევს ზვიად ბაბიაშვილი

ევროპის ზღურბლთან

# ვითამაშოთ ევროთასებზე

## და ეთიოპიასაც აღარ შეგვადარებენ

**დღეს**

**იცით რამდენი გუნდი მონაწილეობს ბელგიის ჩემპიონატში? - ცხრა. აქედან ექვსი 2010-11 წლებში ევროტურნირებზე იცავდა ბელგიის ღირსებას.**

...ქართველებს ნაკლებად გვაქვს ღირსების გრძნობა? თუმცა, ფული გვაქვს ნაკლები - ევროთასებზე გუნდის გაყვანას სათანადო ბაზა, კარგი ადგილობრივი კალათბურთელები და 4-5 ლეგიონერი სჭირდება. საამისოდ კი ვერც ერთი ქართული კლუბი პოულობდა თანხას. ბოლო წლებში მხოლოდ რუსთავის „ენერჯიმ“ გაიხედა ევროპისკენ, მაგრამ ლეგიონერები ბოლო მომენტში ჩამოიყვანეს და მათი ევროჩელენჯზე ასპარეზობა მოვალეობის მოხდას უფრო ჰგავდა.

არადა, „ტარტუ როკის“ მაგალითი წინ გვაქვს - 1.5 მილიონიანი ბიუჯეტის შემთხვევაშიც კი შეიძლება ისეთი გუნდის შერჩევა, ევროჩელენჯზე ფინალურ ოთხეულში რომ მოხვდება. ამას სწორი გათვლები სჭირდება... ქართული კლუბებისგან ოთხეულს არავინ ითხოვს, პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის დაძლევაც საოცნებოდ გაგვხდომია.

გარკვეულწილად გავბრაზდი ერთ ლატვიელ ქომაგზე, რომელმაც მათი ნაკრების მწვრთნელის, **აინარს ბაგაცკისის** საქართველოში წამოსვლის შესახებ რომ შეიტყო, ფორუმში დაწერა - ბარემ ეთიოპიაში ჩასულიყოო... რეალობას რომ შევხედოთ, ევროპელებისთვის საქართველოსა და ეთიოპიის საკლუბო კალათბურთს შორის დიდი სხვაობა არ უნდა იყოს - არც ერთს იცნობენ და არც მეორეს, არც ეთიოპიური კლუბები გამოდიან ევროსარბიელზე და არც ქართულები.

ეს მაშინ, როცა საქართველოს ნაკრები ევრობასკეტზე თამაშობს და პირველი ეტაპის გადალახვასაც აპირებს. **ზაზა ფაჩულიასაც** არაერთხელ უთქვამს: ქართულ კლუბებს მიხედვა სჭირდებათ, სწორედ იქ უნდა გაიზარდონ ის კალათბურთელები, რომლებიც ახლო მომავალში ნაკრებში ჩვენს გვერდზე დადგებიან, შემდეგ შეგვცვლიანო. უფულო, შესაბამისად უსტიმულო ჩემპიონატში კი სათანადო პროგრესი წარმოუდგენელია. ნიჭიერი ახალგაზრდა გამოცდილი ლეგიონერების გვერდით ევროტურნირებზე თამაშით ათმაგად მეტს ისწავლის და ნაკრებსაც უფრო გამოადგება.

**ხვალ**

წინა ქვეთავში ანმყო დროში ვილაპარაკე, თუმცა ერთ მომენტში ისიც გავიფიქრე - წარსულში ხომ არ დამეწერა-მეთქი. რადგან უძრაობის ხანა წარსულს ბარდება - 2010-11 წლების სეზონში საქართველოს ჩემპიონატში ფულიც გაჩნდა და კლუბებიც ლიად გამოთქვამენ ევროტურნირებზე გამოსვლის სურვილს. მეტსაც გეტყვით: ზოგს ისიც აინტერესებს, ერთი ქვეყნიდან რამდენ კლუბს აქვს ევროჩელენჯზე თამაშის უფლება (აბა ევროთასსა და ევროლიგაზე არავინ დაგვიშვებს). ამ კითხვით კალათბურთის ფედერაციის გენერალურ მდივან **მერაბ რატიშვილს** მივმართეთ და შევიტყვეთ, რომ 2010-11 წლების სეზონში ევროჩელენჯზე ერთი ქვეყნის ოთხ გუნდს ჰქონდა ასპარეზობის უფლება (რაც რუსებმა და ბელგიელებმა მაქსიმალურად გამოიყენეს).

კონკრეტულზე გადავიდეთ. სუპერლიგის რეგულარული ჩემპიონატის ლიდერი „არმია“ ევროჩელენჯზე აპირებს გამოსვლას. არმიელთა თავკაცმა **ლევან მოსეშვილმა** სლოვენიური შეკრებიდან დაბრუნების შემდეგ აღნიშნა: კარგი გუნდი გვყავს, მაგრამ ევროტურნირებზე ღირსეულად გამოსასვლელად სამ პოზიციაზე თითო კარგი ლეგიონერია საჭიროო.

ეს სხვა კლუბებმაც უნდა გაითვალისწინონ. საქართველოს ჩემპიონატშიც „არმიაზე“ არანაკლები პრეტენზიები აქვს შსს-ს, რომლის პრეზიდენტმა **ლევან მიქაბერიძემ** თქვა: ევროპაზე აუცილებლად გავალთ, ოღონდ მანამდე ჩემპიონატში დადებითი შედეგი უნდა გვქონდეს, მიზანი ჩემპიონობააო....

ევროჩელენჯზე თამაშის სურვილს ლიად „სოხუმი“ აფიქსირებს. გუნდის ხელმძღვანელს სერიოზული მიზნები აქვს, სათანადო დარბაზის აშენებასაც აპირებს და მაღალი კლასის ლეგიონერების დამატებასაც... ევროპისთვის მზადების ერთ-ერთ მთავარ ნაბიჯად „სოხუმის“ მთავარ მწვრთნელად ლატვიის ნაკრების თავკაცის აინარს ბაგაცკისის დამატება უნდა მივიჩნიოთ.

„სოხუმი“, „არმია“, შსს - თუ ყველაფერი კარგად წარიმართა, ეს სამი გუნდი ევროჩელენჯზე საქართველოს ღირსებას დაიცავს. თან დარწმუნებულნი ბრძანდებოდეთ, ისეთ შემადგენლობებს შეკრებენ და ისე მოემზადებიან, რომ საკვალიფიკაციო ბარიერიც უნდა გადალახონ და არც ჯგუფურ ეტაპზე იყვნენ აუტსაიდერები.

ერთი არ დაგვავიწყდეს: ქართველ ხალხს კალათბურთი უყვარს და უცხოტომელთა წინააღმდეგ კლუბებსაც ისევე ქომაგობს, როგორც ნაკრებს. ამას ისტორიაც ადასტურებს.

**გუშინ**

თუ, ყველაფერი ისე წარიმართა, როგორც წინა ქვეთავში დავწერეთ, 2011-12 წლების სეზონი ქართული საკლუბო კალათბურთისთვის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული იქნება - ერთბაშად 3 ქართულ კლუბს ხომ არც ერთხელ უასპარეზია საერთაშორისო სარბიელზე.

ყველაზე გამორჩეული კი 1961-62 წლები იყო, როცა თბილისის „დინამომ“ ჩემპიონთა თასი ფინალში თვით მადრიდის „რეალს“ აართვა.

დინამოელებს 1959-61 წლებშიც შეეძლოთ ამავე თასის დაუფლება, მაგრამ ჩემპიონთა თასის ფინალში რიგელებთან დამარცხდნენ. 1968-69 წლების სეზონში **ზურაბ საკანდელიძის** წინამძღოლობით თბილისელებს მეორე ტიტულის მოგების შანსი ჰქონდათ, მაგრამ საპორტას თასზე ჩეხეთის „პრალასთან“ ფინალში 6 ქულის სხვაობით დამარცხდნენ.

მას მერე ჩვენებს ევროსარბიელზე ღირებული წარმატებისთვის აღარ მიუღწევიათ. თუმცა იყო გამონათებები, ისეთი, როგორიც „ვითა“-„კიორმენდის“ მატჩში...

ბოლოს ქართველებმა ჯგუფური ეტაპი 2002-03 წლების სეზონში გადალახეს - თბილისის „დინამომ“ (**ლევან მოსეშვილი** წვრთნიდა) ჯგუფში აზერბაიჯანის „ნტდ-დევონს“ აჯობა და იუჟნის „ხიმიკთან“ ერთად მეოთხედფინალში გავიდა, სადაც უკრაინულ „აზოვმაშთან“ დამარცხდა. ამ მატჩის შედეგი იხილეთ ცხრილში, რომელშიც კიდევ არაერთ საინტერესოს აღმოაჩენთ.


2007 წელი. ამსტერდამი-ენერჯი

**საერთო სტატისტიკა**

| ა. | გუნდი | მონ. | ტიტ. | თ | მ | ფ | წ | ჩაგ. | მიღ | სხ. | ქ | რეიტ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | დინამო, თბილისი | 9 | 1 | 40 | 21 | 0 | 19 | 3227 | 3176 | 51 | 42 | 164 |
| 2 | ვითა, თბილისი | 3 | 0 | 14 | 2 | 0 | 12 | 1043 | 1229 | -186 | 4 | 515 |
| 3 | კაქტუსი თბილისი | 1 | 0 | 2 | 1 | 0 | 1 | 170 | 178 | -8 | 2 | 540 |
| 4 | აზოტი/ენერჯი, რუსთავი | 5 | 0 | 10 | 1 | 0 | 9 | 773 | 946 | -173 | 2 | 581 |
| 5 | შევარდენი, თბილისი | 1 | 0 | 2 | 0 | 0 | 2 | 130 | 219 | -89 | 0 | 697 |
| 6 | მერანი, თბილისი | 2 | 0 | 4 | 0 | 0 | 4 | 295 | 405 | -110 | 0 | 711 |
| 7 | მაძაბი, თბილისი | 3 | 0 | 6 | 0 | 0 | 6 | 466 | 662 | -196 | 0 | 741 |

**შენიშვნა:** ა - ადგილი, მონ - მონაწილეობა, ტიტ - ტიტული, თ - თამაში, მ - მოგება, ფ - ფრე, წ - წაგება, ჩაგ - ჩაგდებული, მიღ - მიღებული, სხ - სხვაობა, ქ - ქულა, რეიტ - ადგილი ევროპის საკლუბო რეიტინგში

**ყველა მატჩი**

| გუნდი | წელი | ტურნირი | ეტაპი | მეტოქე/შედეგი |
|---|---|---|---|---|
| აზოტი/ენერჯი | 2008-09 | ევროჩელენჯი | I საკვალ. | სუმიხიმპრომი (უკრაინა), 81:110, 79:90 |
| | 2007-08 | ფიბას თასი | I საკვალ. | ამსტერდამი (ჰოლანდია), 77:87, 63:101 |
| | 1999/00 | კორაჩის თასი | I საკვალ. | კიევი (უკრაინა), 74:100, 72:90 |
| | 1998/99 | კორაჩის თასი | I საკვალ. | შახტარი (უკრაინა), 92:93, 87:110 |
| | 1997/98 | კორაჩის თასი | I საკვალ. | ფეარსი ტალინი (ესტონეთი), 81:75, 67:90 |
| დინამო | 2002/03 | ჩელენჯ თასი | A ჯგუფი | ნტდ-დევონი(აზერბ.), 101:67, 131:99 |
| | | | A ჯგუფი | ხიმიკი (უკრაინა), 79:84, 86:96 |
| | | | 1/4 | აზოვმაში (უკრაინა), 91:106, 95:111 |
| | 1996/97 | კორაჩის თასი | I საკვალ. | ოლიმპასი (ლიტვა), 73:80, 60:79 |
| | 1992/93 | სუპროლიგა (ჩემპ. თასი) | I საკვალ. | ვროცლავი (პოლონეთი), 85:124, 95:113 |
| | 1988/89 | კორაჩის თასი | I საკვალ. | ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი), 75:96, 113:93 |
| | 1969/70 | საპორტას თასი | 1/4 | პოლონია (პოლონეთი), 82:77, 92:82 |
| | | | 1/2 | ნაპოლი (იტალია), 69:86, 83:88 |
| | 1968/69 | საპორტას თასი | 1/4 | ლევსკი (ბულგარეთი), 88:83, 58:54 |
| | | | 1/2 | პანათინაიკოსი (საბერძნეთი), 67:81, 103:71 |
| | | | ფინალი | პრალა (ჩეხეთი), 74:80 |
| | 1962/63 | ჩემპიონთა თასი | 1/4 | მილანი (იტალია), 65:70, 74:68 |
| | | | 1/2 | ცსკა (რუსეთი), 59:76, 78:79 |
| | 1961/62 | ჩემპიონთა თასი | 1/8 | სტიაუა (რუმინეთი), 77:76, 82:77 |
| | | | 1/4 | დარუშაფაკა (თურქეთი), 80:67, 84:49 |
| | | | 1/2 | ცსკა (რუსეთი), 75:71, 77:66 |
| | | | ფინალი | რეალი (ესპანეთი), 90:83 |
| | 1959/60 | ჩემპიონთა თასი | 1/8 | სტიაუა (რუმინეთი), 83:87, 90:68 |
| | | | 1/4 | პლოვდივი (ბულგარეთი), 76:64, 72:69 |
| | | | 1/2 | პოლონია (პოლონეთი), 88:65, 64:61 |
| | | | ფინალი | ასკ რიგა (ლატვია), 51:61, 69:69 |
| კაქტუსი | 1994/95 | კორაჩის თასი | I საკვალ. | არსენალი ტულა (რუსეთი), 81:62, 89:116 |
| მაძაბი | 2001/02 | კორაჩის თასი | I საკვალ. | სარატოვი (რუსეთი), 91:141, 64:145 |
| | 2000/01 | კორაჩის თასი | I საკვალ. | გროდნო (ბელარუსი), 79:101, 55:71 |
| | 1994/95 | კორაჩის თასი | I საკვალ. | რიტასი (ლიტვა), 85:110, 92:94 |
| მერანი | 1994/95 | კორაჩის თასი | I საკვალ. | ოდესა (უკრაინა), 73:100, 76:94 |
| | 1992/93 | კორაჩის თასი | I საკვალ. | ფენერბაჩე (თურქეთი), 78:108, 68:103 |
| შევარდენი | 1992/93 | კორაჩის თასი | I საკვალ. | შოლნოკი (უნგრეთი), 65:118, 65:101 |
| ვითა | 1996/97 | საპორტას თასი | H ჯგუფი | ვერონა (იტალია), 73:104, 66:92 |
| | | | H ჯგუფი | ლონდონ თაუერსი (ინგლისი), 78:87, 60:72 |
| | | | H ჯგუფი | ტელეკომი (თურქეთი), 80:92, 62:69 |
| | | | H ჯგუფი | ბუდუჩნოსტი (ჩერნოგორია), 104:86, 56:93 |
| | | | H ჯგუფი | კიორმენდი (უნგრეთი), 72:71, 78:97 |
| | 1995/96 | სუპროლიგა (ჩემპ. თასი) | I საკვალ. | ჟალგირისი (ლიტვა), 70:78, 69:100 |
| | 1994/95 | სუპროლიგა (ჩემპ. თასი) | I საკვალ. | ასკ რიგა (ლატვია), 80:88, 95:100 |

ტრანსფერი

# ზაზა ატლანტას ტოვებს

24 თებერვალს გამთენიისას „ატლანტა ჰოქსმა“ „ფინიქს სანსის“ წინააღმდეგ ითამაშა. „ჰოქსში“ **ზაზა ფაჩულია** ირიცხება, „სანსში“ ქართველთათვის კარგად ნაცნობი პოლონელი **მარცინ გორტატი**, ხოლო სამწვრთნელო შტაბში **იგორ კოკოშკოვი**. საინტერესო იყო ფაჩულია-გორტატის დუელის კიდევ ერთხელ ხილვა, მაგრამ ბრძოლა არ შედგა. მიზეზი: ფაჩულიას არ უთამაშია. მის არყოფნაში გორტატმა 13 ქულა და 12 მოხსნა მოაგროვა, ხოლო „ფინიქსმა“ 105:97 მოიგო.

„ჰოქსის“ შემადგენლობაში არ გამოჩენილან **მაიკ ბიბი, ჯორდან კროუფორდი** და **მორის ევანსი**. მათი არყოფნის მიზეზი მარტივია: „ატლანტას“ ხელმძღვანელობამ ვაშინგტონელ **კირკ ჰინრიხსა** და **ჰილტონ არმსტრონგში** გაცვალა. ჰინრიხი ბიბის თანაამპლუელია (გამთამაშებელი), ხოლო როგორც ატლანტური გაზეთები წერენ, ტანმაღალი არმსტრონგი **ჯეისონ კოლინზის** ახალგაზრდა პროტოტიპია.

მთავარი კითხვა: რატომ არ ითამაშა ზაზა ფაჩულიამ? პასუხს გაზეთი „ატლანტა კონსტიტუშენი“ გვცემს: „კროუფორდის, ბიბის, ევანსის გვერდით არ უთამაშია ზაზა ფაჩულიას. მიმდინარეობს მუშაობა მის ტრანსფერზეც, მაგრამ ჯერ კონკრეტული გუნდი არ სახელდება.“

უნდა ვივარაუდოთ, რომ ზაზამ თავად მოითხოვა გუნდიდან წასვლა. მან ზაფხულშიც აღნიშნა: 2010-11 წლების სეზონის წინ „ატლანტაში“ დარჩენას არ ვაპირებდი, მაგრამ მთავარი მწვრთნელი შეცვალეს და წასვლაც ამიტომ გადავიფიქრეო. ქართველ ცენტრს იმედი ჰქონდა, რომ მანამდე სათადარიგოებთან მომუშავე **ლარი დრიუ** მთავარ მწვრთნელად დანიშვნის შემდეგ მაიკ ვუდსონზე მეტად ენდობოდა. თუმცა, მოლოდინი არ გამართლდა - არც დრიუს ემატება (თუ ემატებოდა) ზაზასთვის სათამაშო დრო.

იმასაც შეგახსენებთ, რომ ფაჩულიას საუკეთესო ვარიანტი 2009 წელს გამოუჩნდა - „სან ანტონიოში“ გადასვლა თითქმის გადაწყვეტილი იყო, თუმცა „ატლანტამ“ საკონტრაქტო თანხა ბოლო მომენტში მოუმატა და ზაზაც ჯორჯიაში დარჩა.

ვნახოთ, ამჯერად რომელი კლუბი აიყვანს ზაზას. დაველოდოთ მოვლენების განვითარებას.

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**




ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთა თასი



პორტუგალია-საქართველო. 2010 წელი

# ლობუშებმა საბრძოლო შემადგენლობა შეკრიბეს

ახალ ზელანდიაში გასამართავ მსოფლიოს თასზე საქართველოს ნაკრების მეტოქის, რუმინეთის ეროვნული გუნდის ფრანგმა თავკაცმა, **პიერ ანტონინმა** იმ 22 მორაგბის სია გააცხადა, ვინც შაბათს ბუქარესტში, ერთა თასის მესამე ტურის მატჩში რუსეთის ნაკრებს დაუპირისპირდება.

შეგახსენებთ, რომ ორი კვირის თავზე, 12 მარტს „მუხის ფოთლებს" თბილისში ვუმასპინძლებთ. „ვლახებს" რუსებთან მატჩისთვის 13 მორაგბე დააკლდათ. რუმინეთის რაგბის კავშირმა ნაკრების მწვრთნელებს ოფიციალურად მოსთხოვა ახსნა-განმარტება თითოეული მორაგბის არყოფნის თაობაზე.

ნაკრების ერთ-ერთმა მწვრთნელმა, ახლო წარსულში შესანიშნავმა მორაგბემ **რომეო გონტინიაკმა** პატაკში ასე ჩაწერა:

**სილვიუ ფლრეა** - ტრავმის გამო მას ოთხი თვე გაუცდა. ახლა ჯანმრთელადაა და გვთხოვა, კლუბში თამაშის საშუალება მიგვეცა. საქართველოს ნაკრებთან სათამაშოდ აუცილებლად შემოგვიერთდება.

**იონ პაულიკა** - ისიც ტრავმირებული იყო და გვთხოვა, ფორმის აღსადგენად ჯერ კლუბში ეთამაშა, თანაც მეუღლე ფეხმძიმედაა და დღე-დღეზე შვილის დაბადებას ელოდება. იონს უნდა მის გვერდით იყოს.

**პეტრიშორ ტოდერაშკი** – მან გადაწყვიტა, ეროვნულ ნაკრებში თამაში დაასრულოს.

**ბოგდან ბალანი** - პორტუგალიის ნაკრებთან ითამაშა, თუმცა ახლა ოჯახური პრობლემები აქვს.

**დრაგოშ დიმა** - დღესდღეობით ნახევრად პროფესიულ კლუბში თამაშობს. დიმა ნაკრებისთვის საჭირო მოთამაშეა, მაგრამ ამჟამად სათანადო სათამაშო ფორმაში არ იმყოფება.

**ალექსანდრუ მანტა** - ეროვნულ ნაკრებში თამაშზე უარი განაცხადა, თუმცა მისთვის ჩვენი გუნდის კარი მუდამ ღიაა. იმედი გვაქვს, რომ მანტა ნაკრებს დაუბრუნდება.

**მარიუშ ტინკუ** - ტრავმირებულია.

**ვალენტინ ურსაკე** - ტრავმა ახლახან მოირჩინა. გასულ უქმეებზე კლუბში უკვე გამოჩნდა. თუ ჯანმრთელობამ ხელი შეუწყო, საქართველოს ნაკრებთან ითამაშებს.

**ავგუსტინ პეტრიკეი** - ფეხზე მყესები დაიზიანა. ოპერაციის შემდეგ აღდგენით პროცედურებს გადის.

**სამუელ მარისი** - პორტუგალიასთან მატჩის წინ დაშავდა. იმედი გვაქვს, მალე გამოჯანმრთელდება.

**იონუც დიმოფტე** - ტრავმის შემდეგ აღდგენითი პროცედურები გაიარა და მალე ჯანმრთელი იქნება.

**ვასილი რუსი** - ტრავმის გამო ერთი წელიწადი გაუცდა.

**სტეფან ჩუნტუ** - ახლახან მუხლის ოპერაცია გაიკეთა.

რუსეთის ნაკრებმა კი, ჯერ კიდევ 20 თებერვალს თურქეთის საკურორტო ქალაქ ბელეკს მიაშურა და „სტეუარის" წინააღმდეგ სათამაშოდ იქ ემზადება. მთავარმა მწვრთნელმა **ნიკოლაი ნერუშმა** თურქეთის შეკრებაზე 26 მორაგბე იხმო. გუნდს მხოლოდ ერთი მორაგბე, მეორეხაზელი **კირილ კულემინი** (აჟენი) აკლია, რომელიც ტრავმირებულია.

## რუმინეთი-რუსეთი

რუმინეთი: **15. იულიან დუმიტრაში, 14. მადალინ ლემნარუ, 13. იონელ კაზანი, 12. რობერტ დესკალუ, 11. კატალინ ფერკუ, 10. ფლორინ ვლაიკუ, 9. ლუჩიან სირბუ. 1. სეზარ პოპესკუ, 2. ბიგდან ზებეგა, 3. მიჰაიტა ზაზარი, 4. სორინ სოკოლი, 5. კრისტიან პეტრე, 6. სტელიან ბურეა, 7. დანიელ იანუსი, 8. ოვიდიუ ტონიცა.**

**16. ვასილე მარისკარიუ, 17. ნიკოლაე ნერე, 18. ვალენტინ პოპირლანი, 19. დანიელ კარპო, 20. ფლორინ სურუგიუ, 21. დანიც დუმბრავა, 22. კონსტანტინ გეარა.**

## რუსეთის ნაკრები

პირველი ხაზი: **ვალერი ცნობილაძე (სმენა), კარლო მაღლაკელიძე (პენზა), ალექსანდრ ხროკინი, ალექსეი ტრავკინი, ვლადისლავ კორშუნოვი (სამივე-ვვა), ივან პრიშეპენკო (კრასნი იარი), ევგენი პრონენკო (ენისეი).**

მეორე ხაზი: **ანდრეი ოსტრიკოვი (ორიაკი), ალექსანდრ ვოიტოვი (ვვა).**

მესამე ხაზი: **არტიომ ფატახოვი, ალექსეი პანასენკო, ევგენი მატვეევი, კირილ კუშნარიოვი, ვიქტორ გრესევი (ყველა-ვვა), ანდრეი გარბუზოვი (კრასნი იარი)**

**N9: ალექსანდრ იანუშკინი, ალექსანდრ შაკიროვი (ვვა)**

**N10: იური კუშნარიოვი (ვვა)**

**N12-13: მიხაილ ბაბაევი (ვვა), იგორ გალინოვსკი, ალექსეი მაკოვეცკი (კრასნი იარი)**

**N11-14: ვასილი არტემიევი, ანდრეი კუზინი (ორივე -ვვა), ვლადიმირ ოსტროუშკო (კრასნოდარი)**

**N15: კონსტანტინ რაჩკოვი (სტად ფოსენი), იგორ კლუჩნიკოვი (ვვა).**

22-კაციანი შემადგენლობა დაასახელა პორტუგალიელთა თავკაცმაც. „ლობუშები" საქართველოს ნაკრებს ოპტიმალური, საბრძოლო შემადგენლობით დაუხვდებიან.

## პორტუგალია-საქართველო

პორტუგალია: **15. ანტონიო აგილარი, 14. გონსალო ფორო, 13. ფედერიკო ოლივეირა, 12. პედრო სილვა, 11. ჟოზე ლიმა, 10. ჯო გარდნერი, 9. პედრო ლეალი. 1. ჟუან მურე, 2. ჟოაო კორეა, 3. კრისტიან სპაშუკი, 4. ჟუან სევერინო, 5. გონსალო უვა, 6. ვასკო უვა, 7. ჟულიენ ბარდი, 8. ტიაგუ გიარაუ.**

**16. ლიონელ კამპარნე, 17. ენტონი ალვეში, 18. რუი დორეი, 19. ჟაკ ლე რუ, 20. ჟოზე პინტუ, 21. პედრო კაბრალი, 22. ფრანსისკო მირა.**

საქართველო: **15. ბექა ურჯუკაშვილი, 14. ირაკლი მაჩხანელი, 13. დავით კაჭარავა, 12. თედო ზიბზიბაძე, 11. ლექსო გუგავა, 10. ლაშა მალაღურაძე, 9. ირაკლი აბუსერიძე. 1. დავით ხინჩაგიშვილი, 2. აქვსენტი გიორგაძე, 3. დავით ზირაქაშვილი, 4. ლევან დათუნაშვილი, 5. ვახტანგ მაისურაძე, 6. სიმონ მაისურაძე, 7. შალვა სუთიაშვილი, 8. მამუკა გორგოძე.**

**16. ირაკლი ნატრიაშვილი, 17. გოდერძი შველიძე, 18. გიორგი ჩხაიძე, 19. ვიქტორ კოლელიშვილი, 20. ბიძინა სამხარაძე, 21. ირაკლი ჩხიკვაძე, 22. მერაბ კვირიკაშვილი.**

მესამე წყვილში ესპანეთის ნაკრები მადრიდში უკრაინის ეროვნულ გუნდს უმასპინძლებს. იბერიელებს სამი წამყვანი მოთამაშე დაუბრუნდებათ **პაბლო ფეიხოო, სერხიო სოუტო და ლეანდრო ფერნანდეს-არამბურუ**. ამასთან, ესპანელებმა გუნდში უხმეს კიდევ ერთ ნატურალიზებულ მორაგბეს, ფრანგული „მონპელიეს" პირველხაზელ **ფაბიენ როფესს.**

უკრაინის ნაკრების ბანაკში სამარისებური სიჩუმეა. იქაურ რაგბის სერიოზული პრობლემები აქვს და გასაკვირი არაა, წესით დადგენილ ვადებში გუნდის შემადგენლობას რომ არ აქვეყნებენ. სავარაუდოდ, უკრაინელთა რიგებში წარმოშობით სამი ქართველი მორაგბე ითამაშებს, **ჯაბა მალაღურაძე, გიორგი გეგიძე** და **ზურაბ კიკაჩეიშვილი.**

ესპანეთის ნაკრები: **მარტინ ერედია (კოსტას დელ სოლ), ხუან გონსალესი, ლანდრო ფერნანდეს-არამბურუ (ორივე-კახასოლი), მიულერ გუტიერესი, იგნასიო ბონანი, ფერნანდო ანიბალი (სამივე-ენტრეპინარესი), სერხიო სოუტო, პაბლო ფეიხოო (ორივე-ელ სალვადორი), ხავიერ ასევედო (სანტაბოიანა), ხავიერ კანოსა, ვიქტორ გომესი (ორივე-მადრიდი), მატრინ ასენა, მეთიუ კუკი, როდრიგო სანჩესი (სამივე-ლა ვილა), პედრო მარტინი, მატიას ტუდელა (ორივე-ორდიზია), ფედერიკო ნეგრილო (ბისკაია), კარლოს ბლანკო (ვიგო), გაუტიერ გიბუნი (ბორდო), სერხი ობენალი (კლერმონი), ხესუს ნუნესი, ხუან არიასი (ორივე-ლილი), პიერ ბელსუნსე (კოლომიე), ბატისტ სანჩესი (ნარბონი), ადრიან აიესტარანი, ანდონი ხორახურია (ორივე-ბიარიცი), მატინ ეჩეპარე (დაქსი), მატიო როსა (ორიაკი), ფაბიენ როფესი (მონპელიე), ხესუს მორენო (ლიდსი).**

## ერთა თასი

### III ტური. 26 თებერვალი

პორტუგალია-საქართველო, რუმინეთი-რუსეთი, ესპანეთი-უკრაინა

### IV ტური. 12 მარტი

საქართველო-რუმინეთი, ესპანეთი-პორტუგალია, უკრაინა-რუსეთი

### V ტური. 19 მარტი

რუსეთი-საქართველო, რუმინეთი-ესპანეთი, პორტუგალია-უკრაინა.

### სატურნირო მდგომარეობა

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. საქართველო | 2 | 2 | 0 | 0 | +119 | 10 |
| 2. პორტუგალია | 2 | 2 | 0 | 0 | +9 | 8 |
| 3. რუსეთი | 2 | 1 | 0 | 1 | +2 | 5 |
| 4. ესპანეთი | 2 | 0 | 0 | 2 | -64 | 1 |
| 5. რუმინეთი | 1 | 0 | 0 | 1 | -7 | 1 |
| 6. უკრაინა | 1 | 0 | 0 | 1 | -59 | 0 |

ექვსი ერი

# პომებმა ენდრიუ შერიდანი დააბრუნეს

ინგლისის ნაკრები ხვალ, „თვიქნემზე" საფრანგეთის ეროვნულ გუნდს უმასპინძლებს. მატჩის შედეგს ორივე გუნდისთვის, რომლებიც ჯერჯერობით დაუმარცხებელნი არიან, უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. ამ შეხვედრაში გამარჯვებული, შესაძლებელია, ექვსი ერის ჩემპიონიც გახდეს.

„პომების" თავკაცმა **მარტინ ჯონსონმა** წინა ტურში „სკუადრა აძურას" გამანადგურებელ შემადგენლობაში ერთი ცვლილება განახორციელა. გუნდს დაუბრუნდა ტრავმამოშუშებული პირველხაზელი **ენდრიუ შერიდანი.**

კვლავ ვერ მოირგებს ინგლისის ნაკრების კვართს გუნდის კაპიტანი **ლუის მუდი**, რომელმაც მოშუშებული მუხლი ვარჯიშისას ისევ დაიზიანა. შეგახსენებთ, რომ მუდიმ ექვსი ერის გათამაშების ორივე ტური გამოტოვა.

ისევ სათადარიგოთა შორის არის მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მგეზავი **ჯონი ვილკინსონი**. მის ნაცვლად „პომებს" ახალგაზრდა **ტობი ფლუდი** დაგეზავს.

შეგახსენებთ, რომ ინგლისის ნაკრები ახალ ზელანდიაში გასამართავ მსოფლიო თასზე ჩვენი ეროვნული გუნდის მეტოქეა.

ინგლისი: **15. ბენ ფოდენი, 14. კრის ეშტონი, 13. მაიკ თინდოლი, 12. შონთაი ჰეპი, 11. მარკ კუეტო, 10. ტობი ფლუდი, 9. ბენ იანგზი. 1. ენდრიუ შერიდანი, 2. დილან ჰარტლი, 3. დენ კოლი, 4. ლუის დიკონი, 5. ტომ პელმერი, 6. ტომ ვუდი, 7. ჯეიმზ ჰესკელი, 8. ნიკ ისთერი.**

**16. სტივ თომპსონი, 17. ალექს კორბისიერო, 18. საიმონ შოუ, 19. ჰნრი ფური, 20. დენიელ კერი, 21. ჯონი ვილკინსონი, 22. მეთ ბანაჰანი.**

# რონან ოგარა ძირითადს უბრუნდება

ირლანდიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **დეკლან კიდნიმ** 33 წლის ვეტერანი, მგეზავი **რონან ოგარა** ძირითად შემადგენლობაში დააბრუნა. ოგარა, რომელსაც აქამდე ეროვნულ გუნდში 105 კეპი მოუხვეჭია, სტუმრად, „მერიფილდზე" შოტლანდიელებთან მატჩში ახალგაზრდა **ჯონათან სექსტონს** შეცვლის. მან „სამყურებს" პირველ ტურში იტალიასთან არეკნით გამარჯვება მოუტანა. ფრანგებთან საშინაო მატჩში კი თამაშში გარდატეხის შეტანა შეძლო და „ლე ბლეს" წაქცევამდე ცოტა დააკლდა.

კიდნიმ ოგარას გარდა კიდევ ორი ცვლილება განახორციელა. უკანა ხაზში დაბრუნდა **ტომ ბოუი**, სათადარიგოთა შორის იქნება ტრავმამოშუშებული **პედი ვოლესი.**

*„მერიფილდზე" შოტლანდიის ნაკრებთან მატჩს ჩვენთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს. თუ გავითვალისწინებთ, რომ ბოლო ტურში, 19 მარტს ინგლისის ნაკრებს ვმასპინძლობთ, ექვსი ერის მოგების შანსს ისევ ვინარჩუნებთ"* - თქვა ირლანდიელთა მთავარმა მწვრთნელმა დეკლან კიდნიმ.

ირლანდია: **15. ლუკ ფიცჯერალდი, 14. ტომ ბოუი, 13. ბრაიან ოდრისკოლი, 12. გორდონ დარსი, 11. ქეით ირლზი, 10. რონან ოგარა, 9. ეოინ რედანი. 1. კიან ჰილი, 2. რორი ბესტი, 3. მაიკ როსი, 4. დონჩა ოკალაჰანი, 5. პაულ ოკონელი, 6. შონ ობრაიანი, 7. დევიდ ვოლესი, 8. ჯიმი ჰისლიპი.**

**16. სონ კრონინი, 17. ტომ კართი, 18. ლეო კალენი, 19. დენის ლამი, 20. პეტერ სტრინგერი, 21. ჯონათან სექსტონი, 22. პედი ვოლესი.**

მსოფლიო თასი

# ყველა მატჩი ახალ ზელანდიაში გაიმართება

ახალ ზელანდიაში გასამართავი მსოფლიოს თასის საორგანიზაციო კომიტეტის ხელმძღვანელის **მარტინ სნედენის** განცხადებით, ძლიერი მიწისძვრა, რომელმაც ქალაქი ქრაისთჩერჩი თითქმის მთლიანად დაანგრია, მსოფლიო თასის გათამაშების ამ ქვეყანაში ჩატარებას ხელს ვერ შეუშლის.

გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს თავს დატეხილი უბედურების გამო, ახალი ზელანდია მსოფლიო რაგბის უდიდეს ფორუმს მეზობელ ავსტრალიას დაუთმობს.

*„ახლა ადრეა იმაზე ლაპარაკი, შეძლებს თუ არა ქრაისთჩერჩი მიწისძვრის შემდეგ, მსოფლიო თასის თამაშებს უმასპინძლოს. რადგან ახლა უწინარესად იმაზე ვფიქრობთ, რომ ასობით ადამიანის სიცოცხლე გადავარჩინოთ. სტადიონის მდგომარეობას ოდნავ მოგვიანებით, უახლოეს დღეებში შევაფასებთ და გადაწყვეტილებას ამის შემდეგ მივიღებთ.*

*თუმცა, ერთი რამ გადაჭრით შემიძლია ვთქვა, მსოფლიო თასის ყველა თამაში ახალ ზელანდიაში გაიმართება"* - თქვა მარტინ სნედენმა.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**



ქრაისთჩერჩის სტადიონი

msy.gov.ge

● კალათბურთი



დერონ უილიამსი

# დერონი ნეტსში გადავიდა

კიდევ ერთი ხმაურიანი ტრეიდი განხორციელდა ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში. მას შემდეგ, რაც „ნიუ ჯერსი ნეტსმა" შარშან ზაფხულში ვერ შეძლო **ლებრონ ჯეიმსის** გადაბირება, ხოლო ცოტა ხნის წინ ჩაუვარდა **კარმელო ენტონის** ტრანსფერი, ამ გუნდმა მაინც მოახერხა ვარსკვლავის შეძენა. „ნეტსში" გააგრძელებს კარიერას ლიგის ერთ-ერთი საუკეთესო გამთამაშებელი **დერონ უილიამსი**, რომელიც აქამდე „იუტას" ლიდერი იყო.

მაშ ასე, დერონის სანაცვლოდ „ჯაზმენებმა" მიიღეს **დერიკ ფეივორსი, დევინ ჰარისი** და აგრეთვე 2011 და 2012 დრაფტების პირველ რაუნდში არჩევანის უფლება. გარდა ამისა, „ნეტსს" მოუწევს „იუტასთვის" 3 მილიონის გადახდა.

შეგახსენებთ, რომ დერონ უილიამსი უკმაყოფილო იყო „იუტაში" თავისი მდგომარეობით, თუმცა არაოფიციალური ინფორმაციის თანახმად სწორედ უილიამსი გახდა „ჯაზმენების" ლეგენდარული მწვრთნელის **ჯერი სლოუნის** გადადგომის მიზეზი.

დერონ უილიამსი „იუტამ" 2005 წელს დრაფტის მესამე ნომრად აირჩია. მიმდინარე სეზონში 26 წლის კალათბურთელი საშუალოდ 21.3 ქულასა და 9.7 შედეგიან პასს აგროვებს. 2012 წლის ზაფხულში ის თავისუფალი აგენტი გახდება, თუმცა 2011 წლის ივლისიდან შეუძლია მოლაპარაკებები დაიწყოს „ნიუ ჯერსისთან" კონტრაქტის გახანგრძლივებაზე.

გუშინვე „ნიუ ჯერსიმ" კიდევ ერთი გარიგება დადო: **ტროი მერფი** გაუშვა „გოლდენ სტეიტში" და სანაცვლოდ **ბრენდან რაიტი** და **დენ გაძურიჩი** მიიღო.

■ ■ ■

დადასტურდა ამერიკული პრესის გუშინდელი ინფორმაცია „საკრამენტოსა" და „ნიუ ორლეანს" შორის ტრეიდის შესახებ. როგორც მოსალოდნელი იყო, „კინგზმა" მიიღო მცველი **მარკუს ტორნტონი** და ფულადი კომპენსაცია ფორვარდ **კარლ ლენდრის** სანაცვლოდ.

*„ამ ტრეიდით ორივე გუნდი მოგებული დარჩა. კარლი ის მოთამაშეა, რომელსაც დიდი ხანი ვეძებდით. იმედი გვაქვს, ის ჩვენი მომავალი წარმატების ნაწილი გახდება"*, - განაცხადა „ჰორნეტსის" მენეჯერმა **დელ დემპსმა**.

ამ სეზონში ტორნტონის საშუალო სტატისტიკური მაჩვენებლები 7.8 ქულასა და 2.8 მოხსნას უდრის, ლენდრისა - 12.1 ქულასა და 5.2 მოხსნას.

■ ■ ■

„ატლანტამ" და „ვაშინგტონმა" მიაღწიეს შეთანხმებას გაცვლის შესახებ. გარიგების თანახმად „ჰოქსი" მიიღებს მცველ **კირკ ჰაინრიხსა** და ცენტრ **ჰილტონ არმსტრონგს**, „ვაშინგტონში" კი გაემგზავრებიან გამთამაშებელი **მაიკ ბიბი**, მცველი **ჯორდან კროუფორდი** და ფორვარდი **მორის ევანსი**. ამას ემატება დრაფტის პირველ რაუნდში არჩევის უფლება.

ბიბი, რომლის კონტრაქტშიც დარჩა ერთი წელი და 6.2 მილიონი დოლარი, „ვაშინგტონმა" შეიძლება კიდევ ერთი გარიგებისთვის გამოიყენოს.

■ ■ ■

მოთამაშეებს ცვლიან „ლოს ანჯელეს კლიპერსი" და „კლივლენდ კავალიერზი". კალიფორნიაში გაემგზავრებიან **მო უილიამსი** და **ჯამარიო მუნი**, ხოლო „კავალერების" წევრი გახდება **ბაირონ დევისი**. გარდა ამისა, „კლივლენდი" მიიღებს ამ წლის დრაფტის პირველ რაუნდში სასურველი მოთამაშის აყვანის უფლებას.

# შაკი ბრუნდება

„ბოსტონ სელტიქსს" სულ მალე დაუბრუნდება ვეტერანი ცენტრი **შაკილ ო'ნილი**. ახლა ლეგენდარული კალათბურთელი ფლორიდაში ასრულებს სარეაბილიტაციო კურსს და უკვე კვირანახევრის შემდეგ მზად იქნება სათამაშოდ.

ორი დღის წინ „ბოსტონი" გასვლით ტურნეში გაემგზავრა დასავლეთ სანაპიროზე და პირველივე მატჩი მოუგო „გოლდენ სტეიტს" - 115:93.

„სელტიქსის" დამრიგებელმა **დოკ რივერსმა** განაცხადა, რომ შაკილი უკვე დღეს არის მზად გუნდისთვის დახმარების გასაწევად. მაგრამ მწვრთნელმა ექიმებთან კონსულტაციის შემდეგ გადაწყვიტა არ გარისკოს და ამ ტურნეში არ იახლოს ვეტერანი კალათბურთელი.

როგორც „ბოსტონის" ბანაკიდან იტყობინებიან, შაკილი სრულად მომჯობინებული იქნება „ფინიქსთან" მატჩისთვის. ეს შეხვედრა 2 მარტს არის დანიშნული.

ამ სეზონში „დიზელმა" „სელტიქსის" შემადგენლობაში 36 მატჩი ჩაატარა და საშუალოდ 9.3 ქულა და 4.9 მოხსნა დააგროვა.



შაკი უსაქმოდაა

● კალათბურთი. NBA რეგულარული ჩემპიონატი

# ენტონიმ მოგებით დებიუტი

გასულ სათამაშო დღეს 12 შეხვედრა გაიმართა, მაგრამ საყოველთაო ინტერესს, რა თქმა უნდა, „მედისონ სკვერ გარდენი" იპყრობდა, სადაც „მილუოკის" წინააღმდეგ „ნიუ იორკ ნიქსში" დებიუტი ჰქონდა **კარმელო ენტონის**. საინტერესოა, რომ NBA-ის ვარსკვლავმა „დენვერის" მაისურით უკანასკნელი შეხვედრაც „ირმების" წინააღმდეგ ითამაშა. *„თვეების განმავლობაში მიმდინარე მოლაპარაკებების შემდეგ „ნიქსში" გადასვლა ახდენილი ოცნებაა"*, - განაცხადა დებიუტანტმა, რომელსაც ძალიან თბილად შეეგება ნიუიორკული პუბლიკა. მელომ ახალ გუნდში სათამაშო ნომრად „შვიდიანი" აირჩია.

ამ მატჩს ორივე გუნდისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა - გუნდები პლეი ოფის საგზურისთვის იბრძვიან და მათთვის ნებისმიერ გამარჯვებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. „ნიუ იორკს" წინ გაუძღვნენ ენტონი, **ამარე სტაუდმაიერი** და **ჩონსი ბილაპსი**. არ შეიძლება იმის თქმა, რომ ამ ტრიოს ყველაფერი გამოსდიოდა. მაგალითად, კარმელოს ხანგრძლივი ფრენის გამო თითქმის არ უძინია და ცუდ ფიზიკურ ფორმაში იმყოფებოდა. დებიუტანტმა 25-დან 10 ტყორცნა გამოიყენა, 39 წუთში 27 ქულა (ეს მესამე შედეგია „ნიქსის" ყველა დროის დებიუტანტებს შორის) და 10 მოხსნა დააგროვა, თანაც შეხვედრის ბოლოს სწორედ ენტონის ზუსტმა ტყორცნამ გადაწყვიტა მატჩის ბედი.

თავის მხრივ, მეორე დებიუტანტმა ბილაპსმა თამაშიდან 12-ჯერ ისროლა და მხოლოდ ოთხი ჩააგდო, ექვსი სამქულიანიდან კი ერთადერთი გამოიყენა. მაგრამ მთავარი ის არის, რომ ჩონსიმ 12 საჯარიმოს უფლება მოიპოვა და არც ერთი არ გაუფუჭებია.

ბილაპსისა და მელოს ფონზე მეორე პლანზე აღმოჩნდა სტაუდმაიერი, რომელსაც გაუჭირდა „მილუოკის" მაღლებთან ბრძოლა და ექვსი პერსონალურის გამო ვადაზე ადრე დატოვა მოედანი. მიუხედავად ამისა, რვა კაცით მოთამაშე „ნიქსმა" მაინც მიაღწია წარმატებას.

საფინალო სირენამდე 3 წუთითა და 35 წამით ადრე სტუმრებმა სამ ქულამდე შეამცირეს სხვაობა, მაგრამ **ტონი დუგლასმა**, რომელიც სათადარიგოთა სკამიდან ბრწყინვალედ ჩაერთო თამაშში, სამქულიანი ჩააგდო, სტაუდმაიერმა ახლო მანძილიდან იყოჩაღა, ენტონიმ კი 50 წამის ინტერვალით ორჯერ ზუსტად ისროლა. ამის შემდეგ „ნიუ იორკს" მხოლოდ ისღა დარჩენოდა მშვიდად შეესრულებინა საჯარიმოები.

■ ■ ■

ერთ-ერთი ულამაზესი შეხვედრა გაიმართდა პორტლენდში, სადაც „ბლეიზერსი" „ლეიკერსს" მასპინძლობდა და სულ ცოტა დააკლდა ჩემპიონის დასამარცხებლად. ძირითადი დროის დასრულებას ექვსი წუთი აკლდა, როცა მასპინძლები ათი ქულით იყვნენ წინ - 85:75, მაგრამ **კობი ბრაიანტისა** და **რონ არტესტის** (რონმა უმნიშვნელოვანესი სამქულიანი ჩააგდო) მონდომებით სტუმრებმა 12:2 გაქცევა განახორციელეს და ანგარიში გაათანაბრეს, **ლამარკუს ოლდრიჯმა** კი სირენასთან ერთად ვერ შეძლო გამარჯვების მომტანი ბურთის ჩაგდება. ოვერტაიმის დასრულებამდე წუთითა და 30 წამით ადრე „პორტლენდი" ისევ იგებდა (97:95) და ისევ ვერ შეინარჩუნა უპირატესობა. **გასოლმა** ერთ შეტევაში სამი ქულა დააგროვა, ბრაიანტმა სამწამიანის ზონიდან ჩააგდო ბურთი, ოლდრიჯმა კი უმნიშვნელოვანეს მომენტში ორი საჯარიმო ააცილა.

ამ მატჩის გმირად შეიძლებოდა ოლდრიჯის (29 ქულა, 14 მოხსნა და 4 ჩაჭრა), არტესტის (24 ქულა, ექვსიდან ხუთი ზუსტი სამქულიანი) ან გასოლის (18 ქულა და 14 მოხსნა) დასახელება, მაგრამ ამ სამეულს ბრაიანტმა აჯობა. კობიმ მოედანზე 45 წუთი გაატარა, 31 ტყორცნიდან 14 ჩააგდო, ექვსიდან სამი სამქულიანი და შვიდიდან ექვსი საჯარიმო გამოიყენა, 37 ქულა დააგროვა და ამას 9 მოხსნა, 6 პასი და 3 ჩაჭრაც დაუმატა. „ლეიკერსმა" შეწყვიტა „პორტლენდის" ექვსმატჩიანი მოგებათა სერია.

■ ■ ■

„ორლანდოს" ლიდერი **დუაიტ ჰოვარდი** იმედგაცრუებული იყო „საკრამენტოს" წინააღმდეგ პარტნიორების მოქმედებით. *„მუდმივად ვლაპარაკობთ საკუთარ პრობლემებზე, მაგრამ ლაპარაკის იქით საქმე არ მიდის*, - განაცხადა „სუპერმენმა", რომელმაც 31 ქულა და 17 მოხსნა დააგროვა. - *თუ ბიჭებს თამაში არ უნდათ, მაშინ სკამზე დასხდნენ"*.

„ორლანდომ" საკუთარ მოედანზე ვერ მოუგო დასავლეთის აუტსაიდერს, არადა, „ჯადოქრები" მეორე ტაიმის მსვლელობისას ორნიშნა რიცხვით იგებდნენ. „საკრამენტოს" კალათბურთელებმა იგრძნეს ოპონენტის მოდუნება და კონცენტრაციის დაკარგვა, მეტოქეს გამოეკიდნენ და გაუმართლაც კიდეც. კალიფორნიელების რიგებში საუკეთესო იყო **ჯერმეინ ტეილორი**. მან თამაშიდან 12-ჯერ ისროლა და ცხრაჯერ იყო ზუსტი (21 ქულა დააგროვა). ასევე უნდა აღვნიშნოთ **ლუთერ ჰედი**, ვინც საფინალო სირენამდე 20 წამით ადრე ფაქტობრივად გამარჯვების ტყორცნა მიითვალა. ამ სროლამ სტუმრების უპირატესობა 6 ქულამდე გაზარდა და წერტილი დაუსვა შეხვედრას.

■ ■ ■

გასვლითი ტურნეთი გამოწვეული ერთთვიანი შესვენების შემდეგ შინ დაბრუნდა „სან ანტონიო", რომელიც ვალდებული იყო გაეხარებინა საყვარელი გუნდის თამაშს მონატრებული მაყურებელი. თუმცა „სპურსს" სერიოზული გამოცდელი ჰყავდა „ოკლაჰომას" სახით. თამაში იმდენად დაძაბული გამოვიდა, რომ ჩვეულებრივ მშვიდმა **ტიმ დანკანმა** და **კევინ დურანტმა** ტექნიკური ჯარიმები მიიღეს, მასპინძელ **გარი ნილს** კი თავი გაუტეხეს. რეგულარულის ლიდერმა დიდი გაჭირვებით გატეხა „ოკლაჰომას" წინააღმდეგობა. ბოლო მეოთხედის დასრულებამდე წუთითა და 54 წამით ადრე დურანტმა ანგარიში გაათანაბრა - 103:103 და მაინც, გამოცდილებამ ახალგაზრდობას აჯობა. თავიდან **ტონი პარკერმა** ზუსტი საჯარიმოთი გაიყვანა წინ თავისი გუნდი, შემდეგ ბურთის ფლობისთვის განკუთვნილი დროის ბოლო წამზე საშუალო დისტანციიდან გახადა ანგარიში 106:103. თამაშის დასრულებამდე 26 წამი რჩებოდა. **იბაკამ** და **ჯინობილიმ** ორ-ორი ქულის აღება მოასწრეს, რის შემდეგაც „ოკლაჰომას" არჩევანი აღარ დარჩა - სამქულიანი უნდა ჩაეგდო. ეს რთული მისია **ჯეფ გრინმა** იტვირთა, მაგრამ კალათამდეც ვერ მიაწვდინა ბურთი.



ახალი ნიქსი

■ ■ ■

„მინესოტამ" პროგნოზისამებრ წააგო პლეი ოფისკენ მიმავალ „მემფისთან", მაგრამ ეს არ არის მთავარი. „მგლების" მძიმე ფორვარდმა **კევინ ლავმა** 15 ქულა და 11 მოხსნა მიითვალა, რითაც ზედიზედ 44 ორმაგი დუბლი შეასრულა. ბოლოს ასეთი ხანგრძლივი სერია 1982-83 წლების სეზონში ლეგენდარულ **მოზეს მელოუნს** ჰქონდა.

**კლივლენდი-ჰიუსტონი 119:124**

**27:28, 38:33, 23:30, 31:33**

**კ:** ჯეიმისონი (26), ჰარისი (21+9 მოხსნა+5 პასი), სეშენსი (20+12 პასი), პარკერი (19+5 მოხსნა+5 პასი), სამუელსი (12), მუნი (11+8 მოხსნა).

**ჰ:** ბადინგერი (30+8 მოხსნა), მარტინი (30+5 მოხსნა), სკოლა (16+7 მოხსნა), ლი (16), ჰეიესი (12+17 მოხსნა).

**ინდიანა-დეტროიტი 102:101**

**26:19, 25:24, 27:30, 24:28**

**ი:** ჰენსბრო (21+12 მოხსნა), გრეინჯერი (18+6 მოხსნა), კოლისონი (11+6 პასი), ჯორჯი (10+5 მოხსნა), მაკრობერტსი (10).

**დ:** მონრო (27+12 მოხსნა), სტაკი (21), მაკგრეიდი (16+12 პასი+5 მოხსნა), გორდონი (12).

**ორლანდო-საკრამენტო 105:111**

**25:31, 36:27, 23:21, 21:32**

**ო:** ჰოვარდი (31+17 მოხსნა), თურქოგლუ (19+8 პასი), ნელსონი (15+5 პასი), რედიკი (12).

**ს:** ტეილორი (21+5 მოხსნა), უდრიხი (18+10 პასი), დალემბერი (17+9 მოხსნა), ტომპსონი (17+5 პასი), კასპი (13+8 მოხსნა).

**ფილადელფია-ვაშინგტონი 117:94**

**24:31, 30:18, 34:15, 29:30**

**ფ:** ჰოლიდეი (20), იანგი (18+10 მოხსნა), ტერნერი (15+8 მოხსნა), ბრენდი (15+6 მოხსნა), სპეიტსი (14+7 მოხსნა), მიქსი (12), იგუოდალა (10+7 მოხსნა+5 პასი).

**ვ:** უოლი (21+12 პასი), ბუკერი (21+5 მოხსნა), ბლეტჩი (16), იანგი (15).

**ტორონტო-ჩიკაგო 118:113**

**25:29, 30:29, 30:23, 33:32**

**ტ:** როუზი (24+8 მოხსნა), დეროზანი (24), დეონსონი (17), ბარბოზა (13), უიმსი (12).

**ჩ:** როუზი (32+10 პასი), ბუზერი (24+6 მოხსნა), დენგი (19), ბრიუერი (11).

**ნიუ იორკი-მილუოკი 114:108**

**33:24, 26:33, 27:22, 28:29**

**ნ-ი:** ენტონი (27+10 მოხსნა), დუგლასი (23), ბილაპსი (21+8 პასი+6 მოხსნა), სტაუდმაიერი (19+5 მოხსნა).

**მ:** სელმონსი (27+7 პასი), ბოგუტი (14+12 მოხსნა), დელფინო (14+7 მოხსნა), მაგეტი (13), დულინგი (13), ჯენინგსი (12).

**ნიუ ორლეანი-კლიპერსი 98:87**

**23:16, 22:22, 28:24, 25:25**

**ნ-ო:** უესტი (22+8 მოხსნა), პოლი (19+10 პასი+6 მოხსნა), გრინი (17), ბელინელი (12), ჯეკი (10).

**კ:** გრიფინი (21+13 მოხსნა), ფოიე (15+9 პასი), კამანი (14).

**მინესოტა-მემფისი 95:104**

**18:26, 24:28, 26:22, 27:28**

**მინ:** ელინგტონი (16), ლავი (15+11 მოხსნა), რიდნური (15+5 მოხსნა+5 პასი), ბიზლი (14+7 მოხსნა).

**მემ:** რენდოლფი (24+10 მოხსნა+5 პასი), კონლი (22+9 პასი+5 მოხსნა), იანგი (16+9 მოხსნა), ალენი (16).

**სან ანტონიო-ოკლაჰომა 109:105**

**31:37, 33:16, 24:27, 21:25**

**ს-ა:** პარკერი (20+5 მოხსნა), ნილი (19), დანკანი (17+10 მოხსნა), ბონერი (12+5 მოხსნა), ჯეფერსონი (12), ჯინობილი (11+9 პასი+5 მოხსნა).

**ო:** დურანტი (30+9 მოხსნა), უესტბრუკი (25+7 პასი), ჰარდენი (16), გრინი (14+6 მოხსნა), იბაკა (10+15 მოხსნა).

**დალასი-იუტა 118:99**

**23:26, 36:29, 29:22, 30:22**

**დ:** ნოვიცკი (23+7 მოხსნა), სტოიაკოვიჩი (18), მერიონი (16+6 მოხსნა), ბარეა (13+5 მოხსნა), ტერი (13+5 პასი), ჰეივუდი (12+10 მოხსნა), ბობუა (10).

**ი:** ჯეფერსონი (30+8 მოხსნა), მილსეპი (18+9 მოხსნა), კირილენკო (17+5 პასი), მაილზი (16).

**ფინიქსი-ატლანტა 105:97**

**33:31, 28:16, 19:24, 25:26**

**ფ:** ფრაი (20), დადლი (17), გორტატი (13+12 მოხსნა), ნეში (13+10 პასი), პიეტრუსი (11), უორიკი (10).

**ა:** სმიტი (26+6 მოხსნა), კროუფორდი (19+5 მოხსნა), ჰორფორდი (17+9 მოხსნა), ჯონსონი (12+6 მოხსნა), ტიგი (10).

**პორტლენდი-ლეიკერსი 101:106 (ო)**

**29:23, 18:18, 22:26, 18:20, 14:19**

**პ:** ოლდრიჯი (29+14 მოხსნა), მეტიუზი (22), ბატუმი (22).

**ლ:** ბრაიანტი (37+9 მოხსნა+6 პასი), არტესტი (24+6 მოხსნა), გასოლი (18+14 მოხსნა+5 პასი), ოდომი (13).

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ჩოგბურთი. ტურნირები

# ფედერერის 755-ე

■■■

მორიგი სათამაშო დღის მიმოხილვა დოჰას ქალთა ტურნირით დავიწყოთ, სადაც პირველი ჩოგნის რანგში მერვედფინალიდან ჩაება ბრძოლაში დანიელი **კაროლინ ვოზნიაცკი**.

„კაროს" სერიოზული მეტოქე ჰყავდა რუსი **ნადეჟდა პეტროვას** სახით, რომელიც ძველებურად ძლიერი ველარ არის, მაგრამ ნებისმიერ დროს ანგარიშგასაწევი ძალაა. თუმცა ამჯერად რუსი ჩოგბურთელისგან არანაირ წინააღმდეგობას ადგილი არ ჰქონია. ვოზნიაცკის 11 ბრეიკ-პოინტი ჰქონდა და აქედან ოთხი გამოიყენა. პეტროვამ ეს მარცხი, პირველ რიგში, საკუთარ თავს უნდა დააბრალოს, რადგან საათსა და 15 წუთში 35 უნებლიე შეცდომა დააგროვა, იმ დროს, როცა დანიელის წუნი მხოლოდ 8 შეცდომას შეადგენდა. სხვათა შორის, ეს ჩოგბურთელები მეხუთედ ხვდებოდნენ ერთმანეთს და კაროლინმა ზედიზედ მეოთხე გამარჯვებას მიაღწია.

რუსი ჩოგბურთელების მტრად იქცა ამ ტურნირზე სლოვაკი **დანიელა ჰანტუხოვა**. პირველ წრეში მან **სვეტლანა კუზნეცოვა** დაამარცხა, ამჯერად კი **ვერა დუშევინა** გამოთიშა ბრძოლას. აღსანიშნავია, რომ მეოთხედფინალში სლოვაკს ასევე რუსი მეტოქე ეყოლება - მსოფლიოს მესამე ჩოგანი **ვერა ზვონარევა**. სხვათა შორის, ბოლო ორი მატჩი ჰანტუხოვამ მოუგო რუსების პირველ ნომერს, თანაც უკანასკნელი შეხვედრა სულ რაღაც ორი კვირის წინ პატაიაში გაიმართა. ასე რომ, ზვონარევას რევანშზე ფიქრი მართებს.

ტურნირი დატოვეს მესამე და მეოთხე ნომრად განთესილებმა. როლან გაროსის ჩემპიონი **ფრანჩესკა სკიავონე** ჩინელ **შუაი პენგს** ხვდებოდა, რომელიც ძირითად ბადეში კვალიფიკაციის გავლით მოხვდა. აზიელმა კარგად დაიწყო და 4:1 დაწინაურდა, მაგრამ იტალიელმა ანგარიში გაათანაბრა. 5:5-ზე ფრანჩესკას მორიგი ჩავარდნა დაეწყო - ზედიზედ ოთხი გეიმი წააგო და სიტუაციის გამოსწორება ველარ შეძლო. პენგმა კარიერაში მეათედ დაამარცხა რეიტინგის პირველი ათეულის წევრი.

სამაგიეროდ არ გაუმართლა მეორე ჩინელს, მეოთხე ნომრად განთესილ **ნა ლის**, რომელიც ზუსტად ერთ საათში გაანადგურა ჩეხმა **კლარა ზაკოპალოვამ**. არადა, ამ ჩოგბურთელმა კვალიფიკაცია წააგო და ძირითად ბადეში ერთ-ერთი მოთამაშის ტრავმის გამო მოხვდა.

ასევე ზუსტად ერთ საათში ჩაეტია **ელენა იანკოვიჩი** - მან გზად მეოთხედფინალამდე კიდევ უფრო დამაჯერებლად დაამარცხა **სანია მირზა** - მთელი მატჩის განმავლობაში სერბმა ინდოელს მხოლოდ ერთი გეიმი დაუთმო და ოთხიდან არც ერთი ბრეიკ-პოინტის რეალიზების საშუალება არ მისცა მეტოქეს.

ასეთივე დამაჯერებელი იყო **მარიონ ბარტოლი შაარ პეერის** წინააღმდეგ. აქაც დამარცხებულმა მხოლოდ ერთი გეიმის აღება შეძლო. ისრაელის პირველ ნომერს ერთი ბრეიკ-პოინტიც არ ჰქონია.

დუბაიში ორ დღეში ორ გამარჯვებას მიაღწიეს **როჯერ ფედერერმა** და **ნოვაკ ჯოკოვიჩმა**, თუმცა ამ უკანასკნელს დიდი ბრძოლამ მოუწია ესპანელი **ფელისიანო ლოპესის** წინააღმდეგ. მეტოქეებმა სამ-სამი ბრეიკი გააკეთეს, თუმცა ლოპესმა ამ წარმატებას მეორე სეტში მიაღწია, პირველ და მესამე პარტიებში კი უკეთ ჯოკოვიჩი გამოიყურებოდა. ეს სერბის მე-11 გამარჯვება იყო ამ სეზონში. ამასთან, ავსტრალიის ღია პირველობის ჩემპიონს ჯერ ერთი მატჩიც არ აქვს წაგებული.

მნიშვნელოვანი დღე ჰქონდა ფედერერს. მას არ გასჭირვებია ესპანელი **მარსელ გრანოლერსის** დამარცხება. მსოფლიოს მეორე ჩოგანს ამისთვის ძალების მინიმალური დაძაბვა მოუხდა - თითო სეტში თითო ბრეიკი აიღო და ესეც საკმარისი აღმოჩნდა მეოთხედფინალის საგზურის მოსაპოვებლად. მნიშვნელოვანი კი ეს დღე იმით იყო, რომ ფედერერმა კარიერაში 755-ე მატჩი მოიგო და გაუთანაბრდა ლეგენდარულ რუმინელ **ილიე ნასტასეს** - ახლა ეს ჩოგბურთელები მერვე ადგილს იყოფენ შესაბამის სიაში, ლიდერი კი ამერიკელი **ჯიმი კონორსია**, რომელსაც თავის აქტივში 1242 გამარჯვება აქვს.

როგორც ჩანს, **ნიკოლაი დავიდენკოს** კომპლექსი მოიხსნა ჩეხმა **ტომაშ ბერდიხმა**. უიმბლდონის ფინალისტმა ორ სეტში მოუგო რუსს, არადა, მანამდე ათ მატჩში ბერდიხს მხოლოდ ერთი ჰქონდა მოგებული.



ჯოკოვიჩი წელს დაუმარცხებელია

## ATP

### Dubai Tennis Championships

დუბაი (საემიროები). ჰარდი
**საპრიზო ფონდი**: 1 619 500 დოლარი

#### 1/8 ფინალი

**რიშარ გასკე (საფ)**-სერგეი ბუბკა (უკრ) 6:2, 7:5; **ფლორიან მაიერი (გერ)**-ანდრეი გოლუბევი (ყაზ) 6:3, 6:4; **სერგეი სტახოვსკი (უკრ)**-ერნესტ გულბისი (ლატ, 8) 6:3, 5:7, 6:1; **ფილიპ პეტცშნერი (გერ)**-ფილიპ კოლშრაიბერი (გერ) 6:0, 4:6, 6:2; **ტომაშ ბერდიხი (ჩეხ, 3)**-ნიკოლაი დავიდენკო (რუს) 6:3, 7:6; **ჟილ სიმონი (საფ)**-ლუკაშ როლოსი (ჩეხ) 6:2, 6:3; **ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 2)**-ფელისიანო ლოპესი (ესპ) 6:3, 2:6, 6:4; **როჯერ ფედერერი (შვეიც, 1)**-მარსელ გრანოლერსი (ესპ) 6:3, 6:4.

#### 1/4 ფინალი

ფედერერი (1)-სტახოვსკი; გასკე-სიმონი; ბერდიხი (3)-პეტცშნერი; ჯოკოვიჩი (2)-ფ. მაიერი.

### Abierto Mexicano Telcel

აკაპულკო (მექსიკა). გრუნტი
**საპრიზო ფონდი**: 995 000 დოლარი

#### 1/8 ფინალი

**ლუკაშ კუბოტი (პოლ)**-ედუარდო შვანკი (არგ) 6:7, 6:4, 6:4; **სანტიაგო ხირალდო (კოლ)**-ალბერტ მონტანიესი (ესპ, 5) 6:3, 6:4; **სტანისლას ვავრინკა (შვეიც, 4)**-ფაბიო ფონინი (იტა) 5:7, 6:3, 7:5; **ალექსანდრ დოლგოპოლოვი (უკრ, 6)**-კარლოს ბერლოკი (არგ) 6:4, 6:1; **ნიკოლას ალმაგრო (ესპ, 3)**-ფილიპო ვოლანდრი (იტა) 6:2, 6:2; **ხუან მონაკო (არგ, 7)**-პაბლო კუევასი (ურუ) 6:3, 6:4; **ტომაშ ბელუჩი (ბრა)**-ივან ნავარო (ესპ) 1:6, 6:4, 6:3; **დავიდ ფერერი (ესპ, 1)**-სანტიაგო გონსალესი (მექ) 6:2, 6:2.

#### 1/4 ფინალი

ფერერი (1)-მონაკო (7); ვავრინკა (4)-დოლგოპოლოვი (6); ალმაგრო (3)-ხირალდო; კუბოტი-ბელუჩი.

### International Tennis Championships

დელრეი ბიჩი (აშშ). ჰარდი
**საპრიზო ფონდი**: 442 5000 დოლარი

#### 1/8 ფინალი

**რაიან სვიტინგი (აშშ)**-სემ კუერი (აშშ, 3) 7:6, 6:4; **ივან დოდიგი (ხორ)**-დუდი სელა (ისრ) 2:6, 6:3, 6:2; **კეი ნიშიკორი (იაპ)**-ჯეიმს ბლეიკი (აშშ) 6:3, 6:4; **იანკო ტიპსარევიჩი (სერ, 6)**-ბლაჟ კავჩიჩი (სლოვენ) 6:2, 6:7, 6:3.

## WTA

### Qatar Ladies Open

დოჰა (კატარი). ჰარდი
**საპრიზო ფონდი**: 721 000 დოლარი

#### 1/8 ფინალი

**შუაი პენგი (ჩინ)**-ფრანჩესკა სკიავონე (იტა, 3) 7:5, 6:3; **მარიონ ბარტოლი (საფ)**-შაარ პეერი (ისრ, 8) 6:1, 6:0; **დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ)**-ვერა დუშევინა (რუს) 4:6, 6:2, 6:4; **კლარა ზაკოპალოვა (ჩეხ)**-ნა ლი (ჩინ, 4) 6:2, 6:1; **ფლავია პენეტა (იტა)**-ლუსი საფაროვა (ჩეხ) 4:6, 6:3, 6:4; **ელენა იანკოვიჩი (სერ, 5)**-სანია მირზა (ინდ) 6:0, 6:1; **კაროლინ ვოზნიაცკი (დან, 1)**-ნადეჟდა პეტროვა (რუს) 6:3, 6:2; **ვერა ზვონარევა (რუს, 2)**-დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკ) 6:1, 6:2.

#### 1/4 ფინალი

ვოზნიაცკი (1)-პენეტა; პენგი-ბარტოლი; იანკოვიჩი (5)-ზაკოპალოვა; ზვონარევა (2)-ჰანტუხოვა.

### Abierto Mexicano Telcel

აკაპულკო (მექსიკა). გრუნტი
**საპრიზო ფონდი**: 220 000 დოლარი

#### 1/8 ფინალი

**ლაურა პოუს ტიო (ესპ)**-სორანა კირსტეა (რუმ) 6:2, 6:1; **ხისელა დულკო (არგ)**-სილვია სოლერ ესპინოსა (ესპ) 6:1, 6:1; **ლურდეს დომინგეს ლინო (ესპ)**-პოლინ პარმენტიე (საფ) 6:1, 6:1; **ანაბელ მედინა გარიგესი (ესპ)**-ჯულია გორჯესი (გერ, 1) 6:4, 7:6; **გრეტა არნი (უნგ, 3)**-რენატა ვორაკოვა (ჩეხ) 6:3, 2:6, 6:4; **არანჩა პარა-სანტონხა (ესპ, 6)**-ლესია ცურენკო (უკრ) 6:3, 1:0 უარი; **კარლა სუარეს ნავარო (ესპ, 7)**-მადალინა გოჟნია (რუმ) 6:4, 6:3; **იუჰანა ლარსონი (შვედ)**-მატილდა იოჰანსონი (საფ) 2:6, 6:2, 6:3.

#### 1/4 ფინალი

მედინა გარიგესი-სუარეს ნავარო (7); დულკო-პოუს ტიო; ლარსონი-არნი (3); პარა-სანტონხა (6)-დომინგეს ლინო.

ცხელი ხაზი

## ფეხბურთი

### ევროპის ლიგა

| 1/16 ფინალი. II მატჩები | |
|---|---|
| ზენიტი-იანგ ბოიზი | 3:1 (1:2) |
| ლევერკუზენი-მეტალისტი | 2:0 (4:0) |
| ლივერპული-სპარტა | 1:0 (0:0) |
| ეინდჰოვენი-ლილი | 3:1 (2:2) |
| სპარტაკი-ბაზელი | 1:1 (3:2) |
| სპორტინგი-რეინჯერსი | 2:2 (1:1) |
| აიაქსი-ანდერლეხტი | 2:0 (3:0) |
| ბრაგა-ლეხი | 2:0 (0:1) |
| დინამო (კ)-ბეშიქთაში | 4:0 (4:1) |
| ტვენტე-რუბინი | 2:2 (2:0) |
| მანჩესტერ სიტი-არისი | 3:0 (0:0) |
| პსჟ-ბატე | 0:0 (2:2) |
| შტუტგარტი-ბენფიკა | 0:2 (1:2) |
| ვილიარეალი-ნაპოლი | 2:1 (0:0) |

### ამხანაგური მატჩი

| | |
|---|---|
| რუსენბორგი-ოლესუნდი | 4:2 |

### გერმანია

| რეგიონალლიგა (სამ) | |
|---|---|
| შტ. კიკერსი-დარმშტადტი | 1:0 |

## კალათბურთი

### ევროლიგა

| | |
|---|---|
| ჟალგირისი-ვალენსია | 74:80 |
| ფენერბაჰჩე-ოლიმპიაკოსი | 65:80 |
| მაკაბი-ბარსელონა | 85:92 (ო) |
| კახა ლაბორალი-უნიკახა | 78:63 |
| პარტიზანი-რეალი | 56:61 |
| მონტეპასკი-ეფესი | 88:76 |

## ჰოკეი

### კჰლ

| | |
|---|---|
| ავანგარდი-ნეფტეხიმიკი | 1:2 (ო) |
| მეტალურგი (მ)-იუგრა | 4:2 |
| ს. იულაევი-სიბირი | 5:2 |
| აკ ბარსი-ბარისი | 1:0 |
| ატლანტი-სევერსტალი | 2:5 |
| ლოკომოტივი-დინამო (მნ) | 1:4 |
| სკა-სპარტაკი | 4:3 (ო) |
| დინამო (მ)-დინამო (რ) | 8:4 |

### ნორვეგია

| | |
|---|---|
| ლორენსკოგი-ფრისკ ასკერი | 3:6 |
| სპარტა-როზენბორგი | 4:3 |
| სტავანგერი-ვოლერენგა | 4:3 |
| სტიორნენი-მანგლერუდი | 0:3 |

### სლოვაკეთი

| | |
|---|---|
| კოშიცე-ნიტრა | 4:3 |
| პოპრადი-სკალიცა | 0:2 |

### ფინეთი

| | |
|---|---|
| იოკერიტი-ილვესი | 3:5 |
| პელიკანსი-იუვიასკიულა | 1:3 |
| ტაპარა-ბლუზი | 1:3 |
| ტპს-კალპა | 2:1 |
| ჰიფკ-ლუკო | 6:3 |
| ესეტი-კერპეტი | 4:0 |

### ჩეხეთი

| | |
|---|---|
| ლიტვინოვი-პლზენი | 5:2 |
| სლავია-კარლოვი ვარი | 3:1 |

### შვედეთი

| | |
|---|---|
| აიკ-ფერიესტადი | 0:3 |
| ბრიუნასი-ტიმრა | 6:4 |
| ლინჩოპინგი-მოდო | 3:5 |
| ლულეო-შელეფტეო | 5:2 |
| სიოდერტალე-იურგორდენი | 2:0 |
| ჰვ71-ფრიოლუნდა | 4:3 (ბ) |

## ჩოგბურთი

### ATP. დუბაი

| | |
|---|---|
| ბერდიხი-პეტცშნერი | 7:5, 6:4 |
| ჯოკოვიჩი-ფ. მაიერი | 7:5, 6:1 |
| ფედერერი-სტახოვსკი | 6:3, 6:4 |
| სიმონი-გასკე | 7:5, 2:6, 4:6 |

### ATP. დელრეი ბიჩი

| | |
|---|---|
| ფიში-მელო | 6:2, 6:1 |
| მანარინო-ფალა | 3:6, 2:6 |

### WTA. დოჰა

| | |
|---|---|
| ბარტოლი-პენგი | 6:2, 6:2 |
| ვოზნიაცკი-პენეტა | 6:2, 6:0 |
| ზვორანევა-ჰანტუხოვა | 7:5, 6:7, 7:5 |
| იანკოვიჩი-ზაკოპალოვა | 6:2, 6:4 |

TV პროგრამა

**25 თებერვალი. პარასკევი**

**GMG-ფეხბურთი**

**23:25** გერმანიის ჩემპიონატი. ვოლფსბურგი-ბორუსია (მ) (LIVE).

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

**23:25** გერმანიის ჩემპიონატი. ვოლფსბურგი-ბორუსია (მ) (LIVE).

**НТВ-პლუსი (სპორტი)**

**13:25** სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. ქალები. სუპერკომბინაცია (სწრაფდაშვება). არე. შვედეთი (LIVE).
**16:25** სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. ქალები. სუპერკომბინაცია (სლალომი). არე. შვედეთი (LIVE).
**23:55** რაგბილიგა. ევროპის სუპერლიგა. სტ. ელენსი-უორინგტონი (LIVE).

**НТВ-პლუსი (ჩოგბურთი)**

**14:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. დუბაი. საემიროები (LIVE).
**19:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. დუბაი. საემიროები (LIVE).

**НТВ-პლუსი (კალათბურთი)**

**04:30** NBA. რეგულარული ჩემპიონატი. მაიამი-ვაშინგტონი (LIVE).

**EUROSPORT**

**13:30** სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. ქალები. სუპერკომბინაცია (სწრაფდაშვება). არე. შვედეთი (LIVE).
**15:15** ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს ჩემპიონატი. კაცები. HS106. კვალიფიკაცია. ოსლო. ნორვეგია (LIVE).
**16:30** სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. ქალები. სუპერკომბინაცია (სლალომი). არე. შვედეთი (LIVE).
**17:45** ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს ჩემპიონატი. ქალები. HS106. ოსლო. ნორვეგია (LIVE).
**19:30** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/2 ფინალი. დოჰა. კატარი (LIVE).
**23:45** პროფესიული კრივი. საერთაშორისო ტურნირი - Bigger's Better. მძიმე წონა. ბულგარეთი (LIVE).

ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

**ანაჰაიმი-ლოს ანჯელესი 2:3**

**1:2, 1:0, 0:1**

**გოლები:** 0:1 რ. სმითი-20 (ჯ. ჯონსონი-34, სტოლი-19), 1:1 სელიანე-20 (ლიდმანი-19, სექსტონი-7), 1:2 კოპიტარი 18 (ჯასტინ უილიამსი-27, კუიკი-2), 2:2 პერი-31 (სბისა-5, რაიანი-21), 2:3 უ. მიტჩელი-2 (ჯასტინ უილიამსი-28, ლუისი-4).

**ოტავა-ფლორიდა 5:1**

**1:0, 2:1, 2:0**

**გოლები:** 1:0 ბატლერი-4 (გრინინგი-1, ფოლინო-15), 2:0 შენონი-6 (სპეცა-17, კუბა-7), 2:1 ჰიგინსი-11 (კლემენსენი-1), 3:1 ბატლერი-5, 4:1 მ. მიხალეკი-15 (კარკნერი-5, სპეცა-18), 5:1 სპეცა-11 (შენონი-8, კუბა-8).

**ტამპა ბეი-ფინიქსი 8:3**

**5:0, 2:1, 1:2**

**გოლები:** 1:0 პურსელი-13, 2:0 სენტ ლუისი-21 (ჰარიუ-2, ტომპსონი-11), 3:0 სენტ ლუისი-22 (ლეკავალიე-18, მ-ა. ბერჟერონი-4), 4:0 სტემკოსი-41 (ბ. კლარკი-15, ლეკავალიე-19), 5:0 ლეკავალიე-14 (სენტ ლუისი-50, სტემკოსი-36), 6:0 პურსელი-14 (ლეკავალიე-20, რენდი ჯონსი-12), 7:0 პურსელი-15 (ლეკავალიე-21, საიმონ განიე-11), 7:1 ჰანჟალი-14 (ბოდკერი-4, ვრბატა-21), 8:1 ა. ჰოლი-7 (ბერგენჰაიმი-13, მური-11), 8:2 ტარისი-10 (დოუნი-28, შლემკო-6), 8:3 შლემკო-1 (კორპიკოსკი-17).

**პიტსბურგი-სან ხოსე 2:3 (ო)**

**1:0, 0:1, 1:1, 0:1**

**გოლები:** 1:0 ტაილერ კენედი-13 (კუკი-14, ენგელანდი-6), 1:1 კუტური-25 (სეტოგუჩი-10, დემერსი-17), 1:2 მარლო-23 (ჰიტლი-29), 2:2 ტაილერ კენედი-14 (ჯ. სტაალი-9, კუკი-15), 2:3 მარლო-24 (კუტური-18, ვლასიჩი-11).

**ბაფალო-ატლანტა 4:1**

**1:0, 2:1, 1:0**

**გოლები:** 1:0 მიერსი-9, 1:1 ლედი-22 (ლიტლი-20, ანტროპოვი-19), 2:1 გოსტადი-9 (გერბი-11, მ. უებერი-7), 3:1 პომინვილი-15 (ვანეკი-29, მიერსი-18), 4:1 ენისი-13 (ჰეხტი-15, ბატლერი-5).

**კოლორადო-ედმონტონი 1:5**

**0:1, 1:2, 0:2**

**გოლები:** 0:1 პენერი-21 (ჰორკოფი-16, ჰემსკი-28), 0:2 სემ განიე-13 (პააიარვი-14, რაიან ჯონსი-5), 0:3 ტ. ჰოლი-21 (ებერლე-19, გილბერტი-15), 1:3 ჰეიდუკი-19 (დუშენი-27, ლაილსი-33), 1:4 ებერლე-14 (კოლიანო-16, პეკჰემი-9), 1:5 ფოსტერი-5 (გილბერტი-16, ტ. ჰოლი-19).

ამბები

**მძლეოსნობა**

## ევროპა ისინბაევას გარეშე

ქალებს შორის ჭოკით ხტომაში ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი **ელენა ისინბაევა** გამოტოვებს ევროპის 2011 წლის ზამთრის ჩემპიონატს, რომელიც 4-6 მარტს პარიზში გაიმართება. სახელოვანი სპორტსმენი ვირუსული ინფექციით დაავადდა, რის გამოც მსოფლიოს რეკორდსმენი კონტინენტის პირველობას ოპტიმალურ ფორმაში ვერ შეხვდება.

**ოლიმპიზმი**

## რომს ბერლუსკონიც დაეხმარება

იტალიის პრემიერ-მინისტრმა **სილვიო ბერლუსკონიმ** სრული მხარდაჭერა აღუთქვა დედაქალაქ რომს, რომელიც 2020 წლის ზაფხულის ოლიმპიადის მასპინძლობისთვის იწყებს ბრძოლას. იტალიური პრესის ცნობით, რომს კონკურენციას გაუწევენ დურბანი, მადრიდი, ტოკიო, სტამბოლი, დოჰა და დუბაი, თუმცა მათ ჯერ ოფიციალური არ წარუდგენიათ. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი ზაფხულის თამაშების მასპინძელს 2013 წელს აირჩევს.

*„იტალიის მთავრობა ყველაფერ გააკეთებს იმისთვის, რომ რომმა 2020 წლის ოლიმპიადის მასპინძლობა მოიპოვოს, - ამბობს ბერლუსკონი. - რომი პირველი კანდიდატია, რომელმაც საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში განაცხადი შეიტანა. ვფიქრობ, თამაშების მასპინძლობა ქალაქის განვითარებაზე დადებითად იმოქმედებს, აგრეთვე იტალიის დედაქალაქში ეკონომიკური ზრდის ახალი სტიმულები გაჩნდება".*

**ფორმულა 1**

## დიდმა ცირკმა 100 მილიონი დაკარგა

ბრიტანული The Telegraph-ის ჟურნალისტებმა დაითვალეს ზარალი, რომელიც ფორმულა 1-ს ბაჰრეინის გრან-პრის გაუქმებამ მოუტანა. ფინანსური წაგება მართლაც გრანდიოზული აღმოჩნდა - დანაკარგი დაახლოებით 100 მილიონ დოლარს შეადგენს.

როგორც ირკვევა, ფორმულა 1-ის მთავარი პრომოუტერი **ბერნი ექლსტოუნი** არ მოითხოვს 40 მილიონ დოლარს არშემდგარი ეტაპის ორგანიზატორებისგან. წაგებაში დარჩნენ გუნდებიც, რომლებმაც ვერ შეასრულეს გარკვეული ვალდებულებები სპონსორების წინაშე, გარდა ამისა, ისინი ვერ მიიღებენ ჰონორარებს, რომელიც გრან-პრიში მონაწილეობისთვის ეკუთვნოდათ. მაგალითად, „ფერარის" ზარალი 11 მილიონს შეადგენს.

გარდა ამისა, რბოლის ორგანიზატორები ბილეთების რეალიზაციიდან შემოსული ფულის გარეშე დარჩნენ - გასულ წელს მათ ამ გზით 14 მილიონი დოლარი გამოიმუშავეს.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 20 ყველაზე პერსპექტიული

*(დასასრული. დასაწყისი გუშინდელ ნომერში)*

**გუშინ გაგაცანით ფრანგული ჟურნალ „ფრანს ფუტბოლის“ მიერ შედგენილი სიის პირველი ნაწილი. როგორც გითხარით, ამ სიაში ჩამოთვლილია ფრანგების აზრით ყველაზე პერსპექტიული ფეხბურთელები. დღეს პირველ-მეათე ადგილზე გასულ ვუნდერკინდებს გაეცნობით.**

## 10. ჯეკ უილშირი

***გუნდი:*** *„არსენალი“*
***ნაკრები:*** *ინგლისი*
***ამპლუა:*** *ცენტრალური ნახევარმცველი*
***დაბადების თარიღი:*** *01.01.1992*
***პროტოტიპი:*** *ფრენკ ლემპარდი*

**ჯეკმა** დაიმსახურა კაპიტნის სამკლავური „არსენალის“ ერთ-ერთ ასაკობრივ გუნდში, 2008 წელს **ჟილბერტო სილვასგან** მემკვიდრეობით მიიღო მე-19 ნომერი, 16 წლისა და 256 დღის ასაკში პირველად ითამაშა პრემიერლიგაში, რითაც „არსენალის“ ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა დებიუტანტი გახდა - დაამხო **სესკ ფაბრეგასის** რეკორდი, რომელიც ხუთი წელი იყო ძალაში. „ბოლტონში“ იჯარით თამაშის შემდეგ ჯეკი „ემირეიტზე“ ნახევარდაცვის ცენტრში წამყვანი მოთამაშის სტატუსით დაბრუნდა და შესანიშნავი დუეტი შექმნა **ალექსანდრ სონგთან**. გასულ წელს უილშირმა პირველი გამოძახება მიიღო ინგლისის ნაკრებიდან, ნოემბერში კი 2016 წლამდე გააგრძელა კონტრაქტი „არსენალთან“.

## 9. როხელიო ფუნეს მორი

***გუნდი:*** *„რივერ პლეიტი“*
***ნაკრები:*** *არგენტინა*
***ამპლუა:*** *თავდამსხმელი*
***დაბადების თარიღი:*** *03.05.1991*
***პროტოტიპი:*** *გონსალო იგუაინი*

„რივერის“ ახალი ბომბარდირი ჯერ 20 წლის არ არის, მისი ბიოგრაფია კი უკვე ძალიან მდიდარი და ჭრელია. **მორის** ზურგსუკან დგას შვიდი წელი ტეხასში ცხოვრება, გამარჯვება რეალითი-შოუში - Sueno MLS და უარი „ჩელსის“ შეთავაზებაზე. არგენტინაში ორი წლის წინ დაბრუნდა. როხელიომ „რივერის“ სასტარტო შემადგენლობაში მთავარ მწვრთნელად **ანხელ კაპას** დანიშვნის შემდეგ დაიმკვიდრა ადგილი. ახალი მწვრთნელის ხელმძღვანელობით უკვე მეორე თამაშში მორიმ ჰეთ-ტრიკი შეასრულა. 2010 წლის აპერტურა თავდამსხმელმა კარგად დაიწყო, სამი გოლი გაიტანა სამ მატჩში, მაგრამ ახალმა მწვრთნელმა **ხუან ხოსე ლოპესმა** აქცენტი **მარიანო პავონზე** გააკეთა, მორის კი „ჯოკერის“ როლი მიაკუთვნა. თუმცა როხელიოს სათამაშო დროის შემცირებას ევროპული კლუბების მადაზე გავლენა არ ჰქონია. ყველა მსურველის ჩამოთვლას აზრი არ აქვს - საკმარისია ჩაიხედოთ ევროპის 20 ყველაზე მდიდარი კლუბის სიაში.

## 8. ჯეიმს როდრიგესი

***გუნდი:*** *„პორტუ“*
***ნაკრები:*** *კოლუმბია*
***ამპლუა:*** *მარცხენა ნახევარმცველი*
***დაბადების თარიღი:*** *12.07.1991*
***პროტოტიპი:*** *კრისტიანო რონალდო*

2009 წლის აპერტურაში „ბანფილდის“ სენსაციური ჩემპიონობის ერთ-ერთი შემოქმედი, რომელიც არგენტინაში ორწლიანი თამაშის შემდეგ თითქმის 20-ჯერ გაძვირდა. ფლანგიდან კარის მიმართულებით დიაგონალურმა გარღვევებმა, ცაციათი უძლიერესმა დარტყმებმა და ტექნიკამ შექმნა კოლუმბიური ფეხბურთის ახალი მთავარი ვარსკვლავი. 18 წლის „ჯადოქარში“ 5 მილიონი ევროს გადახდით „პორტუ“ ნამდვილად არ დარჩება წაგებაში. თავიდან **ჯეიმსი** ვერ უძლებდა შეტევის მარცხენა ფლანგზე პორტუგალიელი **ვარელას** კონკურენციას, მაგრამ ახალ წელს დაიმკვიდრა ადგილი ძირითადში და „მარიტიმუსთან“ მატჩში ორი საგოლე პასი გააკეთა, შემდეგ კი გაიტანა კიდეც.

## 7. ადემ ლიაიჩი

***გუნდი:*** *„ფიორენტინა“*
***ნაკრები:*** *სერბეთი*
***ამპლუა:*** *მარჯვენა ნახევარმცველი*
***დაბადების თარიღი:*** *29.09.1991*
***პროტოტიპი:*** *მილოშ კრასიჩი*

**ადემი** მთელი წელს უყვებოდა სერბ ჟურნალისტებს იმის შესახებ, თუ როგორი მადლობელია მშობლიური „პარტიზანის“ და როგორ ელოდება დებიუტს „ოლდ ტრეფორდზე“. მაგრამ მანჩესტერში გადაიფიქრეს, თავად ლიაიჩმა კი დაიჩივლა იმის გამო, რომ შეუძლებელი იყო ბრიტანული სამუშაო ვიზის მიღება.

ადემი დიდხანს არ ყოფილა მოწყენილი - იმავე სატრანსფერო ფანჯრისას „პარტიზანის“ ოფისს „ფიორენტინას“ წარმომადგენლები ეწვივნენ, თან 7 მილიონ ევრო ჰქონდათ გამზადებული. მიმდინარე სეზონში ადემი „ფიორენტინას“ ერთ-ერთი ყველაზე შედეგიანი მოთამაშეა - სამი გოლი და სამი საგოლე პასი. თუმცა **სინიშა მიხაილოვიჩი** მთავარი მწვრთნელისა და თანამემამულის პრივილეგიით სარგებლობს და ლიაიჩს მოდუნებისა საშუალებას არ აძლევს: *„მან თმა უნდა შეიჭრას, ნაკლები შოკოლადი მიირთვას და არ დახარჯოს დრო კომპიუტერზე. შოკოლადი ასუქებს, კომპიუტერი ადუნებს, გრძელი თმები მინდვრის ხედვაში უშლის ხელს“.*

## 6. იკერ მუნიაინი

***გუნდი:*** *„ბილბაო“*
***ნაკრები:*** *ესპანეთი*
***ამპლუა:*** *მარცხენა ნახევარმცველი*
***დაბადების თარიღი:*** *19.12.1992*
***პროტოტიპი:*** *იულენ გერერო*

პრიმერას ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა გოლის ავტორი პამპლონაში დაიბადა, 12 წლის ასაკში უარყო „ბარსელონას“ წინადადება და ბილბაოში გადავიდა - ასეთი ძლიერი იყო **იკერის** ოჯახის „ბილბაოსადმი“ სიყვარული. ესპანეთის ჩემპიონატში მეტოქეები მაინც და მაინც ლმობიერები არ არიან მუნიაინის მიმართ - მიმდინარე სეზონში იკერი ის მოთამაშეა, რომელზეც მოწინააღმდეგეებმა ყველაზე მეტი ბარათი მიიღეს. ერთი წლის წინ „ატლეტიკმა“ იზრუნა და მდიდარ კლუბებს მოარიდა ახალგაზრდა ფეხბურთელი - კონტრაქტი 2015 წლის ზაფხულამდე გაახანგრძლივა. მაგრამ თუ მუნიაინი ასეთ სწრაფ ტემპში გააგრძელებს პროგრესს, 36 მილიონი ევრო უკვე აღარ შეაშინებს პოტენციურ მყიდველებს.

## 5. ედენ აზარი

***გუნდი:*** *„ლილი“*
***ნაკრები:*** *ბელგია*
***ამპლუა:*** *ნახევარმცველი*
***დაბადების თარიღი:*** *07.01.1991*
***პროტოტიპი:*** *ფრანკ რიბერი*

ბელგიელი ვუნდერკინდი არ გაჩერდა სამშობლოში და 14 წლის ასაკში კონტრაქტი გააფორმა „ლილთან“. არც შემცდარა - ზედიზედ ორი წელია **აზარი** ლიგა 1-ის საუკეთესო ახალგაზრდა მოთამაშედ სახელდება. მიმდინარე სეზონში „ლილი“ ლიდერობს საფრანგეთის ჩემპიონატს - მეტწილად აზარის ალმაფრენის წყალობით. ბელგიელი **რუდი გარსიას** გუნდის მთავარი ფიგურა და საუკეთესო ასისტენტია. აზარი ვირტუოზულად ეპყრობა ბურთს, სწრაფი დრიბლინგი აქვს, ბრწყინვალედ ხედავს მინდორს და ხიფათს ქმნის ორივე ფლანგიდან. „არსენალსა“ და „რეალს“ დიდი ხანია შემჩნეული ჰყავთ ეს ფეხბურთელი. *„აზარი - ფანტასტიკური ახალგაზრდა ფეხბურთელია. მან ძალიან მომხიბლა“*, - აღიარა ცოტა ხნის წინ **არსენ ვენგერმა**. *„ის უაღრესად ტექნიკური და სწრაფია. თუ დღეს ასე შთამბეჭდავად გამოიყურება, წარმოიდგინეთ რა იქნება რამდენიმე წლის შემდეგ!“* - აღფრთოვანებას ვერ მალავს **ზინედინ ზიდანი**, რომელიც „რეალის“ პრეზიდენტ **ფლორენტინო პერესის** კონსულტანტია სატრანსფერო საკითხებში.

## 4. მარიო გიოტცე

***გუნდი:*** *„დორტმუნდი“*
***ნაკრები:*** *გერმანია*
***ამპლუა:*** *შემტევი ნახევარმცველი*
***დაბადების თარიღი:*** *03.06.1992*
***პროტოტიპი:*** *ანდრეას მიოლერი*

არაჩვეულებრიად ტექნიკური, მოძრავი და მახვილგონივრული ნახევარმცველი - სწორედ ის გახლავთ ერთ-ერთი მიზეზი იმ უჩვეულო პროგრესისა, რომელსაც წელს „დორტმუნდი“ განიცდის. ამ გუნდმა ფაქტობრივად სეზონის შუაში გაინაღდა ბუნდესლიგის ჩემპიონობა. გაზაფხულზე **გიოტცე** ზეიმობდა ევროპის იუნიორთა ჩემპიონატზე გამარჯვებას, შემდეგ კი შვედეთის ნაკრებთან ამხანაგურ მატჩში დებიუტი ჰქონდა **იოახიმ ლიოვის** გუნდში. ბუნდესმწვრთნელს გარკვეული კრიტიკის გადატანაც მოუწია - ზედმეტად ხომ არ გაიტაცა ის შემადგენლობის გაახალგაზრდავებამ?! *„არ მგონია, რომ ადამიანმა მაინც და მაინც 100 მატჩი უნდა ჩაატაროს ბუნდესლიგაში, რათა ნაკრებში თამაში დაიმსახუროს. ამისთვის 10-20 თამაშიც საკმარისია, როგორც გიოტცეს შემთხვევაში იყო“*, - ამბობს ლიოვი. მარიომ **ფრიც ვალტერის** პრიზი მიიღო, როგორც გერმანიის საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელმა.

## 3. ფელიპე კოუტინიო

***გუნდი:*** *„ინტერი“*
***ნაკრები:*** *ბრაზილია*
***ამპლუა:*** *თავდამსხმელი*
***დაბადების თარიღი:*** *12.06.1992*
***პროტოტიპი:*** *რობინიო*

„ინტერმა“ **კოუტინიო** ჯერ კიდევ 16 წლის ასაკში 4 მილიონ ევროდ შეიძინა. ორი წლის შემდეგ უსწრაფესმა ბრაზილიელმა უკვე იტალიურ მინდვრებზე დაიწყო თავისი ტექნიკის დემონსტრირება - ტრავმების ეპიდემიის გამო **რაფა ბენიტესმა** მაქსიმალურად დატვირთა დებიუტანტი. ფელიპეს ბევრი გაუცდა ბარძაყის ტრავმის გამო, მაგრამ დაბრუნება შედგა, მით უმეტეს, რომ ახალ მწვრთნელად „ინტერში“ კოუტინიოს თანამემამულე **ლეონარდო** დანიშნეს. თუმცა ფილიპე საკმაოდ არატიპური ბრაზილიელია: *„არ დავდივარ დისკოთეკებზე, არ ვეტანები ლუდს ან სხვა ალკოჰოლურ სასმელს, არც ტატუ მაქვს... სხვა რამეებში ვპოულობ სიხარულს. დედაჩემი ახლა ეკლესიას ეძებს მილანში, რომელსაც რეგულარულად ვესტუმრებით. ბრაზილიაში ყოველ კვირას ერთად ვესწრებოდით მესას. ღმერთი ჩემს გულშია. ის დაბადებიდან ჩემთანაა. ბრაზილიის ნაკრებში პირველი გამოძახება მას მივუძღვენი“.*

## 2. რომელუ ლუკაკუ

***გუნდი:*** *„ანდერლეხტი“*
***ნაკრები:*** *ბელგია*
***ამპლუა:*** *თავდამსხმელი*
***დაბადების თარიღი:*** *13.05.1992*
***პროტოტიპი:*** *დიდიე დროგბა*

**ლუკაკუ** მიმდინარე სეზონს „ანდერლეხტში“ დაასრულება და შემდეგ „რეალში“ გადავა - **ჟოზე მოურინიოს** სასურველი ფეხბურთელების სიაში ჰყავს შეყვანილი ბელგიელი. *„სანტიაგო ბერნაბეუზე“ თამაში ჩემი ოცნებაა, ხოლო ის, რომ ამ გუნდს ჟოზე მოურინიო ავარჯიშებს - დამატებით მოტივაციად უნდა ჩაითვალოს. ასეთი მწვრთნელისგან ბევრი რამის სწავლა შეიძლება. მზად ვარ საკუთარ კარიერაში დიდი ნახტომისთვის, თუმცა ამისი დრო ჯერ არ მოსულა. ამბიციური ვარ და დავამტკიცებ, რომ ვღირვარ ის თანხა, რასაც ჩემში იხდიან“*, - ამბობს ლუკაკუ.

## 1. ნეიმარი

***გუნდი:*** *„სანტოსი“*
***ნაკრები:*** *ბრაზილია*
***ამპლუა:*** *თავდამსხმელი*
***დაბადების თარიღი:*** *03.02.1992*
***პროტოტიპი:*** *პელე*

პროფესიულ ფეხბურთში ამ იუნიორის პირველი ნაბიჯები იმდენად დამაჯერებელი იყო, რომ მისი აგენტის - **ვაგნერ რიბეიროს** გარშემო მსოფლიოს მთელმა საფეხბურთო ელიტამ მოიყარა თავი. მაგრამ მეორე მედიაგმირის - **დუგლას კოშტასგან** განსხვავებით, რომელმაც არცთუ ისე წარმატებით ჩაატარა თავისი პირველი პროფესიული სეზონი, **ნეიმარმა** სუპერჩემპიონატი გვაჩუქა - ათი გოლი და შვიდი შედეგიანი პასი. მაგრამ ვუნდერკინდს მწარედ მოაგონდება ნიგერიაში იუნიორთა მსოფლიოს ჩემპიონატზე მგზავრობა - რბილად რომ ვთქვათ, იქ ბრაზილიელებმა თავი შეირცხვინეს, როცა ჯგუფიდან გასვლა ვერ შეძლეს (სამიდან ორი შეხვედრა წააგეს). აფრიკიდან დაბრუნების შემდეგ გაბრაზებულმა ნეიმარმა ხუთ შეხვედრაში ექვსი გოლი გაიტანა. სამხრეთ აფრიკაში გამართული მუნდიალის წინ მთელი ბრაზილია **დუნგასგან** ნეიმარის განაცხადში შეყვანას ითხოვდა.

**გია თვალაბეიშვილი**




ჯეკ უილშირი



როხელიო ფუნეს მორი




ჯეიმს როდრიგესი




მარიო გიოტცე



ნეიმარი